

მერაბ ვაჩნაძე
ვახტანგ გურული

რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2006

ნაშრომი ეძღვნება საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის
ისტორიის აქტუალურ პრობლემებს. განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის

რედაქტორი პროფ. დიმიტრი შველიძე

რეცენზენტი დოც. ავთანდილ წოწკოლაური.

ავტორებისაგან

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია პოლიტიკური მოსაზრებების გამო უხეშად გააყალბა ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ – საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. დღეს ამ საძრახის საქმეს აგრძელებს თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია. მეცნიერებაში დამკვიდრდა ბევრი მცდარი შეხედულება, უმნიშვნელოვანესი მოვლენები შეფასებულია ტენდენციურად. რუსი ისტორიკოსები და მათ კვალობაზე რუსული მასმედია „უფროსი ძმის“ უფლებით გვასწავლიან, როგორ უნდა გავაშუქოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხები, რაზე უნდა ვწეროთ და რაზე – არა. ყოველივე ამის გათვალისწინებით მიზნად დავისახეთ, კიდევ ერთხელ მოვახდინოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპების ამსახველი დოკუმენტებისა და მასალების ობიექტური ანალიზი.

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოვასხენებთ ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკის დეპლემოსილ თანამშრომელს ქალბატონ **მზია მეგრელიძეს**, პროფ. **შოთა დოღონაძეს** და დოც. **ავთანდილ წოწკოლაურს**.

პროფესორი **მერაბ ვაჩნაძე**
პროფესორი **ვახტანგ გურული**

19 იანვარი, 2007 წელი

თავი I. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა

საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობა ხუთ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის. ეს ურთიერთობა კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის (1476-1511) მიერ 1483 წელს მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის (1462-1505) კარზე ელჩობის გაგზავნით დაიწყო. მას შემდეგ 523 წელი გავიდა. ცხადია, ხუთსაუკუნოვანი ურთიერთობის ერთმნიშვნელოვნად შეფასება არ შეიძლება. ამ ურთიერთობას აქვს თავისი ეტაპები (პერიოდები). ისინი ბევრით ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა ბევრი რაიმეთი განსხვავდებიან კიდევ.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა პირობითად შეიძლება რვა ეტაპად დავყოთ:

პირველი ეტაპი იწყება რუსეთში კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის ელჩობით (1483 წ.)* და გრძელდება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გეორგეევსკის ტრაქტატის დადებამდე (XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგამდე).

მეორე ეტაპი იწყება გეორგეევსკის ტრაქტატის დადებიდან (1783 წ.) და გრძელდება 1801 წლის სექტემბრამდე – რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის დაპყრობის მომზადებამდე.

მესამე ეტაპი იწყება რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით (1801 წლის სექტემბერი) და გრძელდება რუსეთის იმპერიის აღსასრულამდე (1917 წლის თებერვალ-მარტამდე).

მეოთხე ეტაპი მოიცავს პერიოდს ამიერკავკასიასა და საქართველოში რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის დამყარებიდან (1917 წლის მარტიდან) ამ მმართველობის დასასრულამდე (1917 წლის ოქტომბრამდე).

მეხუთე ეტაპი საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალთა მიერ საბჭოთა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწვევტიდან (1917 წლის ნოემბერიდან) იწყება და გვირგვინდება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით (1918 წლის მაისი).

მეექვსე ეტაპი იწყება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით (1918 წლის მაისი) და მთავრდება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობით (1921 წლის თებერვალ-მარტი).

მეშვიდე ეტაპი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობით იწყება (1921 წლის თებერვალ-მარტი) და საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდება (1991 წლის დეკემბერი).

მერვე ეტაპი იწყება საბჭოთა კავშირის დაშლიდან (1991 წლის დეკემბერი) და გრძელდება დღემდე.

საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობის ეტაპების ცალ-ცალკე დახასიათება საშუალებას იძლევა უკეთესად აღვიქვათ ორი ერის, ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორია. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამ ურთიერთობის გაშუქებისას ვინმეს დადანაშაულებას ან გამართლებას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია სახელმწიფოებრივ ინტერესთა ბრძოლის ისტორიაა. ამ ბრძოლაში

მეფეები, იმპერატორები, პრეზიდენტები, დიპლომატები, სამხედროები მხოლოდ მორალური ნორმებით როდი ხელმძღვანელობდნენ, უმეტესად ჭარბობდა პრინციპი: “მიზანი ამართლებს საშუალებას.” ეს მიზანი კი აბსტრაქტული არ იყო და იგი საკუთარი ქვეყნის ძლიერებასა და კეთილდღეობაში გამოიხატებოდა. საგანგებოდ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ არ გვინდა ვიხმაროთ სიტყვა „დალატი“ და „მოდალატი“. სახელმწიფოთა ურთიერთობაში საუკუნეების განმავლობაში დომინირებს პრინციპი, რომელიც ინგლისელებმა ასე გამოხატეს: ინგლისს არა ჰყავს არც მუდმივი მტრები და არც მუდმივი მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ჰქონდა ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რამაც ძირითადად განსაზღვრა ამ ურთიერთობის მიმდინარეობა, ხასიათი და შედეგი. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა დაიწყო და სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში (1483-1801 წწ.) ვითარდებოდა, ერთის მხრივ, საქართველოს პოლიტიკური დაშლის, ეკონომიკური დაუძღვრების, დამანგრეველი სოციალური პროცესების, კულტურული დაქვეითებისა და, მეორეს მხრივ, მოსკოვის გარშემო რუსული მიწების (სამთავროების) გაერთიანების, რუსეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ფონზე.

და ბოლოს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა არ ვითარდებოდა დანარჩენი მსოფლიოსაგან იზოლირებულად. ამ ურთიერთობაზე გავლენას ახდენდა ბევრი ფაქტორი, რომელთაგან გამოსაყოფია რამდენიმე: **რუსეთ-ვეროპის** ინტერესთა დაპირისპირება ჩრდილო-დასავლეთის (ბალტიისპირეთის), დასავლეთის (პოლონეთის, ბელორუსიის) და სამხრეთ-დასავლეთის (უკრაინის) მიმართულებით; **რუსეთ-ოსმალეთის** დაპირისპირება ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში; **რუსეთ-ოსმალეთ-ვეროპის** დაპირისპირება დუნაისპირეთსა და ბალკანეთში; **რუსეთ-სპარსეთის** დაპირისპირება კასპისპირეთში; **ანტიოსმალური კოალიციის** შექმნის მცდელობა დასავლეთ ვეროპიაში. ქართველ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს რუსეთთან ურთიერთობისას სწორედ ზემოხსენებული ფაქტორები უნდა გაეთვალისწინებინათ და სამოქმედო გეგმაც აქედან გამომდინარე უნდა განესაზღვრათ. ეს კი უმეტესწილად ვერ ხერხდებოდა. ქართველი დიპლომატები ხშირად საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარების შესახებ საჭირო ინფორმაციის მინიმუმსაც ვერ ფლობდნენ, რის გამოც მათ მიერ შემუშავებული გეგმები მეტწილად არარეალური, გულუბრყვილოც კი იყო. საბოლოოდ, სწორედ ამით იყო განპირობებული ქართული დიპლომატიის მარცხი და მისი თანამდევი დამღუპველი შედეგები.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პირველ ეტაპზე (1483 წელი – XVIII საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგი) სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება არ წარმოადგენდა რუსეთის გეოსტრატეგიულ ამოცანას. ამ პერიოდში რუსეთში გეოსტრატეგიულ მიმართულებად ითვლებოდა: ჩრდილო-დასავლეთი (ბალტიისპირეთი), დასავლეთი (ბელორუსია, პოლონეთი), სამხრეთ-დასავლეთი (უკრაინა), სამხრეთი (აზოვისა და შავი ზღვისპირეთი, ყირიმის სახანო). უკრაინასა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში განმტკიცების შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს წინაშე დგებოდა კიდევ უფრო რთული გეოსტრატეგიული ამოცანა – დუნაისპირეთის გავლით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლა მხოლოდ ოსმალეთთან ომს არ გულისხმობდა. იგი უკიდურესად დაძაბავდა ურთიერთობას დასავლეთ ვეროპიის ქვეყნებთან (ინგლისთან, საფრანგეთთან, ავსტრიასთან). ასეთ ვითარებაში მეფეები ალექსანდრე I (1476-1511), ლევანი (1518-1574), ალექსანდრე II (1574-1605), თეიმურაზ I (1606-1663), ვახტანგ VI (1703-1724), თეიმურაზ II (1745-1762), და ერეკლე II (1762-1798) ცდილობდნენ სპარსეთის სამხრეთ კავკასიიდან განდევნა რუსეთის გეოსტრატეგიულ ამოცანად ექციათ. ქართველ მეფეთა მცდელობას რუსეთში სკეპტიკურად ხვდებოდნენ. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შეჭრა დიდ

სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამ ამოცანის გადაჭრა ითხოვდა: აზოვისა და შავი ზღვისპირეთში რუსეთის განმტკიცებას და ყირიმის სახანოს ლიკვიდაციას; აზოვისა და შავი ზღვისპირეთში ციხე-სიმაგრეების მშენებლობასა და დაცვას; ჩრდილო კავკასიის ბარში (მთისწინეთში) ციხე-სიმაგრეების მშენებლობას და იქ სერიოზული სამხედრო ძალის თავმოყრას; ჩრდილო კავკასიის ბარიდან სამხრეთ კავკასიაში მიმავალი გზების დაკავებასა და მათ დაცვას. ყოველივე ეს რუსეთს ერთდროულად დაუპირისპირებდა სპარსეთსა და ოსმალეთს და ასევე ჩრდილო კავკასიის ისლამის აღმსარებელ მოსახლეობას. ქართველი დიპლომატები ვერ გრძნობდნენ, რომ რუსეთი ზემოხსენებული გეოსტრატეგიული ამოცანებიდან უპირატესობას ჩრდილო-დასავლეთსა (ბალტიისპირეთსა) და დასავლეთში (ბელორუსიაში, პოლონეთში) გაბატონებას ანიჭებდა და, აუცილებლობის შემთხვევაში, უარს ამბობდა სამხრეთ-დასავლეთსა (უკრაინაში) და სამხრეთში (აზოვისა და შავი ზღვისპირეთში) აქტიურობაზე. ასეთ ვითარებაში ფიქრი, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიით დაინტერესდებოდა, რეალობას მოკლებული და უპერსპექტივო იყო. **რუსი დიპლომატების არცთუ კონკრეტული და საკმაოდ ბუნდოვანი დაპირებების უკან ქართველ დიპლომატებს ეს მწარე სინამდვილე უნდა დაენახათ და სამასი წლის განმავლობაში წაგებულ თამაში არ უნდა ეთამაშათ.**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მეორე ეტაპისათვის (1783-1801 წწ.) დამახასიათებელია ის, რომ სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება რუსეთის გეოსტრატეგიულ ამოცანად იქცა. ყირიმის სახანოს ლიკვიდაციამ (1783 წ.), რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომში გამაჯვებამ და ჩრდილო შავი ზღვისპირეთში პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებამ, პოლონეთის გადანაწილების თავის სასარგებლოდ დასრულებამ (1795 წ.) რუსეთს უბიძგა, სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში შეჭრისთვის დაეწყო მზადება. **ერეკლე II-მ ვერ ახსნა ქართლ-კახეთის სამეფოთი რუსეთის მოულოდნელი დაინტერესების ჭეშმარიტი მიზეზი და რუსეთის გააქტიურება საკუთარ დამსახურებად მიიჩნია.** არადა, ეჭვის საფუძველი ერეკლე II-ს ნამდვილად ჰქონდა. 1770 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება რუსეთის მფარველობაში შესვლას გაცილებით მძიმე პირობებით (სუვერენიტეტის აშკარა შელახვით) ითხოვდა, მაგრამ საიმპერატორო კარისაგან უარს იღებდა. 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული **გეორგევსკის ტრაქტატის** პირობები გაცილებით უკეთესი იყო ქართლ-კახეთისათვის, ვიდრე ამას ერეკლე II ადრე ითხოვდა. ერეკლე II-მ ესეც საკუთარ დამსახურებად მიიჩნია და ვერ შეამჩნია მთავარი: **მართალია, სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება რუსეთის გეოსტრატეგიულ ამოცანად იქცა, მაგრამ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ადგილი აღარ რჩებოდა.** ერეკლე II-ს სჯეროდა, რომ რუსეთის სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება რეგიონიდან სპარსეთის განდევნით დაიწყებოდა და ამ ბრძოლაში ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მოკავშირედ გამოვიდოდა. მოხდა პირიქით. **რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა ზედმიწევნით ზუსტად შეაფასეს ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი (ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქრის საბრძოლო შესაძლებლობა, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა) და სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება არა სპარსეთის განდევნით, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობით დაიწყეს.** რუსეთის საიმპერატორო კარი არ შემცდარა. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, ხოლო სპარსეთის სამხრეთ კავკასიიდან გაძევება ომის გარეშე არ მოხერხდებოდა. ეს გათვლა ზედმიწევნით ზუსტი აღმოჩნდა: ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთმა 1801-1802 წლებში უპრობლემოდ, ომის გარეშე გააუქმა, ხოლო სპარსეთის სამხრეთ კავკასიიდან განდევნას ორი ომი (1804-1813 და 1826-1828 წლებისა) დასჭირდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება სპარსეთის განდევნითაც რომ

დაეწყო, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა მაინც გარდაუვალი იქნებოდა, ოღონდ ეს მოხდებოდა ცოტა მოგვიანებით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის **მესამე ეტაპი (1801-1917 წწ.)**, ფაქტობრივად, აღარ იყო ორი სახელმწიფოს ურთიერთობა. რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასა (1801 წ.) და დაპყრობას (1802 წ.) მოჰყვა დანარჩენი საქართველოს (იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროების) დაპყრობა. იმავდროულად, რუსეთმა ოსმალეთისა და სპარსეთის რამდენიმეჯგუფის დამარცხების შემდეგ 1878 წელს დაამთავრა საქართველოს ისტორიული ტერიტორიიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი, სამხრეთ საქართველოს ნაწილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ნაწილი) სპარსეთისა და ოსმალეთის განდევნა, რაც საბოლოოდ მთელი სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის დაპყრობით დასრულდა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის **მეოთხე პერიოდი (1917 წლის მარტი – ოქტომბერი)** ყველაზე ხანმოკლეა ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიაში. იმპერიულ ამბიციებსა და დემოკრატიულ ფასეულობათა შორის მოთამაშე რუსეთის დროებითმა მთავრობამ პრაქტიკულად დაკარგა საქართველო, მთლიანად სამხრეთ კავკასია. რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულმა სამხარეო ხელისუფლების ორგანომ, **ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა (ოზაკომმა)**, რუსეთის კავკასიის არმიის გახრწნის პირობებში ვერ შეძლო რეგიონის ეფექტურად მართვა და, პრაქტიკულად, ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების მარიონეტად იქცა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის **მეხუთე პერიოდი (1917 წლის ნოემბერი – 1918 წლის მაისი)** ასევე ხანმოკლეა. საბჭოთა რუსეთმა დროებითი მთავრობის დამხობის მომდევნო ხანებში საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში), თავისი იურიდიქცია ვერ გაავრცელა. საბჭოთა რუსეთის მიმართ შეურიგებელი პოზიცია დაიკავა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსთა ინიციატივით 1917 წლის ნოემბერში შექმნილმა სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – **ამიერკავკასიის კომისარიატმა** (თავმჯდომარე ვეგენი გეგეჭკორი).

1918 წლის იანვარში საბჭოთა რუსეთი შეეცადა კავკასიის ფრონტის ძალებით სამხრეთ კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ოკუპაციას, მაგრამ ეს მცდელობა მარცხით დასრულდა. 1918 წლის იანვარში საქართველო დატოვა რუსეთის არმიამ, რომელიც აქ მუდმივად იმყოფებოდა 1799 წლიდან. იურიდიული თვალსაზრისით კავკასია ჯერ კიდევ რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1918 წლის 3 მარტს **ბრესტ-ლიტოვსკში** საბჭოთა რუსეთმა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ოსმალეთი, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი) დადებული ზავით **ბათუმის არტაანისა და ყარსის** ოლქები ოსმალეთს დაუთმო. ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსთა შორის ანტირუსული განწყობა გააძლიერა. ამას დაერთო ისიც, რომ 1918 წლის გაზაფხულისათვის საბჭოთა რუსეთმა ჩრდილო კავკასიაზე კონტროლი დაკარგა. ყოველივე ამან დამატებითი სტიმული მისცა ანტირუსულ ძალებს. 1918 წლის აპრილში ამიერკავკასია სახელმწიფოებრივადაც გამოეყო საბჭოთა რუსეთს. **ამიერკავკასიის სეიმმა** (თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე) გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს – **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის** – შექმნა (მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დღენაკლული აღმოჩნდა, თუმცა ამან საბჭოთა რუსეთისათვის კიდევ უფრო უარესი შედეგი მოიტანა. ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ეროვნული ძალების კონსოლიდაცია მოჰყვა. ტონის მიმცემი საქართველო იყო. 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის **მეექვსე ეტაპი (1918 წლის მაისი 1921 წლის თებერვალ-მარტი)** კვლავ ორი სახელმწიფოს დაპირისპირების ხანაა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო მიუღებელი, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აშკარა პროდასავლური ორიენტაცია. სამხრეთ კავკასიაში დაბრუნება საბჭოთა რუსეთისათვის გეოსტრატეგიულ ამოცანად იქცა. ფინეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და პოლონეთის დაკარგვას ევროპაში რუსეთის პოზიციების შესუსტება მოჰყვა. სამხრეთ კავკასიის დათმობას შედეგად მოჰყვებოდა რუსეთის პოზიციების შესუსტება მახლობელ აღმოსავლეთში. ასეთ ვითარებაში საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებას (1920 წლის 7 მაისს) და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე ცნობას პრაქტიკული შედეგი არ შეიძლება მოჰყოლოდა. ამ ხელშეკრულებას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის – **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა კვლავ გეოსტრატეგიულ ამოცანად რჩებოდა**. საბჭოთა რუსეთი გეგმაზომიერად ახორციელებდა ვითარების დესტაბილიზაციას. საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები (ე. წ. “გლეხთა აჯანყებები”), ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები საბჭოთა რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აშკარად დაადგა აფსუა და ოსი სეპარატისტების მხარდაჭერის გზას. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იურისდიქციიდან გამოსულიყო. საბჭოთა რუსეთი დიდ ყურადღებას უთმობდა მეხუთე კოლონის შექმნას საქართველოში. მეხუთე კოლონის შექმნას დიდად შეუწყო ხელი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ, რომლის ერთ-ერთი მუხლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უკრძალავდა კომუნისტთა (ბოლშევიკთა) დასჯას ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეხუთე კოლონის „მოღვაწეობა“ ლეგალიზებულ იქნა.

საქართველო რუსეთის ურთიერთობის **მეშვიდე პერიოდი (1921 წლის თებერვალ-მარტი 1991 წლის დეკემბერი)** დაიწყო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველო დასაჯა. მართალია, 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო (განხორციელდა სუვერენული ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია), მაგრამ პოლიტიკური მოსახრებით 1922 წლის დეკემბრამდე, ფორმალურად, საქართველო რუსეთს არ შეერთებია და იგი დამოუკიდებელ ქვეყანად დარჩა. მიუხედავად ამისა, საქართველოში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. თბილისში არსებული საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მოსკოვის მარიონეტს წარმოადგენდა. რეალურად, ქვეყანას მათავდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სერგო ორჯონიკიძით სათავეში, რომლის საყრდენიც რუსეთის XI წითელი არმია იყო.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი საბჭოთა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებისა და 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში თურქეთს, საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების ძალით, საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დაუთმო საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი (ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი, ართვინისა და არტაანის ოკრუგები მთლიანად). 1921 წლის შემდეგ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი გადაეცა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საბჭოთა რუსეთს. აფსუა და ოსმა სეპარატისტებმა საწადელს მიადწიეს – ავტონომია (ავსუებმა – რესპუბლიკა, ოსებმა – ოლქი) მიიღეს (1921-1922 წწ.)

1921 წლის თებერვლიდან 1922 წლის დეკემბრამდე, როგორც აღვნიშნეთ, საქართველო, ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ე. ი. რუსეთის შემადგენლობაში არ შედიოდა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში საქართველო შეიძლება საბჭოთა რუსეთთან და სხვა რესპუბლიკებთან ერთად დამოუკიდებლად შესულიყო და ამდენად, სახელმწიფოებრიობა ფორმალურად მაინც შეენარჩუნებინა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ეს ასე არ მოხდა. 1922 წელს, საბჭოთა კავშირის შექმნის წინა ხანებში საქართველო, სომხეთი და ზერბაიჯანი ერთ რესპუბლიკად – **ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად** – გააერთიანეს და რუსეთთან, უკრაინასა და ბელორუსიასთან ერთად საბჭოთა კავშირში ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შევიდა. ამრიგად, 1922 წლის დეკემბრისათვის საქართველოს სუვერენიტეტს ფორმალურადაც ბოლო მოეღო. საქართველოს სუვერენიტეტი, ისევე ფორმალურად, მხოლოდ 1936 წელს, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ, აღდგა. 1936 წლიდან 1991 წლამდე საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო, რომელიც სუვერენიტეტის ნიშნებს მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის **მერვე პერიოდი** საბჭოთა კავშირის დაშლით იწყება (1991 წლის დეკემბერი). საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ, რუსეთის ფედერაციამ, ორი მთავარი მიზნისათვის დაიწყო ბრძოლა. **პირველი**, რუსეთის ფედერაციაში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკებთან ურთიერთობის მოგვარება, მრავალი ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხის ახალ, ფედერაციულ პრინციპებზე გაერთიანება. **მეორე**, ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შენარჩუნება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა **დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის** შექმნა (1991 წ.). ორივე ამ მიზნის განხორციელება იმაზე გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. რუსეთის ფედერაციის შინაგან სიმტკიცეს სერიოზული საფრთხე შეუქმნა ჩეჩნეთსა და მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყვებულმა ანტირუსულმა მოძრაობამ. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შენარჩუნებას წინ აღუდგა ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და საქართველო. ანტირუსული ძალების აქტიურობა იგრძნობოდა აზერბაიჯანში, მოლდოვაში, უკრაინაში.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა სერიოზულად დაძაბა პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** პროდასავლურმა ორიენტაციამ (1990-1992 წწ.). ზვიად გამსახურდიამ ზემოქმედებას მოსკოვი აფხაზეთსა და შიდა ქართლში სეპარატისტთა მხარდაჭერით ცდილობდა. რუსეთი აშკარად მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას ოპოზიციასაც. **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა რუსეთის გამარჯვების მაუწყებელი იყო.** შექმნილ ვითარებაში (რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის დასუსტება, ამერიკის შეერთებული შტატების გააქტიურება ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში) მოსკოვი, ცხადია, ედუარდ შევარდნაძეს არ ენდობოდა. არ ენდობოდა მას შემდეგაც კი, რაც ე. შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანება მოახერხა (1993 წ.). საქართველოს მოსალოდნელი პროდასავლური ორიენტაციის თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა აფსუა და ოს სეპარატისტებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საშუალება მისცა – აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი (ე. წ. ცხინვალის რეგიონი) საქართველოს იურისდიქციიდან გამოვიდა. **ე. შევარდნაძე პროდასავლურ და პრორუსულ ორიენტაციას შორის მუდმივად მერყეობდა, გადაჭრით არც ერთს არ ემხრობოდა, დროის მოგებას ცდილობდა, ვითარების უფრო ნათლად გარკვევას ელოდა.**

პრორუსულ და პროამერიკულ ორიენტაციას შორის თამაში ე. შვედრანდისათვის ცუდად დამთავრდა – რუსეთისა და ამერიკის მხარდაჭერა ერთდროულად დაკარგა და პოლიტიკური კარიერაც დაასრულა.

2003 წლის ნოემბერში საქართველოში ხელისუფლების ცვლილებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ლავირების პოლიტიკა დასრულდა. **საქართველომ არჩევანი პროამერიკულ ორიენტაციაზე შეაჩერა და ამ კურსის აქტიურად რეალიზებას შეუდგა.** ეს, ცხადია, მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისათვის. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**, საქართველოს პარლამენტი პროდასავლური ორიენტაციის შეცვლას არ აპირებს. აშკარაა, რომ **ძველი მეთოდებით საქართველოს ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა რუსეთს აღარ შეუძლია.** ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში აპრობირებული ხერხები დღეს აღარ გამოდგება. საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში, ისევე როგორც მთლიანად საერთაშორისო ასპარეზზე ბევრი მოკავშირე ჰყავს. ისიც აშკარაა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარება იმაზე გაცილებით რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. **საქართველო-რუსეთის ურთიერთობა რუსეთ-ევროპის და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია და მის საბოლოოდ დარეგულირებას საერთაშორისო ასპარეზზე მოვლენათა განვითარება განაპირობებს.**

თავი II. კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის „ვიცის წიგნი“ რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძისადმი (1587 წ.) და თევდორე ივანეს ძის „წყალობის სიგელი“ ალექსანდრე II-ს (1589 წ.)

კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) „ვიცის წიგნისა“ და რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის „წყალობის სიგელის“ არც ორიგინალები და არც ასლები მიკვლეული არ არის. უფრო მეტიც, ჩვენთვის უცნობია ამ დოკუმენტების დაწვრილებითი შინაარსიც კი. დღემდე მეცნიერები ეყრდნობიან იმ მწირ მასალას, რომელიც დაცულია რუსი ისტორიკოსის სერგეი ბელოკუროვის წიგნში (იხ.: Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московскаго главнаго архива Министерства иностранных дел **Сергеем Белокуровым**. Выпуск 1-й. 1578-1613. Москва, 1889).

1586 წლის 23 სექტემბერს რუსეთის მეფესა და დიდ მთავარ **თევდორე ივანეს ძეს** ასტრახანის ვოევოდამ **თევდორე ლობანოვ-როსტოვსკიმ** აცნობა, რომ ასტრახანში მივიდნენ კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ელჩები: **მღვდელი იოაკიმე, ბერი კირილე და ჩერქეზი ყურშიტა.** დედაქალაქიდან მიღებული ბრძანების თანახმად, ასტრახანის ვოევოდამ კახეთის მეფის ელჩობა მოსკოვში გაისტუმრა. 9 ოქტომბერს რუსეთის მეფემ კახეთის მეფის ელჩები მიიღო. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მეფესთან მიღებაზე, ისევე როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, როგორც წესი, კახეთის მეფე ალექსანდრე II „**მეფედ**“ კი არ იწოდებოდა, არამედ „**ალექსანდრე მთავრად**“ ("Александр князь"). ამავე დროს რუსეთის მეფე ხაზს უსვამდა თავის მეფურ ღირსებას: "Великий государь, царь и великий князь Федор Иванович всеа Руси, Владимирский, Московский, Ноугородцкий, царь Казанский и Астраханский и иных многих земель государь и облаадатель восточных и западных и северных стран". მხოლოდ იშვიათად ესმებოდა ხაზი ალექსანდრე II-ის მეფურ ღირსებას: "Иверские земли Александр царь". როგორც ჩანს, რუსეთის მეფის კარზე ჩათვალეს, რომ კახეთის მეფე თავისი ღირსებით უტოლდებოდა ჩრდილო კავკასიის ხალხების მთავრებს.

კახეთის მეფის ელჩებმა რუსეთის მეფეს მიართვეს ალექსანდრე II-ის თხოვნა ("челобитная"): 1) მფარველობაში მიეღო კახეთის სამეფო ("... под своею царскою рукою держати"). 2) დაეცვა კახეთის სამეფო მტრებისაგან ("... царскою рукою... царском имени... обороняти... ото всяких... недругов").

ალექსანდრე ხაზს უსვამდა იმას, რომ ქართველებსა და რუსებს ერთი რელიგია – ქრისტიანობა – აკავშირებდათ.

რუსეთის მეფემ, თევდორე ივანეს ძემ, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის თხოვნა შეიწყნარა: კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებასა და მტრებისაგან სამხედრო ძალით დაცვას დაჰპირდა ("И мы грамоту твою принять велели есмь и ее выслушали милостивно и тебя, Александра князя, и твою землю Иверскую по твоему челобитью под свою царскую руку приняли есмь и держати тебя и твою землю в своем царскую рукою хотим и оберегати тебя и твою землю ото всяких твоих недругов").

1587 წლის 3 აპრილს რუსეთის მეფემ ბრძანა კახეთის მეფის ელჩები სამშობლოში გაესტუმრებინათ და თან გაეყოლებინათ რუსი ელჩები: თავადი **როდიონ ბირკინი**, **პეტრე პივოვი** და **სტეფანე პოლუხანოვი**. ქართველი ელჩები მოსკოვიდან 11 აპრილს გამოემართნენ, რუსი ელჩები კი ცოტა ხანს შეეყოვნდნენ. 3 ივლისს ქართველი და რუსი ელჩები ასტრახანიდან ერთად გამოემგზავრნენ საქართველოში.

რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის ელჩები კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ 1587 წლის 26 აგვისტოს მიიღო. 29 აგვისტოს რუსმა ელჩებმა კახეთის მეფეს რუსეთის მეფის სიგელი გადასცეს. სიგელში აღნიშნული იყო: 1) რუსეთის მეფემ შეიწყნარა კახეთის მეფის თხოვნა, 2) კახეთის სამეფო მიღებული რუსეთის მფარველობაში, 3) რუსეთი სამხედრო ძალით დაიცავდა კახეთის სამეფოს მტრებისაგან.

1587 წლის 28 სექტემბერს კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ თავის მემკვიდრეებთან და სამეფო კარის მოხელეებთან (თავადებთან) ერთად რუსი ელჩების როდიონ ბირკინისა და პეტრე პივოვის თანდასწრებით რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის ერთგულებაზე დაიფიცა. დაფიცების შემდეგ ალექსანდრე II-მ **სიგელს („ფიცის წიგნი“)** ხელი მოაწერა, სიგელს ბეჭედი დაუსვეს და რუსეთის მეფის ელჩებს როდიონ ბირკინისა და პეტრე პივოვის გადასცეს ("Да велел запис целовальную совершить... да на той записи Александр князь и своими детми и с чиновными людьми за всю Иверскую землю перед Родивоном да перед Петром государю правду дал, на записи крест целовал и запис целовальную за своею рукою и за печатью Родивону и Пету дал").

რუსმა ელჩებმა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის სიგელი („ფიცის წიგნი“) მოსკოვში ჩაიტანეს და მეფე თევდორე ივანეს ძეს მიართვეს.

1588 წლის ოქტომბერში მოსკოვში კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის კიდევ ერთი ელჩობა ჩავიდა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თავადი **ყაფლან ვაჩნაძე**, **ბერი კირილე** და **ჩერქეზი ყურშიტა**. 31 ოქტომბერს კახეთის მეფის ელჩობა რუსეთის მეფემ თევდორე ივანეს ძემ მიიღო. ქართველმა ელჩებმა რუსეთის მეფეს მიართვეს ალექსანდრე II-ის თხოვნა ("челобитная"). კახეთის მეფის სათხოვარი იგივე იყო: მფარველობაში მიღება და სამხედრო დახმარების აღმოჩენა. ოფიციალურ მიღებაზე ქართველ ელჩებს განუცხადეს: 1) კახეთის მეფე ალექსანდრე II უკვე მიღებულია რუსეთის მეფის მფარველობაში, მას დაფიცებული აქვს რუსეთის მეფის ერთგულებაზე და ხელი აქვს მოწერილი სიგელზე („ფიცის წიგნი“); 2) რუსეთი კახეთის სამეფოს დაიცავს მტრებისაგან; 3) ასტრახანისა და თერგის ვოევოდებს ნაბრძანები აქვთ დადესტანზე ლაშქრობა და კახეთში მიმავალი გზის დადესტნელთაგან გაწმენდა.

1588 წლის 23 აპრილს რუსეთის მეფე თევდორე ივანეს ძემ კახეთის სამეფოში ახალი ელჩობის გაგზავნა ბრძანა. ელჩობაში შედიოდნენ: თავადი **სიმონ ზვენიგოროდსკი**, დიაკი **ტორხ ანტონოვი**, ბერი **ზაკხეი**, მღვდელი **იოსები**, მღვდელი **ბოგდანი**, მღვდელი **დიმიტრი**, დიაკვანი **თეოდოსი**, დიაკვანი **თევდორე** და ხატმწერები.

რუსეთის მეფის ელჩებმა 1589 წლის 6 აგვისტოს ჩრდილო კავკასიაში ჩააღწიეს და 8 სექტემბერს უკვე სუნჯაში იყვნენ. სუნჯიდან ელჩობა საქართველოში გამოემგზავრა. 10 ოქტომბერს რუსი ელჩები ალავერდის მონასტერს ეწვივნენ, ხოლო 16 ოქტომბერს ისინი ალექსანდრე II-მ მიიღო. რუსმა ელჩებმა კახეთის მეფეს გადასცეს რუსეთის მეფის „წყალობის სიგელი“. ეს დოკუმენტი რუსულ წყაროში ასეა მოხსენიებული: "А се такова жалованная грамота з золотою печатью послана от государя к Иверскому Александру царю с послы со князем Семеном Звенигородским да дияком с Торхом с Антоновым".

რუსეთის მეფის თვედორე ივანეს ძის „წყალობის სიგელში“ აღნიშნული იყო, რომ რუსეთი კახეთის სამეფოს მტრებისაგან საიმედოდ დაიცავდა.

თვედორე ივანეს ძის „წყალობის სიგელის“ ბოლოს აღნიშნული იყო, რომ იგი შეადგინეს მოსკოვში ქვეყნის გაჩენიდან 7097 წლის აპრილში (ე. ი. 1589 წლის აპრილში).

მიუხედავად რუსეთის მეფის დაპირებისა, კახეთის სამეფომ რუსეთისაგან რეალური სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა ვერ მიიღო. ალექსანდრე II-ის პრორუსული ორიენტაცია, ცხადია, ძალზე აღიზიანებდა ირანის შაჰს აბას I-ს. შაჰმა ხელსაყრელი დრო იხელთა თუ არა, 1605 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II და მისი ვაჟი გიორგი ვერაგულად მოაკვლევინა, ხოლო 1614-1617 წლებში კახეთი სასტიკად ააოხრა.

წყაროები და ლიტერატურა:

Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел **Сергеем Ал. Белокуровым**. Выпуск 1-й. 1578-1613 гг. Москва, 1889; **იასე ცინცაძე**. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.). თბილისი, 1956; **ლევან ალექსიძე**. საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბილისი, 1983; **ნოდარ ასათიანი**. კახეთის სამეფო XV-XVI საუკუნეებში. სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი). თბილისი, 1989; ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998; ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.

თავი III. ქართლის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი (1721-1723 წწ.)

XVIII საუკუნის 10-იანი წლების შუა ხანებისათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის ბალტიისპირეთში დამკვიდრებას ხელს ვედარაფერი შეუშლიდა. შვეციას არ გააჩნდა ის სამხედრო ძალა (სახმელეთო ჯარი და სამხედრო ფლოტი), რომელიც აუცილებელი იყო ბალტიისპირეთიდან რუსეთის უკუგდებისათვის. ასეთ ვითარებაში **პეტრე I-მა** გადაწყვიტა გაეაქტიურებინა ბრძოლა კასპიისპირეთში დამკვიდრებისათვის. ცხადია, ქართლის სამეფო რუსეთის ბუნებრივი მოკავშირე ხდებოდა.

1715 წელს სპარსეთში მიმავალ რუსეთის ელჩ **არტიომ ვოლინსკის** დაევალა კავშირი დაემყარებინა **ვახტანგ VI-თან**, რომელიც ქართლის მეფედ დამტკიცების მოლოდინში სპარსეთში იმყოფებოდა. თავისთავად, რუსეთთან კავშირის დამყარებას ესწრაფოდა ვახტანგ VI-ც. 1717-1718 წლებში ვახტანგ VI-ის ნდობით აღჭურვილი პირი რამდენჯერმე შეხვდა არტიომ ვოლინსკის. ამ შეხვედრებიდან რუსი დიპლომატისათვის ცნობილი გახდა, რომ ვახტანგ VI ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეს ეძებდა, თუმცა მას უკვე ისლამი მიეღო. 1719-1721 წლებში რუსეთმა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარა უკვე თბილისში დაბრუნებულ ქართლის მეფესთან.

1721 წელს ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ს სთხოვდა: 1) ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე შეეყვანა და ციხე-სიმაგრეებში განეღებინა ჯარი 5-6

ათასი კაცის რაოდენობით; 2) მდინარე თერგზე, იქ, სადაც საქართველოში მიმავალი გზა იწყებოდა, აეგო ციხე-სიმაგრე და მას ჩაეყენებინა ჯარი; 3) დაეწყო ლაშქრობა სპარსეთის წინააღმდეგ, დაეკავებინა დერბენტი ან შემახა. თუ რუსეთის ჯარი სამხრეთ კავკასიაში შემოვიდოდა, ვახტანგ V პირობას დებდა, რომ შეკრებდა 50-ათასიან ლაშქარს, ხოლო 20 ათას კაცს კასპიისპირეთში გაგზავნილ რუსეთის ჯარს მიაშველებდა.

პეტრე I-მა კასპიისპირეთში ლაშქრობისათვის ასეთი მარშრუტი შეარჩია: **დერბენტი-შემახა-ბაქო**. ეს იმას ნიშნავდა, რომ პეტრე I-მა უარი თქვა, კასპიისპირეთში ჯარები **დარიალის ხეობით**, ანუ ქართლის სამეფოს ტერიტორიის გავლით გადაეყვანა. პეტრე I-ის ვარაუდით, დერბენტიდან დაძრული ჯარის მიერ შემახის, ბაქოსა და მდინარე მტკვრის შესართავის დაკავება სპარსეთის ჯარებს სამხრეთ კავკასიის სიღრმეში შეჭრის საშუალებას მოუსპობდა.

1722 წელს პეტრე I-ის მიერ დაწყებული სამხედრო კამპანიის მიზანს **კასპიისპირეთის** (დერბენტის, ბაქოსა და შემახას) დაკავება შეადგენდა. დერბენტი და **ბაქო** უშუალოდ რუსეთის ჯარს უნდა დაეკავებინა, ხოლო **შემახა** – ვახტანგ VI-ს ქართველთა და სომეხთა ჯარით. ვახტანგ VI **შემახას** დაკავების შემდეგ უნდა გასულიყო კასპიის ზღვის სანაპიროზე და **დერბენტსა** და **ბაქოს** შორის შეერთებოდა რუსეთის ჯარს. ამ სტრატეგიული ცვლილებების შესახებ 1722 წლის ივლისში პეტრე I-მა სპეციალური კურიერის მეშვეობით აცნობა ვახტანგ VI-ს. 1722 წლის აგვისტოში კი იმპერატორმა ვახტანგ VI-ს შეატყობინა სპარსეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის შესვლისა და დერბენტი-ბაქოს მიმართულებით შეტევის დაწყების შესახებ.

სამეფო დარბაზი და ტახტის მემკვირდე **ბაქარი**, რომელიც 1722 წლის მარტში სპარსეთის შაჰის გვარდიის სარდლად დაინიშნა, ვახტანგ VI-ს მიუთითებდნენ იმ დიდ საფრთხეზე, რომელსაც ისინი რუსეთის იმპერიასთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში ხედავდნენ. ისინი სპარსეთის წინააღმდეგ აშკარა ამბოხებისაგან თავის შეკავებასაც ურჩევდნენ, მაგრამ მეფემ ეს რჩევა არ გაითვალისწინა.

რუსეთის ჯარმა **დერბენტი** დაიკავა. ვახტანგ VI 30-ათასიანი ჯარით სპარსეთის საზღვრებში შეიჭრა და **განჯის** ციხე-სიმაგრე დაიკავა. განჯასთან მივიდა სომეხთა 8-ათასიანი ლაშქარიც.

ამრიგად, 1722 წელს პეტრე I-მა და ვახტანგ VI-მ სპარსეთის წინააღმდეგ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ერთობლივი სამხედრო მოქმედება დაიწყო. ეს იყო ზეპირი შეთანხმება და იგი იურიდიულად არ გაფორმებულა – ხელშეკრულება არ დადებულა. სწორედ ამას ემყარება ზოგიერთი რუსი ისტორიკოსის მტკიცება: პეტრე I ვახტანგ VI-ს არაფერს დაჰპირებია, რუსეთის იმპერიას ქართლის სამეფოს წინაშე არანაირი ვალდებულება არ უკისრიაო. ცხადია, ეს სიცრუეა, რომელიც მხოლოდ იმიტომ შეითხზა, რომ რუსეთმა პასუხისმგებლობა მოიხსნას იმ ტრაგედიის გამო, რაც შედეგად მოჰყვა პეტრე I-ის მიერ კასპიისპირეთში დაწყებული ლაშქრობის შეწყვეტას.

რუსეთის იმპერატორი ლაშქრობის შეწყვეტის მიზეზად სურსათის ნაკლებობასა და ცხენოსანი ჯარის ცუდ მდგომარეობას ასახელებდა. ნამდვილი მიზეზი კი სხვა გახლდათ. სპარსეთის დამარცხება რუსთა და ქართველთა ჯარისათვის სავსებით შესაძლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ბაქოს დაკავება და კასპიისპირეთში პოზიციების შენარჩუნება დიდი სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამ პერსპექტივის უკან პეტრე I-მა აშკარად იგრძნო საფრთხე: **სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას არ დაუშვებდა ოსმალეთი, სპარსეთის დამარცხების შემდეგ ომი ოსმალეთთან გარდაუვალი ჩანდა**. ოსმალეთთან ომში ჩაბმულ რუსეთს კი აუცილებლად გაურთულდებოდა საქმე ევროპაში, აგრეთვე იმპერიის სამხრეთ საზღვრებთან – ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. პეტრე I-მა რისკს თავი აარიდა და

კასპიისპირეთის დაკავების მიზნით დაწყებული ლაშქრობა შეწყვიტა. ქართლის სამეფოსა და პირადად ვახტანგ VI-ის ბედი, ჩანს, პეტრე I-ს დიდად არ აღელვებდა, რუსეთის იმპერატორისათვის უმთავრესი რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები იყო.

ვახტანგ VI ქართველთა და სომეხთა ჯარით ორი თვე ელოდა რუსეთის ჯარის წინსვლას ბაქოს მიმართულებით. ორი თვის შემდეგ ვახტანგ VI-ს აცნობეს ლაშქრობის შეწყვეტისა და რუსეთის ჯარის უკან გაბრუნების შესახებ. პეტრე I ვახტანგ VI-გან ითხოვდა 1723 წლის ზაფხულამდე განჯასთან დარჩენილიყო. ამ დროისათვის პეტრე I ლაშქრობის განახლებას გეგმავდა. კასპიისპირეთიდან გასული რუსეთის ჯარი ასტრახანსა და წმინდა ჯვრის სიმაგრეში განლაგდა.

პეტრე I-გან მიტოვებული ვახტანგ VI სრულიად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა: **სპარსეთთან ურთიერთობის მოგვარება ქართლის მეფეს აღარ შეეძლო, ოსმალეთიც უკმაყოფილო იყო ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციით.**

სპარსეთის შაჰმა ვახტანგ VI-ს ქართლის ტახტი ჩამოართვა და იგი კახეთის მეფეს კონსტანტინეს გადასცა. 1723 წლის მაისში კონსტანტინემ დადესტნელთა ლაშქრის დახმარებით ვახტანგ VI დაამარცხა და თბილისი დაიკავა. ვახტანგ VI-მ იმერეთის სამეფოს საზღვრებისაკენ დაიხია.

ვახტანგ VI-ის თბილისიდან განდევნის შემდეგ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ოსმალეთის ჯარი შემოიჭრა და 1723 წლის ივნისში თბილისი დაიკავა.

სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა, ცხადია, ვახტანგ VI-ს არ შეეძლო. რუსეთი სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სპარსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში სამხედრო ძალით არ ერეოდა. **ვახტანგ VI-ის პრორუსული პოლიტიკის დამღუპველი შედეგი ნათლად გამოჩნდა.** დამარცხებული მეფე თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა თანხლებით რუსეთში გადაიხვეწა და რუსეთშივე დაასრულა გამწარებული სიცოცხლე.

წყაროები და ლიტერატურა:

В. Лыцов. Персидский поход Петра I. 1722-1723. Москва, 1951; **გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ VI. თბილისი, 1981; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973; ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998; ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.

თავი IV. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ. 24 ივლისი)

რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღების საკითხი ეკატერინე II-ის წინაშე ერეკლე II-მ ოფიციალურად 1771 წელს დააყენა. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შემუშავებული **მფარველობითი ხელშეკრულების პროექტი**, რომელსაც ერეკლე II-მ ხელი 1771 წლის 30 დეკემბერს მოაწერა, პეტერბურგში გაიგზავნა. 1772 წლის 6 იანვარს ერეკლე II-მ ხელი მოაწერა და პეტერბურგში გაგზავნა მეორე დოკუმენტი – **ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა**. საერთაშორისო ვითარების გამო რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება გარკვეული ხნით გადადო. მხოლოდ 1782 წლის მიწურულსა თუ 1783 წლის დამდეგს იმპერატრიცამ **ა. ბეზბოროდელს** მეშვეობით კავკასიის ხაზის უფროსს **გრიგოლ პოტიომკინს** გაუგზავნა მითითებანი ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები ხელშეკრულების შესახებ. სწორედ ეს სამი დოკუმენტი (ერეკლე II-ის პროექტი, ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა, ეკატერინე II-ის მითითებანი) დაედო საფუძვლად გეორგიევსკის ტრაქტატს.

1783 წლის 7 მაისს გენერალმა **პავლე პოტიომკინმა** პოდპოლკოვნიკ **ვ. ტამარას** ხელით თავად **გრიგოლ პოტიომკინისაგან** მიიღო ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები

ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც 9 მაისს პოდპოლკოვნიკი ვ. ტამარა თბილისისაკენ გამოისტუმრა. გენერალი პავლე პოტიომკინი იმერეთის მეფე **სოლომონ I-ს** წერდა: – ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაშია მიღებული და გულწრფელად მსურს, ვითარებამ შესაძლებელი გახადოს თქვენი მფარველობაში მიღებაცო. თან დასძენდა: – იმპერატორის სურვილია თქვენ და ერეკლე მეფე მეგობრულ ურთიერთობაში იყოსო. ერეკლესადმი წერილში გენერალი მეფეს რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას ულოცავდა და აცნობებდა, რომ ტრაქტატის მუხლების თაობაზე განმარტებას პოდპოლკოვნიკი ვ. ტამარა მისცემდა, გეორგიევსკში გამოსაგზავნი ელჩები შეერჩია. იგი მეფეს ჰპირდებოდა, რომ ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე დამხმარე ჯარი საქართველოში შემოვიდოდა და მაჰმადიან ხანებსაც გაფრთხილება გაეგზავნებოდათ. მალე (1783 წლის მაისში) საქართველოში გამოიგზავნა აგრეთვე პოლკოვნიკი **ს. ბურნაშოვი**, რომელსაც საქართველოს სამხედრო შესაძლებლობანი უნდა შეესწავლა.

1783 წლის მაისის მეორე ნახევარში პოდპოლკოვნიკი ვ. ტამარა თბილისში ჩამოვიდა და ერეკლე II-ს გადასცა ხელშეკრულების პროექტი (რუსულ და ქართულ ენებზე). ქართლ-კახეთის სამეფო კარი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იხილავდა პროექტს.

1783 წლის ივნისის ბოლოს საბოლოოდ გადაწყდა რუსეთში გასაგზავნი საქართველოს ელჩიონის შემადგენლობა: პირველ ელჩად დაინიშნა თავადი **იოანე ბაგრატიონი**, მეორე ელჩად – თავადი **გარსევან ჭავჭავაძე**, ასისტენტად – თელავის სემინარიის რექტორი **გაიოზ არქიმანდრიტი**. შეარჩიეს საელჩოს მდივანი და ამაღლა. ამასთან, თუ წარგზავნილთა შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ერთ-ერთი ელჩის ხელმოწერა საკმარისი იყო. 1783 წლის ივნისში ქართლ-კახეთის სამეფო კარმა პროექტი ძირითადად მოიწონა, 28 ივნისს ერეკლემ ხელი მოაწერა სამეფოს თავადებისა და აზნაურების სიას, რომელიც ტრაქტატის დანართს წარმოადგენდა. მალე ელჩობა რუსეთს გაემგზავრა.

რუსეთის მთავრობამ თავის წარმომადგენლად თავადი **გრიგოლ პოტიომკინი** დანიშნა. ამასთან, თუ იგი მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ნება ეძლეოდა თვითონვე დაენიშნა თავისი ნაცვალი. ასეც მოხდა. გრიგოლ პოტიომკინმა წარმომადგენლად დანიშნა თავისივე ნათესავი, გენერალი **პავლე პოტიომკინი**.

1783 წლის 24 ივლისს, დილით, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და 1 საათზე საზეიმოდ ხელი მოაწერეს სამ დოკუმენტს: **ტრაქტატის ძირითად ნაწილს, სეპარატულ მუხლებს** და „**ფიცის სახეს**“ (რუსულ და ქართულ ტექსტებს). ხელი ჯერ პავლე პოტიომკინმა, ხოლო შემდეგ ქართველმა ელჩებმა მოაწერეს. წინასწარ შეთანხმდნენ მეოთხე დოკუმენტზეც (დამატებით მუხლზე). ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების ტექსტები გაცვალეს. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა **გარსევან ჭავჭავაძემ**, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა ამ საქმეში გრიგოლ პოტიომკინის დამსახურება.

24 ივლისს პავლე პოტიომკინმა ხელშეკრულების დედანი, ქართლ-კახეთის სამეფოს თავადებისა და აზნაურების სია და მოლაპარაკების ოქმი გაუგზავნა გრიგოლ პოტიომკინს.

გეორგიევსკის ტრაქტატი ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება: **ცამეტი ძირითადი, ოთხი სეპარატული (ცალკე), ერთი დამატებითი მუხლისა და ერეკლეს ფიცის ნიმუშისაგან („სახე“)**. ყოველ მათგანს, როგორც დამოუკიდებელ დოკუმენტს, წარმომადგენლებმა ცალკე მოაწერეს ხელი და თავიანთი ბეჭედი დაუსვეს. ხელშეკრულება რუსულ და ქართულ ენაზე შედგა, ორივე ტექსტი თანაბარი ძალისა იყო. არც ერთ მათგანს მეორე ენაზე არსებულ ტექსტზე მითითება არ აქვს. ამიტომაც ყოველ მათგანს მეორე ენაზე „თარგმანი“ ახლდა. ეს ფაქტი მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემას გამოხატავდა. ეს გეორგიევსკის ტრაქტატის, როგორც ხელშეკრულების, თავისებურება იყო. დღეს ჩვენთვის

ხელმისაწვდომია გეორგიევსკის ტრაქტატის მხოლოდ ქართული დედანი (რუსული „თარგმანითურთ“), რომელიც რუსეთის მხარეს გადაეცა (იგი რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივშია დაცული), ხოლო რუსული დედანი (ქართული „თარგმანითურთ“), რომელიც საქართველოს მხარეს გადაეცა, ჯერ მიკვლეული არ არის. რუსული დედანი, ალბათ, აღამაჰმად ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აკლესიას ქართლ-კახეთის სამეფოს მთელ არქივთან ერთად დაიღუპა.

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს, მის 13 მუხლს (არტიკულს), წინ უძღვის **პრეამბულა**, სადაც მოკლედ ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების ანუ „**მეგობრობითი პირობის**“ (რუსული ტექსტით „მეგობრობის ხელშეკრულების“ – „ДРУЖЕСТВЕННЫЙ ДОГОВОР“) დადების მოტივები. აღნიშნულია: – საქართველოს ოდიოზანვე აწუხებდნენ მეზობელი ქვეყნები და რუსეთმა არაერთგზის აღმოუჩინა მას დახმარება, ხოლო ახლა შევთანხმდით, რომ **ქართლ-კახეთის მეფე ცნობს რუსეთის ხელმწიფის უზენაეს ხელისუფლებას, ხოლო რუსეთი დაიცავს ქართლ-კახეთს გარეშე მტრებისაგანო**. შემდეგ დასახელებულია მხარეთა მიერ დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენლები და ქვემოთ 13 მუხლად (არტიკულად) ჩამოყალიბებულია შეთანხმების პირობები, რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქართლ-კახეთის მეფე „სახელითა თვისთა მემკვიდრეთა და მენაც ლეთა თვსთა“ საზეიმოდ („დღესასწაულობით“) და საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობს, ცნოს ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა, აღუთქვამს მათ ერთგულებას (მუხლი 1).

2) რუსეთის იმპერატორი თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ იგი სამუდამოდ გაუწევს მფარველობას ქართლ-კახეთის სამეფოს და დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან, იმ სამფლობელოების ჩათვლით, რომელთაც ერეკლე თეიმურაზის ძე, ვითარების წყალობით, მომავალში შემოიერთებს და რომლებიც მასვე დაუმკვიდრდება (მუხლი 2);

3) როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები გახდებიან მეფეები, უმაღლესი აუწყებენ რუსეთის მთავრობას და რუსეთის მთავრობა გამოუგზავნის მათ სამეფო ნიშნებს და ისინიც მიიღებენ ერთგულების ფიცს. ამ წესს აღასრულებს ერეკლე მეფეც (მუხლი 3);

4) ერეკლემ (შემდეგ მისმა მემკვიდრეებმაც) უცხო ქვეყნებთან მიმოწერა რუსეთის მინისტრთან (წარმომადგენელთან) და „კავკასიის ხაზის“ სარდალთან უნდა შეათანხმოს (მუხლი 4);

5) ერეკლე II-ს რუსეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი, ან რეზიდენტი, რომელიც მეფის საჭიროებაზე მოახსენებს რუსეთის მთავრობას, იგი უფლებებით გათანაბრებული იქნება სხვა ქვეყნების მინისტრებთან, ხოლო რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი წარმომადგენელი (მუხლი 5);

6) რუსეთის იმპერატორი, რომლის უზენაესობა აღიარა ქართლ-კახეთმა, თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვამდა ამ უკანასკნელს: ა) ქართული სამეფოების მოსახლეობას თვლის იმპერიასთან მჭიდრო კავშირში მყოფად, ამიტომ დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან და მათ მტრებს თავის მტრად ჩათვლის; ოსმალეთთან, სპარსეთთან და სხვა ქვეყნებთან რუსეთის მიერ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები ქართლ-კახეთზეც ვრცელდება; ბ) ერეკლესა და მის შთამომავლებს „დაიცავს უც ალბეგლად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა“; გ) ქვეყნის საშინაო საქმეები – მმართველობა, სასამართლო და მსჯავრი, გადასახადების აკრეფა, ქართლ-კახეთის მეფის სრული ნებაა და სარგებელიც მისია; რუსეთის მთავრობა აუკრძალავს თავის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევას (მუხლი 6);

7) ერეკლე, რუსეთის იმპერატორის აღთქმის პასუხად, თავისი და მემკვიდრეების სახელით ვალდებულებას კისრულობს: ა) ყოველთვის მზად იყოს თავისი ჯარით რუსეთის იმპერატორის სამსახურისათვის; ბ) რუსეთის მოხელე დიდკაცებთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდეს და ასრულებდეს მათ მოთხოვნასა და დაიცვას რუსეთის ქვეშევრდომები შევიწროებისა და შეურაცხყოფისაგან; გ) თანამდებობაზე პირთა დანიშვნის თუ მათი დაწინაურებისას გაითვალისწინებს რუსეთის იმპერიის წინაშე მათს დამსახურებასაც (მუხლი 7);

8) ქართლ-კახეთის კათალიკოსი რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი ხდება და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის სინოდში იკავებს მერვე ადგილს (ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ); თუმცა ქართლ-კახეთის საეკლესიო მართვისა და სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მოხდეს (მუხლი 8);

9) ქართველი თავადები და აზნაურები უფლებებით უთანაბრდებიან რუსეთისას, და რათა სათანადო პატივი მიაგონ რუსეთში ჩასვლისას, ერეკლესაგან ითხოვენ ქართველ თავადთა და აზნაურთა სიას (მუხლი 9);

10) ქართლ-კახეთის მცხოვრებთ უფლება აქვთ გადასახლდნენ რუსეთში, ან, სურვილისამებრ, დაბრუნდნენ სამშობლოში, ხოლო ქართველ ტყვეებს, რომლებიც გამოხსნილი იქნებიან სპარსეთის ან ოსმალეთის ტყვეობიდან, უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ სამშობლოში, ოღონდ გამოსასყიდი და გზის ხარჯები უნდა დაფარონ. ასეთივე წესი ვრცელდება საქართველოს მეზობელთაგან ტყვეობიდან გამოხსნილ რუსებზეც (მუხლი 10);

11) ქართლ-კახეთის ვაჭრებს უფლება ეძლევათ ივაჭრონ რუსეთში და იქ ისარგებლონ იმავე უფლებებით, რომლებითაც რუსი ვაჭრები სარგებლობენ, ხოლო რუს ვაჭრებს ეძლევათ ასეთივე უფლება საქართველოში და საქართველოს გზით მეზობელ ქვეყნებში სავაჭროდ გამგზავრებისას (მუხლი 11);

12) ხელშეკრულება იდება საუკუნოდ (სამუდამოდ – "на вечные времена"), მაგრამ თუ საჭირო აღმოჩნდება რომელიმე მუხლის შეცვლა, ან დამატება მხარეთა სასარგებლოდ, საჭიროა ორივე მხარის თანხმობა (მუხლი 12);

13) ტრაქტატის რატიფიკაციისა და გაცვლის ვადად წესდება 6 თვე, თუ შესაძლებელი იქნება, რატიფიკაცია შეიძლება ადრეც (მუხლი 13);

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს (ძირითად მუხლებს), რომელიც დაიღო გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს ხელს აწერდნენ გენერალი პავლე პოტიომკინი, თავადი იოანე ბაგრატიონი და თავადი გარსევან ჭავჭავაძე, დასმულია მათი ბეჭდები.

დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გაფორმდა ოთხი სეპარატული (ცალკე) მუხლი (არტიკული), რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით ერეკლეს ევალება მეგობრულ ურთიერთობაში დარჩეს სოლომონ იმერთა მეფესთან, ხოლო უთანხმოების ჩამოვარდნის შემთხვევაში, უნდა დაემორჩილოს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას (მუხლი 1);

2) ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთმა საქართველოში უნდა გამოგზავნოს თავისი ხარჯით ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით (მუხლი 2);

3) რუსეთის „მესაზღვრე უფროსი“ (კავკასიის ხაზის სარდალი) იმპერატორისაგან უფლებამოსილია, ომის შემთხვევაში შეუთანხმდეს ერეკლეს და ისეთი ზომები მიიღოს ქართლ-კახეთის დასაცავად და მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ, როგორც საჭიროა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად; ხოლო თუ ქართლ-კახეთის ჯარის იმპერატორის სამსახურში იქნება გამოყენებული, ჯარის შესანახი ხარჯი რუსეთმა უნდა გაიღოს (მუხლი 3);

4) რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ ომის დროს ეცდება იარაღით, ხოლო დაზავებისას მოლაპარაკების გზით დაუბრუნოს ქართლ-კახეთს მტრისაგან მიტაცებული მიწები, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის გამგებლობაში დარჩება (მუხლი 4).

სეპარატული მუხლები გაფორმდა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს. მას ხელი მოაწერს ზემოთ ხსენებულმა წარმომადგენლებმა და დაუსვეს თავიანთი ბეჭდები.

ცალკე დოკუმენტის სახით გაფორმდა **ფიცის ნიმუში („სახე“)**, რომელიც ერეკლეს უნდა მიეღო ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ. იგი შეთანხმებული იქნა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, ხელი მოაწერეს და ბეჭდები დაუსვეს **პავლე პოტიომკინმა, იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ**. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით, აღუთქვამდა რუსეთის იმპერატორს, მის ძეს პავლეს და ყოველ კანონიერ მემკვიდრეს რუსეთის ტახტისას, რომ იქნებოდა ერთგული რუსეთის იმპერატორისა და აღიარებდა მის უზენაეს ხელისუფლებასა და მფარველობას. იგი უარყოფდა სხვა ხელმწიფეთა უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას, რუსეთის მტერს თავის მტრად რაცხდა.

დასასრულ, მეოთხე დოკუმენტი, ე. წ. **„შესასრულებელი არტიკული“**, ანუ დამატებითი მუხლი ეხება ქართლ-კახეთის მეფის კურთხევის წესს. აქ აღნიშნულია, რომ რაკი ქართლ-კახეთის მეფეები ძველთაგანვე სამეფო ტახტზე გვირგვინით იმკობოდნენ და მირონცხებას იღებდნენ, რუსეთის იმპერატორი ნებას რთავს მეფეები შემდეგშიც იმავე წესით ეკურთხონ. ამასთან ერთად, რუსეთის იმპერატორი გამოუგზავნის მათ ინვენსტიტურას და ჩვეულებრივ სამეფო გვირგვინს, როგორც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. ერეკლე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს, რომ ამ წესს აღასრულებენ ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ. საინტერესოა, რომ „შესასრულებელი არტიკულიც“ (დამატებითი მუხლიც) ხელმოწერილია ხსენებულ წარმომადგენელთა მიერ, დასმული აქვს მათი ბეჭდები, ოღონდ ხელმოწერის თარიღია 1784 წლის 24 იანვარი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებულია ქ. თბილისი. როგორც ცნობილია, პავლე პოტიომკინი 1784 წლის იანვარში თბილისში არ ყოფილა. საქმეში იქვე დაცულ დამატებითი მუხლის რუსულ „თარგმანს“ თვე, რიცხვი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებული არა აქვს. როგორც ირკვევა, ეს მუხლი გეორგიევსკში იყო შეთანხმებული, მაგრამ წარმომადგენლებმა ხელმოწერისაგან თავი შეიკავეს, სანამ ერეკლე II და ეკატერინე II არ გადაწყვეტდნენ საკითხს. ჯერ „შესასრულებელი არტიკულიც“ ეკატერინემ დაამტკიცა და პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ 1783 წლის დეკემბერში ჩამოუტანა პავლე პოტიომკინს, რომელმაც რუსული დედანი შეადგინა, ხელი მოაწერა და საქართველოში გამოგზავნა. ქართული ტექსტი, რუსული ტექსტის ადეკვატური, დაიწერა თბილისში 1784 წლის 24 იანვარს. საქართველოს წარმომადგენლებმა, ერეკლე II-ის მიერ ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელის ხელმოწერის დღეს, ხელი მოაწერეს „შესასრულებელ არტიკულს“ (ასევე რუსულ ეგზემპლარსაც). 25 იანვარს ქართველმა ელჩებმა და პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ „შესასრულებელი არტიკულის“ ტექსტები გაცვალეს (ქართული პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ ჩაიბარა, ხოლო რუსული – ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ). პ. პოტიომკინს „შესასრულებელ არტიკულზე“ ვ. ტამარას თბილისიდან დაბრუნების შემდეგ მოუწერია ხელი (თარიღი ძველი, თბილისში ხელმოწერის დრო დაუტოვებია).

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ. იმავე წლის 20 აგვისტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონიალი გამართა, ზეიმზე პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვიც მიიწვია. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, ხოლო 11 საათზე მეფე უფლისწულებითა და დიდებულებით მოვიდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა, მისცეს საღუტი.

1783 წლის აგვისტოში ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს ტექსტის დაბეჭდვის თაობაზე. ტრაქტატის ძირითადი ტექსტი – 13 მუხლი – მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად „ქვეყანაში გამოსაცხადებლად“. იგი რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში. 1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ მოახდინა გეორგიევსკის ტრაქტატის, ანუ, როგორც იგი წერდა, „მეგობრობის ხელშეკრულების“ რატიფიკაცია და დოკუმენტი საქართველოში გამოგზავნეს.

1783 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს ტრაქტატით იყო განსაზღვრული, საქართველოში შემოვიდა.

1783 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი ვ. ტამარა პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა პავლე პოტიომკინმა იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოისტუმრა.

1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ვ. ტამარა თბილისში ჩამოვიდა და 22 იანვარს ერეკლეს წარუდგა. 24 იანვარს ერეკლე II-მ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა (სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა), 25 იანვარს რუსი მოხელეების (ს. ბურნაშოვისა და ვ. ტამარას) თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიციც მიიღო, რის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს, ხოლო ი. ბაგრატიონმა და ვ. ჭავჭავაძემ დამატებითი მუხლი გაუცვალეს პოლკოვნიკ ვ. ტამარას.

გეორგიევსკის ტრაქტატი ძალაში შევიდა.

საქართველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი სერგეი ბურნაშოვი, რომელმაც 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის 2 ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის ფუნქციის შესრულებას. 1784 წლის 29 იანვარს ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლად რუსეთის სამეფო კარზე თავადი გარსევან ჭავჭავაძე დანიშნა.

წყაროები და ლიტერატურა:

იასე ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბილისი, 1960; ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი. დოლიძემ.** თბილისი, 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973; ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998; ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003; **ლევან ალექსიძე.** საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბილისი, 1983; გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოკოპირები **ვ. მაჭარაძისა.** თბილისი, 1983; **გიორგი პაიჭაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983.

თავი V. ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“ (1800 წ. 24 ივნისი) რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს

ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ს (1798-1800) მამამისის, ერეკლე II-ის, არც ნიჭი და არც შემართება არ გააჩნდა. ერეკლე II-ის გარდაცვალებით (1798 წ.) მოიხსოვრის უკანასკნელი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას. ცხადია, რუსეთის იმპერატორს ერეკლე II-ის სიცოცხლეშიც შეეძლო სამეფოს გაუქმება, მაგრამ ეს გაცილებით ადვილი და უმტკივნეულო იქნებოდა მისი მემკვიდრის – გიორგი XII-ის დროს. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა კარგად უწყობდნენ, თუ რა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო დედინაცვალთან (დარეჯან დედოფალთან) და ძმებთან დაპირისპირებული, ავადმყოფი გიორგი XII-ის მეფობის პირველი ხანებიდანვე. მეფობის დასაწყისშივე, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის მდგომარეობის

გაუარესების შემდეგ, გიორგი XII მარტოდმარტო დატოვეს ძმებმა და შვილებმა, ტახტის მემკვიდრე დავითმაც კი. ყველა ემზადებოდა იმ დროისათვის, როცა უიმედოდ ავადმყოფი მეფე გარდაიცვლებოდა და ტახტისათვის ბრძოლის შანსი მიეცემოდათ. ამ ვითარებით შესანიშნავად ისარგებლეს რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა. გიორგი XII მათი მუდმივი ზემოქმედებისა და შანტაჟის ქვეშ იმყოფებოდა.

1799 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის სამეფოში გეორგიევსკის ტრაქტატით (1783 წ.) გათვალისწინებული რუსეთის ჯარის ბატალიონი შემოვიდა. ჯარს სარდლობდა გენერალი **ლაზარევი**. რუსეთის ჯარს თან ახლდა ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის წარმომადგენლად დანიშნული მინისტრი **კოვალენსკი**. ამ დროიდან რუსი დიპლომატები და სამხედროები კონტროლს უწევდნენ გიორგი XII-ის მოქმედებას. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მათ ურჩიეს ქართლ-კახეთის მეფეს სამეფოს შენარჩუნების სანაცვლოდ თავისივე ინიციატივით შეეზღუდა სუვერენული უფლებები. გიორგი XII-მ რუსი დიპლომატებისა და სამხედროების რჩევა გაიზიარა და რუსეთის იმპერატორს შესაბამისი შინაარსის „თხოვნაც“ გაუგზავნა. გიორგი XII-ის გადაწყვეტილება – შეეზღუდა სუვერენული უფლებები – უცნობი იყო თვით ტახტის მემკვიდრისათვისაც კი. დავით გიორგის ძემ მამის მიერ რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი მხოლოდ მამის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე შეიტყო.

1799 წლის 7 სექტემბერს გიორგი XII თავის ელჩებს ავალებდა, „**მთლიანად გადაეცათ**“ სამეფო რუსეთის იმპერატორისათვის. სუვერენულ უფლებათა შეზღუდვის სანაცვლოდ ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორისაგან ითხოვდა:

1) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში ("под покровительством") მიღებას.

2) ეს მფარველობა ("покровительство") გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ამას გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.) ითვალისწინებდა. ამჯერად ქართლ-კახეთის სამეფო უნდა ჩათვლილიყო რუსეთის იმპერიის „კუთვნილებად“ ("... чтобы с этих пор царство Картлосианов считалось принадлежащим Держав Российской с теми правами, которыми пользуются находящиеся в России другая области").

3) ქართლ-კახეთის სამეფოზე თავისი ხელისუფლების სრულად განხორციელების დროს ("во время принятия им Грузинского царства в полную свою власть и распоряжение") რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთის მეფისათვის უნდა მიეცა წერილობითი პირობა სამეფო დინასტიის შენარჩუნების თაობაზე ("не прекращать в доме моем царского звания").

4) გიორგი XII-ისა და მისი შთამომავლებისათვის უნდა შეენარჩუნებინათ მთელი ქონება ("полное и потомственное владение").

1800 წლის 24 ივნისს გიორგი XII-მ ხელი მოაწერა ე. წ. „**სათხოვარ პუნქტებს**“ (ნოტას). რუსეთის იმპერატორის პავლე I-დმი მეფის სათხოვარი შემდეგში მდგომარეობდა:

1) გიორგი XII რუსეთის მფარველობაში მიღებას ითხოვდა პირადად მისი, მემკვიდრეების, სამღვდელეობის, დიდებულებისა და ყველა ქვეშევრდომის სახელით ("... навсегда принять подданство всероссийской Империи..."). ქართლ-კახეთის მეფე შეასრულებდა რუსეთის იმპერატორის ყველა კანონსა და ბრძანებას, ხოლო რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთში მიიღებდნენ, როგორც მემკვიდრე ხელმწიფესა და თვითმპყრობელს ("как наследственного (природного) своего государя и самодержца").

2) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შემდეგ გიორგი XII უნდა დარჩენილიყო ქართლ-კახეთის მეფედ, სამუდამოდ უნდა შენარჩუნებოდათ სამეფო ტახტი მის მემკვიდრეებს.

3) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის სანაცვლოდ გიორგი XII-ს რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღო ჯამაგირი და სოფლები რუსეთში (" ... содержание деньгами и деревни в России").

4) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღებამდე დაუყოვნებლივ უნდა გაზრდილიყო ქართლ-კახეთში განლაგებული რუსეთის ჯარის რაოდენობა (" ... немедленно увеличить войска").

ამასთან ერთად, გიორგი XII აყენებდა მისი „სათხოვარი პუნქტების“ (ნოტის) განხილვისა და დროულად დამტკიცების საკითხს. გიორგი XII-ს განზრახული ჰქონდა „სათხოვარი პუნქტების“ დამტკიცების შემდეგ რუსეთის იმპერატორისათვის წარედგინა კიდევ რამდენიმე დოკუმენტი (თხოვნა).

ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის 1800 წლის 24 ივნისის „სათხოვარ პუნქტებს“ (ნოტას) რუსეთის საიმპერატორო კარზე სერიოზულად მოეკიდნენ. 1800 წლის 18 დეკემბრისათვის შედგენილი იქნა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. სხვადასხვა გარემოებათა გამო მანიფესტი ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა.

გიორგი XII-ის გაუაზრებელმა პრორუსულმა საგარეო პოლიტიკამ დააჩქარა ქართლ-კახეთის სამეფოს აღსასრული.

წყაროები და ლიტერატურა:

Н. Дубровин. Георги XII, последний царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1897; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Том II, выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902; **პლატონ იოსელიანი.** ცხოვრება გიორგი XIII-სა. თბილისი, 1936; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973.

თავი VI. რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ (1801 წ. 18 იანვარი)

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“ (1800 წლის 24 ივნისი) რუსეთის საიმპერატორო კარს ნათელ წარმოდგენას უქმნიდა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ. ამასვე ადასტურებდა საიმპერატორო კარისადმი რუსი დიპლომატებისა და სამხედროების მოხსენებები.

იმპერატორმა პავლე I-მა (1796-1801) გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“ 1800 წლის 19 ნოემბერს განიხილა. ამაზე უკეთეს დროს რუსეთის იმპერატორი ვერ დაელოდებოდა – ქართლ-კახეთის მეფე თავისი ნებით იღებდა ხელს სუვერენულ უფლებებზე. 1800 წლის 18 დეკემბერს პეტერბურგში უკვე მზად ჰქონდათ მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. იმავდროულად ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები (გიორგი ავალიშვილი და რევაზ ფალავანდიშვილი) პეტერბურგიდან საქართველოში გამოისტუმრეს. პეტერბურგში დარჩა **გარსევან ჭავჭავაძე.**

ელჩებს თან მოჰქონდათ იმპერატორ პავლე I-ის მიერ დამტკიცებული გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“.

პეტერბურგიდან 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტის ტექსტი, რომელიც ჯერ საიდუმლოდ უნდა დაცულიყო, გადაუზახენეს კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ **კარლ კნორინგს**. უფრო ადრე კარლ კნორინგს მიღებული ჰქონდა ასევე საიდუმლო ბრძანება გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შესახებ. ჩრდილო კავკასიიდან ქართლ-კახეთში დამატებით შეჰყავდათ რუსეთის ჯარი. პეტერბურგიდან კარლ კნორინგს მიღებული ჰქონდა მითითება იმის შესახებ, რომ სამეფოს გაუქმება მეფისა და დიდებულების „თანხმობით“ უნდა მომხდარიყო. პეტერბურგში შემუშავებული გეგმა ჩაშალა გიორგი XII-ის ნაადრევმა გარდაცვალებამ. 1800 წლის 28 დეკემბერს მეფე ისე გარდაიცვალა, რომ ვერც პეტერბურგიდან მომავალმა ელჩებმა ჩამოაღწიეს და ვერც გენერალმა კარლ კნორინგმა მოასწრო სამეფოს გაუქმების შესახებ მეფისაგან თანხმობის მიღება.

ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდნენ და თან ჩამოიტანეს პავლე I-ის მიერ დამტკიცებული გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“. სწორედ „სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე გამოცხადდა გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი დავით XII **„საქართველოს მემკვიდრედ და მმართველად“**. თანახმად „სათხოვარი პუნქტებისა“, დავით XII ქართლ-კახეთის მეფედ რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. პავლე I-გან დასტურის მისაღებად დავით XII-მ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები ისევ პეტერბურგში გააბრუნა. არც ქართველმა ელჩებმა და, ცხადია, არც ქართლ-კახეთის სამეფო კარმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო მათი სამეფოს ბედი.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე (ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მანიფესტის ტექსტის შედგენა დასრულდა ჯერ კიდევ 1800 წლის 18 დეკემბერს).

პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად ვხვდებით ტერმინებს: "царство Грузинское" და "Грузия".

იმპერატორი პავლე I აცხადებდა:

- 1) ქართლ-კახეთის სამეფო სამუდამოდ უერთებოდა რუსეთის იმპერიას;
- 2) ქართლ-კახეთის მოსახლეობას შეუნარჩუნდებოდა ყველა უფლება და უპირატესობა, ასევე ქონება;
- 3) ქართლ-კახეთის მოსახლეობა დაცული იქნებოდა გარეშე მტრეთაგან და შინაგანი არეულობისაგან.

1801 წლის 20 იანვრის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფო სახლის ყველა წევრს პეტერბურგში იწვევდნენ. თბილისიდან პეტერბურგში გაიგზავნა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის სამეფო გვირგვინი და კვერთხი.

1801 წლის 6 მარტს პეტერბურგში დამტკიცდა ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფოს მმართველობის წესები. 11 მარტს ქართლ-კახეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი **კარლ კნორინგი**.

1801 წლის 11-12 მარტს, ღამით, შეთქმულებმა მოკლეს იმპერატორი პავლე I. ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარება დროებით შეფერხდა.

წყაროები და ლიტერატურა:

Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею. Под редакцией А. Берге. Том I. Тифлис, 1866; Н. Дубровин. Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1897; **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი XIII-სა. თბილისი, 1936; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973.

თავი VII. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე (1801 წ. 12 სექტემბერი)

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მამამისის, იმპერატორ პავლე I-ის, საშინაო და საგარეო პოლიტიკა სერიოზულად გადასინჯა. ბევრი რამ უარყოფილი იქნა, ბევრი რამ ხელახალი შესწავლისა და მსჯელობის საგანი გახდა. ასეთივე ბედი ეწია იმპერატორ პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე. ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხის ხელახლა განხილვის გადაწყვეტილება მიიღო. 1801 წლის 11 აპრილს რუსეთის იმპერიის **სახელმწიფო საბჭომ** მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებას. სახელმწიფო საბჭოს მოსაზრება ემყარებოდა შემდეგს: 1) ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ოჯახის წევრებს შორის დაწყებული უთანხმოება ისედაც სუსტ სამეფოს დაღუპვით ემუქრებოდა; 2) რუსეთის იმპერიამ უკვე საჯაროდ დაადასტურა ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა, ამიტომაც იმპერიის პრესტიჟის დაცვა აუცილებელს ხდიდა ქართლ-კახეთის შეერთებას რუსეთთან; 3) ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთება უზრუნვეყოფდა რუსეთის იმპერიის საზღვრების დაცვას და აღკვეთდა კავკასიის მთიელთა თვითნებობას.

ამასთან ერთად, სახელმწიფო საბჭომ აუცილებლად ჩათვალა: ა) ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის დატოვება; ბ) ქართლ-კახეთის დროებითი მთავრობის შექმნა; გ) ვითარების ადგილზე გაცნობის მიზნით კავკასიის ხაზის უფროსის, გენერალ კარლ კნორინგის ქართლ-კახეთის სამეფოში მივლინება.

1801 წლის 8 აგვისტოს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ მოისმინა გენერალ **კარლ კნორინგის** მოხსენება. ასევე გაეცნენ იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი გრაფ **ვორონცოვისა** და გრაფ **კონუბის** მიერ წარდგენილ მოხსენებებს. გრაფი კონუბი და გრაფი ვორონცოვი წინააღმდეგნი იყვნენ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებისა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საბჭომ მხარი დაუჭირა ქართული სამეფოს რუსეთის იმპერიაში შესვლას. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას დაეთანხმა იმპერატორი **ალექსანდრე I**. 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში, ისევე როგორც სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად იხმარებოდა ცნებები „საქართველო“ და „საქართველოს სამეფო“ („Грузия“, „царство грузинское“).

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I აცხადებდა:

1) ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა და დაცვა ხდებოდა რუსეთის მონარქების მოვალეობა.

2) 1796 წელს იმპერატორმა ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს გადასარჩენად გაგზავნა ჯარი, რომელმაც ქართლ-კახეთი იხსნა საფრთხისაგან, თუმცა ამ ჯარის მოულოდნელმა უკან გაწვევამ გააცრუა ქართველთა იმედები.

3) რუსეთის ჯარის გაწვევის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს თავს დაატყდა მრავალი უბედურება: ურწმუნოთა თავდასხმები, ქალაქებისა და სოფლების გაჩანაგება, ადამიანების გატაცება და ბოლოს დაპირისპირება სამეფო ოჯახის წევრებს შორის.

4) მტრები მზად იყვნენ თავს დასხმოდნენ და საბოლოოდ მოესპოთ ქართლ-კახეთის სამეფო.

5) მთელ აზიაში ცნობილი ქართველთა სიმამაცეც კი ვერ იხსნიდა ქვეყანას დაღუპვისაგან.

6) რუსეთის ჯარის შემოსვლამ ქართლ-კახეთის სამეფოში (1799 წ. – ვ. გ.) და ომარხანის დამარცხებამ იხსნა ქვეყანა განადგურებისაგან.

7) რუსეთმა შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს მტრების დაოკება, შეწყდა დაპირისპირება ქვეყნის შიგნით. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთმა ითხოვა (იგულისხმება გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“ – ვ. გ.) ქვეყანაში უშუალოდ რუსული მმართველობის დამყარება ("... и все вы, единодушно и торжественно воззвали власть российскую управлять вами непосредственно").

8) როცა მე ტახტზე ავედი, უკვე გამოცემული იყო 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე.

9) მე მსურდა, გამეგო, თუ შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს პირვანდელი პირობებით რუსეთის იმპერიის მფარველობაში დარჩენა (იგულისხმება გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები – ვ. გ.). გაირკვა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში შეუძლებელი იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქვეყანა დაღუპვის პირას იყო და იგი აუცილებლად დაიღუპებოდა, თუ მას რუსეთი არ შეიერთებდა ("столь кратно вовлекало вас в бездну золь, на краю коей и ныне вы стоите и в которую, по всем соображениям, должны бы будете низвергнуться, если мощная рука справедливой власти от падения сего вас не удержит").

10) ამ ვითარებამ და ქართველი ერის თხოვნამ გადაგვაწყვეტინა, დაგვეცვა ერთმორწმუნე ქვეყანა.

11) თქვენი იმედები გამართლდება, თქვენ მოტყუებულნი არ დარჩებით.

12) ქართლ-კახეთის სამეფოს მართვა ჩვენ იმიტომ კი არ გადავწყვიტეთ, რომ ისედაც უზარმაზარი იმპერიის ტერიტორია გაგვეფართოებინა, არამედ იმიტომ, რომ, ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობიდან გამომდინარე, ყურად ვიღეთ წამებულთა ხვეწნა-მუდარა.

13) ქართლ-კახეთში შემოდებულმა მმართველობამ ქვეყანაში უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება, კანონის დაცვა.

14) გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს დავავადეთ ქართლ-კახეთის მმართველობის ორგანიზება და იგი დავნიშნეთ მთავარმმართველის ("главноуправляющий") თანამდებობაზე.

15) აღდგება გაჩანაგებული სოფლები და ქალაქები.

16) ქართლ-კახეთის ყველა მცხოვრებს შეუნარჩუნდება მისი წოდებრივი მდგომარეობა, აღმსარებლობა (რელიგია) და პირადი უსაფრთხოება.

17) უფლისწულებს შეუნარჩუნდებათ საუფლისწულო მამულები, მამულებიდან მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად მიეცემათ ფულის სახით, თუ ისინი არ დაარღვევენ დადებულ ფიცს.

18) ამ მანიფესტის აღიარების (მიღების) ნიშნად ქართლ-კახეთის მოსახლეობამ უნდა დაიფიცოს თანდართული ფიცის ნიმუშის მიხედვით. სამღვდელოებამ, როგორც სულიერმა მოძღვრებმა, დაფიცებისას მაგალითი უნდა მისცეს ხალხს.

19) ქართლ-კახეთის მოსახლეობა შეიტყობს კეთილი მმართველობის ფასს: ქვეყანაში დამკვიდრდება მშვიდობა, მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება; აღიკვეთება თვითნებობა; შეიქმნება პირობები პირადი, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის; განვითარდება მიწათმოქმედება, რეწვა, ვაჭრობა. კანონი ყველას ერთნაირად დაიცავს.

20) რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მოსახლეობას აღუთქვამდა, რომ რუსული მმართველობის შემოღება მათთვის ჯილდო იქნებოდა ("Избытки и благоденствие ваше будет приятнейшею и единою для вас наградою").

ასე გათვალა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფეხქვეშ გეორგიევსკის ტრაქტატით გარანტირებული ქართლ-კახეთის სამეფო სახლის, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებები. ასე დასრულდა საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია.

წყაროები და ლიტერატურა:

Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Под редакцией **А. Берге**. Том I. Тифлис, 1866; **Н. Дубровин**. Закавказье от 1803-1806 года. С.-Петербург, 1866; **Н. Дубровин**. Георгий XII, наследный царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1897.

თავი VIII. სამეგრელოს მთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში (1803-1894 წწ.)

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა (1801 წლის 12 სექტემბერი) და ქვეყნის ოკუპაციის (1802 წ.) შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარი იმერეთის სამეფოს დაპყრობისათვის მზადებას შეუდგა.

პეტერბურგში კარგად უწყობდნენ იმერეთის მეფის **სოლომონ II-ის** ანტირუსული განწყობილების შესახებ. გადაწყდა **იმერეთის მეფის პოზიციების შესუსტების მიზნით სამეგრელოს მთავრის გამოყენება**. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა კარგად ისარგებლეს იმერეთის მეფის, სოლომონ II-ისა და სამეგრელოს მთავრის, გრიგოლ დადიანის, დაპირისპირებით. მათი ინტერესები ლენხუმის გამო შეეჯახა. მართალია, სამართლებრივი თვალსაზრისით სამეგრელოს მთავარი იმერეთის მეფის ვასალი იყო, მაგრამ გრიგოლ დადიანი სოლომონ II-ს ლენხუმს ედავებოდა. რუსებმა გრიგოლ დადიანს იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა აღუთქვეს, მაგრამ პირობა წაუყენეს: სამეგრელოს მთავრო რუსეთის იმპერიის **ქვეშევრდომობაში** უნდა შესულიყო. გრიგოლ დადიანი რუსების პირობას დასთანხმდა.

1803 წლის ნოემბერში საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა **პავლე ციციანოვმა (ციციშვილმა)** პოლკოვნიკი **მაინოვი** სამეგრელოში გაგზავნა. მაინოვს სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანისათვის უნდა გაეცნო პავლე ციციანოვის მიერ შემუშავებული იმ

„სათხოვარი პუნქტების“ შინაარსი, რომელიც სამეგრელოს მთავარს რუსეთის იმპერატორისათვის უნდა გაეგზავნა. 1803 წლის 1 დეკემბერს სოფელ ჭალადიდში პოლკოვნიკი მაინოვი შეხვდა გრიგოლ დადიანს და „სათხოვარი პუნქტების“ შინაარსი გააცნო. „სათხოვარი პუნქტები“ სამეგრელოს მთავარმა და დედოფალმა მოიწონეს. 1803 წლის 4 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა, პოლკოვნიკ მაინოვისა და ცაიშის ეპისკოპოსის თანდასწრებით, ხელი მოაწერა „სათხოვარ პუნქტებს“ და რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ქვეშევრდომობაზე დაიფიცა. აღსანიშნავია, რომ „სათხოვარ პუნქტებში“ სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი (ცხადია, რუსეთის თანხმობით) თავის თავს ასე იხსენიებდა: "Князь Григорий Дадиани, законный владетель одишской, лечгумской, сванетской, абхазской и всех земель, искони предкам моим принадлежащих". დაფიცების შემდეგ გრიგოლ დადიანმა სამოსზე რუსეთის იმპერატორის მიერ ბოძებული წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი მიიბნია (ორდენი პოლკოვნიკმა მაინოვმა ჩაიტანა სამეგრელოში).

სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შემდეგი პირობებით შევიდა:

- 1) სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის სამუდამო მფარველობაში შედიოდა.
- 2) სამეგრელოს მთავრის, გრიგოლ დადიანის, მემკვიდრეთა უფროს შტოს შეუნარჩუნდებოდა სამთავროს ტახტი, ახალი მთავრის ტახტზე ასვლა დადასტურდებოდა რუსეთის იმპერატორის სიგელით.
- 3) სასამართლო და სასჯელის აღსრულების უფლება რჩებოდა სამეგრელოს მთავრისა და მისი მემკვიდრეების გამგებლობაში.
- 4) სამეგრელოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი.
- 5) თუ სამეგრელოში ახალი ქალაქი დაარსდებოდა, რუსეთის იმპერიის ხაზინა ამ ქალაქისაგან ისევე მიიღებდა გადასახადს, როგორც ღებულობდა რუსეთის ქალაქებისაგან.
- 6) თუ სამეგრელოში წიაღისეულის ახალი საბადოს დამუშავება დაიწყებოდა, მიღებული შემოსავლის ნაწილი რუსეთის ხაზინაში უნდა შესულიყო.
- 7) სამეგრელოს მოსახლეობა რუსეთის ხელისუფლებას უნდა დამორჩილებოდა.
- 8) სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარისათვის საცხოვრებელი შენობა (ყაზარმა) სამეგრელოს მთავრს უნდა აეშენებინა, მასვე უნდა უზრუნველყო შენობის გათბობა და განათება.
- 9) სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარი სამეგრელოს მთავარს უნდა გამოეკვება.
- 10) წიაღისეულის საბადოს დამუშავების მიზნით მოწვეული მუშებისათვის ხელფასი უნდა აენაზღაურებინათ რუსეთის იმპერიის შესაბამისი უწყების მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით.
- 11) სამეგრელოს სამთავროდან გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს რუსეთი უფასოდ გაიტანდა.
- 12) თუ სამეგრელოს სანაპიროზე ნავსადგური აშენდებოდა, რუსეთიდან ჩამოსული ვაჭრები ამ ნავსადგურით სარგებლობისათვის ბაჟს არ გადაიხდიდნენ.
- 13) რუსეთის იმპერატორს ხელისუფლების სიმბოლოდ სამეგრელოს მთავრისათვის, ტრადიციისამებრ, უნდა ებოძებინა ხმალი და დროშა.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის „სათხოვარი პუნქტები“ შეიწინარა და მის საფუძველზე სამეგრელოს სამთავრო ქვეშევრდომობაში მიიღო. 1804 წლის 4 ივლისს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა სიგელს სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღების თაობაზე. სიგელში აღნიშნული იყო, რომ, გრიგოლ დადიანის თხოვნის თანახმად, სამეგრელოს სამთავრო მიღებული იყო "в вечное подданство". აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე I-ის სიგელში გრიგოლ დადიანი მხოლოდ სამეგრელოს მთავრად იხსენიება და მის სამფლობელოში არ იგულისხმებოდა აფხაზეთი და სვანეთი. 1805 წელს რუსეთის იმპერატორის სიგელი სამეგრელოში ჩამოიტანეს და სამეგრელოს მთავრის მემკვიდრეს **ლევან დადიანს** გადასცეს (გრიგოლ დადიანი ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო). სიგელის გაცემის ცერემონიალს დაესწრნენ დიდებულები და სამღვდელოება. რუსეთის იმპერატორის სიგელი წაიკითხეს ეკლესიებში. ლევან დადიანს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ქვეშევრდომობის ფიცის მიღების შემდეგ გადაეცა იმპერატორისაგან ბოძებული წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენი, ხმალი და დროშა.

იმერეთის მეფის ვასალის სამეგრელოს მთავრის ქვეშევრდომობაში მიღებით რუსეთის იმპერატორმა შელახა მონარქის, სოლომონ II-ის, უფლებები, ხელყო იმერეთის სამეფოს ტერიტორიული მთლიანობა.

წყაროები და ლიტერატურა:

Н. Дубровин. Закавказье от 1803-1806 года. С.-Петербург, 1866; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იანი წლებამდე. თბილისი, 1973.

თავი IX. ელაზნაურის ტრაქტატი (1804 წ. 25 აპრილი)

სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღებამ ძალზე გაამწვავა იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა. ალექსანდრე I-ის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ და ქვეყნის ოკუპაციამ სოლომონ II დაარწმუნა იმაში, რომ მალე იმერეთის სამეფოს ჯერიც დადგებოდა, რუსეთის საიმპერატორო კარი თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილ სოლომონ II-ს მეფობას დიდხანს აღარ შეუნარჩუნებდა. სოლომონ II იმასაც გრძნობდა, რომ რუსეთი იმერეთის სამეფოს **მფარველობაშიც** კი აღარ მიიღებდა და იმერეთის მეფეს **ქვეშევრდომობას** შესთავაზებდა. სოლომონ II-თვის ცნობილი იყო, რომ რუსი დიპლომატები და სამხედროები სამეგრელოს მთავრის შემდეგ გურიის მთავრის გადაბირებას ცდილობდნენ.

1804 წელს საქართველოს მთავარსარდალი გენერალი **პავლე ციციანოვი** ჯარით შეიჭრა იმერეთში და მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. სოლომონ II კარგად ხედავდა, რომ რუსეთის ჯარის შეტევას ვერ შეაჩერებდა. მეფე იძულებული გახდა, გენერალ პავლე ციციანოვთან მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. ამასთან ერთად, სოლომონ II-მ მოლაპარაკების პირობად ლენსუპის იმერეთის სამეფოს ნაწილად აღიარება მოითხოვა. პავლე ციციანოვმა პირობა უსაფუძვლოდ ცნო. გენერალი იმერეთის მეფეს ომით ემუქრებოდა. სამაგიეროდ, პავლე ციციანოვმა სოლომონ II-ს დაუთმო გურიის საკითხთან დაკავშირებით – გურია იმერეთის სამეფოს ნაწილად იქნა ცნობილი.

1804 წლის 25 აპრილს სოფელ **ელაზნაურში** სოლომონ II-მ და პავლე ციციანოვმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს. **ელაზნაურის ტრაქტატი** იყო იმერეთის მეფე სოლომონ II-ის

„სათხოვარი პუნქტები“ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი. ეს „სათხოვარი პუნქტები“ სინამდვილეში პავლე ციციანოვის მიერ იყო ნაკარნახევი. ელაზნაურის ტრაქტატი ასეთი შინაარსისა იყო:

1) ტრაქტატის ძალით, იმერეთის მეფე და იმერეთის სამეფო გადაიოდა რუსეთის ქვეშევრდომობაში ("в вечное и верное рабство и подданство Высочайшей Всероссийской державе").

2) იმერეთის სამეფოში შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო სამეფო დინასტია, რაც რუსეთის იმპერატორს სიგელით უნდა დაედასტურებინა.

3) სასამართლო და სასჯელის აღსრულების უფლება იმერეთის მეფის გამგებლობაში რჩებოდა.

4) იმერეთის სამეფოში განლაგდებოდა რუსეთის ჯარი, რომელიც დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრებისაგან და უზრუნველყოფდა შინაგან წესრიგს.

5) იმერეთის სამეფოში წიაღისეულის ახალი საბადოს დამუშავებით მიღებული შემოსავლის ნაწილი რუსეთის იმპერიის ხაზინაში უნდა შესულიყო.

6) თუ იმერეთის სამეფოში ახალი ქალაქი დაარსდებოდა, რუსეთის იმპერიის ხაზინა ამ ქალაქიდან ისევე მიიღებდა გადასახადს, როგორც იღებდა რუსეთის ქალაქებისაგან.

7) იმერეთის მეფე რუსეთის ხელისუფლებას უნდა დამორჩილებოდა, როგორც ქვეშევრდომი ("как верноподданный раб").

8) რუსეთის ჯარისათვის იმერეთის მეფეს უნდა აეგო შენობები (ყაზარმები) და უზრუნველყო მათი გათბობა.

9) იმერეთის მეფეს რუსეთის ჯარი უნდა მოემარაგებინა სურსათითა და ფურაჟით.

10) თუ იმერეთის სამეფოში წიაღისეულის ახალი საბადოს დამუშავება დაიწყო, მოწვეული მუშებისათვის ხელფასი უნდა აენაზღაურებინათ რუსეთის შესაბამისი უწყების მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით.

11) იმერეთის სამეფოდან რუსეთი უფასოდ გაიტანდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს.

12) სამეგრელოს სამთავროს მიმართ იმერეთის მეფეს არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა. იმერეთის მეფეს სამეგრელოს მთავრისათვის უნდა დაებრუნებინა ტყვეები და დაეცალა საბრძოლო მოქმედებების დროს დაკავებული სამეგრელოს ციხეები.

13) იმერეთის მეფეს უნდა მოეწესრიგებინა და დაეცვა ქუთაისიდან ვახანის ციხემდე მიმავალი გზა, ასევე ქუთაისიდან სამეგრელოსა და ფოთისაკენ მიმავალი გზა.

14) სოლომონ II-ს ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ კონსტანტინე დავითის ძისათვის უნდა მიეცა შემოსავალი საუფლისწულო მამულიდან.

15) ტახტის მემკვიდრე, უფლისწული კონსტანტინე დავითის ძე სოლომონ II-ის გარდაცვალებამდე დარჩებოდა ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ან რუსეთში, რათა მიეღო ტახტის მემკვიდრისათვის აუცილებელი განათლება.

16) რუსეთის საქონელი, რომლის გადატანა ხორციელდებოდა ქართლ-კახეთიდან შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ და პირიქით, არ უნდა დაბეგრულიყო.

17) იკრძალებოდა მოსახლეობის გადასვლა იმერეთის სამეფოდან ქართლ-კახეთში და პირიქით.

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის **ქვეშევრდომობაზე** დაფიცების შემდეგ სოლომონ II-ს გადაეცა რუსეთის იმპერატორის მიერ ნაბოძები წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იმერეთის მეფე და იმერეთის სამეფო „სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე **ქვეშევრდომობაში** მიიღო. იმერეთის სამეფოს ქვეშევრდომობაში მიღების სიგელს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა 1804 წლის 4 ივლისს. სიგელში აღნიშნული იყო, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II და იმერეთის სამეფო შედიოდა რუსეთის იმპერიის **ქვეშევრდომობაში** ("в вечное подданство"). ალექსანდრე I-ის სიგელში სოლომონ II მხოლოდ იმერეთის მეფედ იწოდებოდა, მის სამფლობელოში არ იგულისხმებოდა სამაგრელო, გურია და ლეჩხუმი.

1809 წელს კავკასიის მთავარმმართველმა (მთავარსარდალმა) **ალექსანდრე ტორმასოვმა**, პეტერბურგიდან მიღებული მითითების თანახმად, დაარღვია ელაზნაურის ტრაქტატი და სოლომონ II ტახტიდან გადააყენა. 1810 წელს ალექსანდრე ტორმასოვმა სოლომონ II შეიპყრო, მაგრამ მეფემ ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა. 1810 წელს რუსეთის ჯარებმა იმერეთი დაიპყრო. სოლომონ II ოსმალეთში გადაიხვეწა.

იმერეთის მეფის ტახტიდან გადაყენებისა და დამარცხების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარმა უკან წაიღო დადებული პირობა გურიის სამთავროს იმერეთის სამეფოს ნაწილად ცნობის შესახებ. 1810 წელს რუსეთის წაქეზებით გურიის მთავარმა დამოუკიდებლად ითხოვა რუსეთის **ქვეშევრდომობაში** მიღება. თხოვნა შეწყინარებული იქნა – გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიის **ქვეშევრდომობაში** შევიდა.

ასე გათელა ფეხქვეშ რუსეთის იმპერატორმა მეორე ქართველი მონარქის – იმერეთის მეფე სოლომონ II-ის – უფლებანი, დაარღვია ელაზნაურის ტრაქტატი და იმერეთის სამეფო უთოფოდ დაიპყრო.

ლიტერატურა:

Н. Дубровин. Закавказье от 1803-1806 года. С.-Петербург, 1866.

თავი X. ელაზნაურის ტრაქტატის განახლების ცდა

1804 წლის აპრილში დადებული ელაზნაურის ტრაქტატი რუსეთის საიმპერატორო კარს აღარ აკმაყოფილებდა. მზადდებოდა იმერეთის სამეფოს გაუქმება. კავკასიის ახალ მთავარსარდალს (მთავარმმართველს) გენერალ **ალექსანდრე ტორმასოვს** არ მოსწონდა, რომ სოლომონ II, ელაზნაურის ტრაქტატის მიუხედავად, თავს დამოუკიდებელ მონარქად გრძნობდა. ალექსანდრე ტორმასოვმა სოლომონ II-ის წინააღმდეგ იმერეთის თავადების გადაბირება დაიწყო. სოლომონ II-მ გადაწყვიტა, ელაზნაურის ტრაქტატი განეახლებინა ისე, რომ მისი უფლებების შემზღუდავი მუხლები ან საერთოდ ამოეღო, ან შეერბილებინა მაინც.

კავკასიის მთავარმმართველ გენერალ ალექსანდრე ტორმასოვისათვის იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მიერ გაგზავნილი ახალი ხელშეკრულების პროექტი რუსულ თარგმანში ასეა დასათაურებული "Пункты новой обязанности нашей". დოკუმენტი შემდეგი შინაარსისაა:

1) იმერეთის მეფე სოლომონ II ცნობდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის უზენაეს ხელისუფლებას იმერეთის სამეფოზე.

2) იმერეთის მეფე ხელახლა დებდა ფიცს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.

3) ხელშეკრულების ხელმოწერისა და ფიცის დადების დღიდან იმერეთის მეფე და მისი მემკვიდრეები გადადიოდნენ რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეების ქვეშევრდომობით მფარველობაში ("подданическое покровительство").

4) იმერეთის სამეფო რჩებოდა სოლომონ II-ისა და მისი მემკვიდრეების მფლობელობაში. რუსეთის იმპერატორის მიერ გაცემულ ამ უფლების დამადასტურებელ სიგელში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ გურია იმერეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილია.

5) იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე მომავალში მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლითონებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი უნდა გადასცემოდა იმერეთის სამეფო კარს.

6) იმერეთის მეფეს უნდა შეესრულებინა რუსეთის იმპერატორის ბრძანებები და განკარგულებები.

7) იმერეთის სამეფოდან რუსეთი უფასოდ გაიტანდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს. ნავსადგურებამდე ხე-ტყის გადამზიდი მუშების ხელფასი უნდა გაეცა რუსეთის ხაზინას.

8) იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე ტვირთის გადატანისათვის რუსი ვაჭრები ბაჟს არ გადაიხდიდნენ. სამაგიეროდ, რუსეთის ხაზინას იმერეთის მეფისათვის უნდა მიეცა ფულადი კომპენსაცია.

9) რუსეთის ჯარის ერთი ასეული (120 კაცი) იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე განლაგდებოდა იქ, სადაც მოისურვებდა იმერეთის მეფე.

10) იმერეთის მეფის კარზე მუდმივად უნდა ყოფილიყო რუსეთის მინისტრი (წარმომადგენელი).

11) თუ მტერთან ბრძოლის დროს იმერეთში განლაგებული რუსეთის ჯარის გადაადგილება იქნებოდა საჭირო, იმერეთის მეფე მას არ შეზღუდავდა, პირიქით, ყოველმხრივ დაეხმარებოდა.

12) სადღესასწაულო ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში მოიხსენიებდნენ რუსეთის მონარქ ალექსანდრე I-სა და სამეფო ოჯახს.

ზემოთ ჩამოთვლილი თორმეტი პუნქტის შესრულების სანაცვლოდ იმერეთის მეფე სოლომონ II რუსეთის იმპერატორისაგან ითხოვდა:

1) სამეფოს მართვა-გამგეობაში სრულ თავისუფლებას, მათ შორის ქვეშევრდომების დაქვეითებისა და დაწინაურების შეუზღუდავობას.

2) რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა იმერეთის მონარქის მეფობის უფლება, ინვესტიტურა და რეგალიები.

3) თუ რომელიმე ქვეშევრდომი გამოვიდოდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ (უღალატებდა მეფეს), რუსეთის საიმპერატორო კარი იმერეთის მეფეს მის დასჯაში უნდა დახმარებოდა და არ მიეღო მონაწილეობა რუსეთის სამსახურში (ჯარში).

4) თუ იმერეთის მეფეს მტერთან საბრძოლველად რუსეთის ჯარის დახმარება დასჭირდებოდა, კავკასიის მთავარსარდალს (მთავარმართებელს) ქართლ-კახეთიდან იმერეთში დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნა ჯარი. ეს ჯარი ომის დამთავრების შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო ქართლ-კახეთში.

5) არავის არ უნდა ჰქონოდა იმის უფლება, რომ იმერეთის მეფის მიერ რუსეთის იმპერატორთან წერილით გაგზავნილი კურიერი გზაში დაეკავებინა, ან შეეფერხებინა.

6) უნდა აღდგენილიყო იმერეთის მეფის უფლება ლეჩხუმზე, რომელიც მას დაათმობინა გენერალმა პავლე ციციანოვმა.

7) იმერეთის მეფის თანხმობის გარეშე არავის არ უნდა ჰქონოდა უფლება ქართლ-კახეთიდან იმერეთში და იმერეთიდან ქართლ-კახეთში მოსახლეობის გადასახლებისა. წინათ გადასახლებულნი კი უნდა დარჩენილიყვნენ იმ ადგილზე, სადაც ხელშეკრულების დადების დროს იმყოფებოდნენ.

„ახალ ვალდებულებათა პუნქტების“ ბოლოს იმერეთის მეფე სოლომონ II კვლავ ადასტურებდა, რომ სურდა რუსეთის იმპერატორის **ქვეშევრდომობითი მფარველობა** ("подданическое покровительство"). ამის დასტურად სოლომონ II თავის ხელმოწერილ **„ახალ ვალდებულებათა პუნქტებს“** რუსეთის იმპერატორს წარუდგენდა.

სოლომონ II-ის ცდა უშედეგოდ დასრულდა. რუსეთის საიმპერატორო კარს იმერეთის სამეფოს გაუქმება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. იმერეთის მეფის „ახალ ვალდებულებათა პუნქტები“ არც კი განუხილავთ.

წყარო:

Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею. Под редакцией А. Берже. Том IV. Тифлис, 1870.

თავი XI. აფხაზეთის სამთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში (1808-1810 წწ.)

1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ცხადი იყო, რომ თუ რუსეთი ოსმალეთს დაამარცხებდა, რუსი დიპლომატები შეეცდებოდნენ აფხაზეთის ხარჯზე კავკასიაში რუსეთის იმპერიის სამფლობელოების გაფართოებას.

ომის დასაწყისისათვის აფხაზეთის მთავარი **ქელეშ-ბეი შერვაშიძე** რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აფხაზეთის მთავარმა ოსმალეთის ხელისუფლების მოთხოვნა არ შეასრულა და ოსმალებს არ გადასცა სულთნის მიერ შერისხული ტრაპიზონის ფაშა. ქელეშ-ბეის ურჩობამ ძალზე გააღიზიანა სულთანი. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამ აფხაზეთის მთავარს ოსმალეთის ბატონობისაგან თავის დაღწევის იმედი ჩაუსახა. ქელეშ-ბეიმ გადაწყვიტა რუსეთისათვის ეთხოვა დახმარება. მთავრის გადაწყვეტილება მოიწონა აფხაზეთის **სახალხო კრებამ**. გადაწყდა რუსეთის იმპერიის **მფარველობაში** შესვლა.

რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის გადაწყვეტილება შეიძლებოდა ძვირად დასჯდომოდა ქელეშ-ბეის. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის მთავარი ძალზე ფრთხილობდა. 1806 წელს რუსეთის სარდლობამ ქელეშ-ბეის წინადადება მისცა, აფხაზეთის ლაშქრით დაეკავებინა ფოთის ციხე (ფოთის ციხეში ოსმალეთის ჯარით იდგა ქელეშ-ბეი შერვაშიძის ნათესავი ქუჩუკ-ბეი შერვაშიძე). აფხაზეთის მთავარმა ოსმალეთის წინააღმდეგ აშკარა

ამბოხება ვერ გაბედა და ფოთის ციხეზე არ ილაშქრა. იმხანად ომის ბედი გაურკვეველი იყო. თუ ოსმალეთი რუსეთს დაამარცხებდა, ქვეყნების ფოთზე ლაშქრობას ოსმალეთის სულთანი არ აპატიებდა. აფხაზეთის მთავარს არც რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება სურდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის სარდლობას მან გარკვეული დახმარება მაინც გაუწია – ოსმალებს არ მისცა საშუალება აფხაზეთი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გამოეყენებინა. აფხაზეთის მთავრის ასეთმა მოქმედებამ ძალზე შეზღუდა ოსმალეთის ჯარების აქტიურობა დასავლეთ საქართველოში.

აფხაზეთის მთავარს, ქვეყნების, სიცოცხლის ფასად დაუჯდა ოსმალეთის ურჩობა. მთავრის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. 1808 წლის 2 მაისში ქვეყნები მოკლა მისმა შვილმა **ასლან-ბეიმ**. ამ უკანასკნელმა სოხუმის ციხე დაიკავა და თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა. ასლან-ბეის წინააღმდეგ გამოვიდა მისი ძმა **საფარ-ბეი**, მაგრამ მას იმდენი ჯარი არ ჰყავდა, რომ სოხუმის ციხე დაეკავებინა და მამის მკვლეელი აფხაზეთიდან გაეძევებინა. საფარ-ბეის ერთადერთ რეალურ მოკავშირეს რუსეთის იმპერია წარმოადგენდა. საფარ-ბეი შერვაშიძემ დახმარებისათვის სამეგრელოს სამთავროს მმართველ **ნინო ბაგრატიონ-დადიანს** მიმართა (გრიგოლ დადიანი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო). მთავრის ქვრივს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებასთან უნდა ეშუამდგომლა, რათა აფხაზეთის სამთავრო რუსეთის მფარველობაში შესულიყო.

1808 წლის 12 აგვისტოს საფარ-ბეი შერვაშიძემ, რომელმაც ქრისტიანული წესით მონათვლის შემდეგ მიიღო სახელი **გიორგი**, აფხაზ თავადებთან ერთად ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორისადმი „**უშევრდომილეს სათხოველს**“. საინტერესოა ამ დოკუმენტის შექმნის ისტორია. „**უშევრდომილესი სათხოველი**“ დაწერილია „**სათხოვარი პუნქტების**“ სახით. მისი თავდაპირველი ტექსტი რუსულად შეუდგენიათ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. შემდეგ დოკუმენტი უთარგმნიათ ქართულად. ქართულმა ტექსტმა მიიღო ორიგინალის მნიშვნელობა. სწორედ ქართულ ტექსტზეა გიორგი შერვაშიძისა და აფხაზი თავადების ხელმოწერა, დასმული აქვს ბეჭედი. ხელმოწერის შემდეგ „**უშევრდომილესი სათხოველის**“ ქართული დედანი ხელმოწერებითა და ბეჭდით რუსულ თარგმანთან ერთად გაიგზავნა რუსეთში. დოკუმენტი შემდეგი შინაარსისაა:

გიორგი შერვაშიძე, აფხაზეთის მთავრის „შჯულიერი მემკვიდრე და მპყრობელი აფხაზეთისა“ რუსეთის იმპერატორს სთხოვდა:

1) აფხაზეთის სამთავროს ქვეშევრდომობაში მიღებას („შევეკრავ და შემოვალ მონად და მსახურად ვითარცა ყმა...“).

2) ამიერიდან აფხაზეთის მთავარი და აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერატორს ეცნო ქვეშევრდომად („მკვიდრად ყმად და მონად ტახტისა...“).

3) აფხაზეთის მთავარს მიეცეს ქვეშევრდომობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ანუ სიგელი („აღმინიშნოს მე ნიშნითა, ვითარცა სხვანი მთავარნი აღნიშნული არიან საიმპერიოსა ტახტისადმი მონად“).

4) აფხაზეთის მთავარს მიეცეს ტახტზე მემკვიდრეობის სამუდამოდ შენარჩუნების დამამტკიცებელი სიგელი („გარდმომეცეს მე მემკვიდრეობისა ჩემისა დამამტკიცებელი და დამადგინებელი გრამატა“).

5) აფხაზეთის სამთავროში განლაგებული იქნას რუსეთის ჯარი („შეიზღუდოს ქვეყანა ჩემი მხედრობითა... ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისათა“).

6) აფხაზეთის მთავარი რუსეთის იმპერატორს უნდა ჰყავდეს ისეთივე პატივში, როგორ პატივშიც იყო მამამისი – ქელეშბეი შერვაშიძე („... დაუკლებელი მექმნეს მე სარგებლობა და მოწყალება რა იგი აქუნდა შემკვიდრესა და მფლობელსა აფხაზეთისა ქელაიშ აჰმად ბეგს, მამასა ჩემსა“).

7) აფხაზეთის მთავარი რუსეთს უსასყიდლოდ მისცემდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს, ასევე სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის საბადოებიდან შემოსავლის ნაწილს.

გიორგი შერვაშიძე რუსეთის იმპერატორს აცნობებდა, რომ აფხაზეთის მთავრები და მისი ქვეშევრდომები წინათ ქრისტიანები იყვნენ („... წინაპარნი ჩვენნი ქრისტიანედ ბერძნითავე კანონითა სჯულისათა“).

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1810 წლის 17 თებერვალს დაამტკიცა გიორგი შერვაშიძის „სათხოვარი პუნქტები“. სამთავრო რუსეთის იმპერიის **ქვეშევრდომობაში** შევიდა.

1810 წლის 10 ივლისს რუსეთის ჯარმა სოხუმი დაიკავა. 1810 წლის ოქტომბერში გიორგი შერვაშიძეს გადაეცა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის სიგელი აფხაზეთის სამთავროს რუსეთის **ქვეშევრდომობაში** მიღების თაობაზე, ასევე ხელისუფლების სიმბოლოები. გიორგი შერვაშიძე ოფიციალურად გამოცხადდა აფხაზეთის მთავრად.

წყაროები და ლიტერატურა:

გიორგი შერვაშიძის „სათხოვარი პუნქტების“ სოლომონ ლეკიშვილისეული პუბლიკაცია, დაბეჭდილი გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (იხ. „სახალხო განათლება“, 1989 წლის 31 მაისი); **Г. Паичадзе.** Абхазия в составе Российской империи. 1810-1917 гг. – Разыскания по истории Абхазии/Грузии. Тбилиси, 1999; **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I. თბილისი, 2004.

თავი XII. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (1917 წ. 12 მარტი)

საქართველოს დაპყრობის შემდეგ (XIX საუკუნის დამდეგი) რუსეთის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. 1811 წელს გაუქმდა **მცხეთის საკათალიკოსო ტახტი**, ხოლო 1814 წელს – **აფხაზეთის (აფხაზეთ-იმერეთის) საკათალიკოსო ტახტი**. საქართველოს ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა და ამიერიდან იმართებოდა, როგორც რუსეთის ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქია (საეგზარქოსო). საქართველოს ტერიტორიაზე საეკლესიო საკითხებს განაგებდა **საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა**, უმაღლესი სასულიერო პირი იყო **ეგზარქოსი**. 1811 წლიდან 1917 წლამდე მხოლოდ პირველი ეგზარქოსი **ვარლამი** იყო ქართველი (ქსნის ერისთავების საგვარეულოდან), ყველა დანარჩენი – რუსი ეპისკოპოსი ან არქიეპისკოპოსი.

XX საუკუნის დამდეგიდან ქართველმა სამღვდელოებამ (ეპისკოპოსებმა: კირონმა, ალექსანდრემ, პეტრემ, ლეონიდმა; მღვდლებმა: კალისტრატე ცინცაძემ, ამბროსი ხელაიამ და სხვ.) ქართველი მეცნიერების (ეკვითმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარის და სხვ.) მხარდაჭერით დაიწყო ბრძოლა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის **ავტოკეფალიის** აღდგენისათვის. ავტოკეფალისტებს დიდ წინააღმდეგობას უწევდა

საქართველოს ეგზარქოსი და კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაცია, რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი და რუსეთის საიმპერატორო კარი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ბოლო მოუღო რუსეთის იმპერიას. 1917 წლის 12 (25) მარტს **მცხეთის სეკტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში** შეიკრიბა ქართველი სამღვდელთა და მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება:

1. 1917 წლის 12 მარტიდან გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია;
2. დროებით, კათალიკოსის ამორჩევამდე, ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდი;
3. საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

1917 წლის 14 მარტს ეპისკოპოსები: ლეონიდი, ანტონი და პიროსი შეხვდნენ ეგზარქოს **პლატონს (როუდესტვენსკის)** და განუცხადეს, რომ მცხეთაში მიღებული აქტის საფუძველზე იგი გადაყენებულია საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობიდან.

1917 წლის 27 მარტს საქართველოს საეგზარქოსოს რუსულმა სამღვდელთა მიიღო გადაწყვეტილება **ამიერკავკასიის საეგზარქოსოს** დაარსების შესახებ, რომელიც რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში იქნებოდა. ამიერკავკასიის საეგზარქოსოს მრევლი არაქართველი ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ. ამ გადაწყვეტილების განხორციელებას წინ აღუდგა ქართველი სამღვდელთა, კერძოდ, **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი კომიტეტი**.

ქართველი სამღვდელთა აქტიური მოღვაწეობის მიუხედავად, რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა არ ცნო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ქართველმა სამღვდელთა საეკლესიო კრების მოწვევა გადაწყვიტა.

1917 წლის 8 სექტემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში, გაიხსნა **საქართველოს საეკლესიო კრება**. კრებას 430-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. საეკლესიო კრება გახსნა თბილელმა მიტროპოლიტმა **ლეონიდმა**. კრებამ მრავალი საკითხი განიხილა და მიიღო შესაბამისი დადგენილებები. 17 სექტემბერს გაიმართა **კათოლიკოს-პატრიარქის** არჩევნები. კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი: თბილელი მიტროპოლიტი **ლეონიდი (ოქროპირიძე)** და ეპისკოპოსი **კირიონი (საბაგლიშვილი)**. კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობდა 430 დელეგატი. არჩევნებში მცირე უპირატესობით (11 ხმით) გაიმარჯვა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა ეპისკოპოსი **კირიონი**, სახელწოდებით **კირიონ II**.

რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი კი კვლავ არ ცნობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

წყაროები და ლიტერატურა:

მიტროპოლიტი **ანანია ჯაფარიძე**. საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი III. მიმდინარე კრებები (XIX-XX სს.). თბილისი, 2003; **სერგო ვარდოსანიძე**. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბილისი, 2001.

თავი XIII. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა (1918 წ. 22 აპრილი)

ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისაგან გამიჯვნის ერთადერთ სწორ გზას.

რუსეთში ბოლშევიკების მიერ 1917 წლის ოქტომბერში განხორციელებულ კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალები დიდი შემფოთებით შეხვდნენ. საყოველთაოდ იყო ცნობილი ბოლშევიკების ჰეგემონისტური მისწრაფებები, მათ შორის ამიერკავკასიის მიმართაც. იმხანად ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელი იყო (თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთის კავკასიის არმია ამას არ დაუშვებდა), ამიტომაც ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა ასეთი გამოსავალი იპოვეს. 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ამოქმედდა ხელისუფლების სამხარეო ორგანო – **ამიერკავკასიის კომისარიატი** (თავჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). ამიერკავკასიის კომისარიატს თავისი ფუნქცია უნდა შეესრულებინა რუსეთში კანონიერი ხელისუფლების (ე. ი. დროებითი მთავრობის) აღდგენამდე. ამრიგად, განხორციელდა ორი მიზანი: ამიერკავკასია არ გამოეყო რუსეთს, მაგრამ ამავე დროს გაემიჯნა საბჭოთა ხელისუფლებას (ბოლშევიკებს). სულ მალე საბჭოთა რუსეთი თავისი ჰეგემონისტური პოლიტიკის რეალიზებას შეუდგა.

1918 წლის იანვრის დამდეგსა და შუა ხანებში საბჭოთა რუსეთმა სცადა კავკასიის ფრონტიდან მოხსნო სამხედრო შენაერთების გამოყენებით მოეხდინა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია. კავკასიის ფრონტიდან დაძრულ სამხედრო შენაერთებს, რომლებიც ვითომდა სამშობლოში (რუსეთში) ბრუნდებოდნენ, უნდა ეთხოვათ თბილისის გავლით რკინიგზით შავი ზღვის ნავსადგურისაკენ გატარება. შემდეგ, როდესაც სამხედრო ეშელონები რკინიგზის მაგისტრალზე გავიდოდნენ, დაიწყებოდა შეიარაღებული გამოსვლა და რუსეთის ჯარის ხელში ერთბაშად აღმოჩნდებოდა თბილისი, ბათუმი, აგრეთვე სხვა ქალაქები და მთელი სარკინიგზო ხაზი თბილისიდან ბათუმამდე (სტეფანე შაშიანიანის გეგმა). 1918 წლის იანვრის დამდეგს ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ მოქცეულმა, დემორალიზებულმა სამხედრო შენაერთებმა ფრონტის ხაზი დატოვეს და თბილისისკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მანევრი ამოიწყო და სამხედრო ეშელონები თბილისში არ შეუშვა, ბაქოსაკენ გაატარა. ზოგიერთმა სამხედრო შენაერთმა ძალით ცადა თბილისისკენ გაჭრა, მაგრამ ახლადშექმნილმა ქართულმა კორპუსმა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა მძიმე ბრძოლებში საღვურ **შამქორთან** და სხვა ადგილებში სასტიკი მარცხი აწვინა რუსეთის არმიას და იძულებული გახდა ბაქომ მიმართულებით დაეხია. საბჭოთა რუსეთის გეგმები საქართველოს მიმართ სავსებით ცხადი გახდა. ქართულ პოლიტიკურ ელიტას ადრეც არ ეპარებოდა ეჭვი ბოლშევიკთა აგრესიულ, დიდმპყრობელურ მისწრაფებებში, მაგრამ 1918 წლის იანვრის ამბები მაინც ძალზე დამაფიქრებელი იყო.

1918 წლის იანვარში რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის, დემოკრატიული წყობილების მომლოდინე ქართველ პოლიტიკოსებს იმედი საბოლოოდ გაუცრუვდათ. 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის **დამფუძნებელი კრება** გარეკეს. რუსეთის დემოკრატიულმა ძალებმა დიდი დარტყმა განიცადეს. ყველამ დაინახა, რომ ბოლშევიკები ძალაუფლების დათმობას არ აპირებდნენ, დიქტატურა რუსეთში ძალას იკრებდა, ტოტალიტარული რეჟიმი გადაჭრით დაუპირისპირდა განვითარების დემოკრატიულ ხაზს.

ახალი რეალიების, უკანასკნელი მოვლენების ანალიზის საფუძველზე ამიერკავკასიის კომისარიატმა ახალი პოლიტიკური კურსი შეიმუშავა. 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია **ამიერკავკასიის სეიმი**. ამიერკავკასიის სეიმი რუსეთის დამფუძნებელი კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან შედგებოდა. სეიმის თავჯდომარედ არჩეული იქნა **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე**.

ამიერკავკასიის კომისარიატმა სეიმის მოწვევით ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან, თუმცა იურიდიულად ეს ცოტა მოგვიანებით გაფორმდა.

მძიმე პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური კრიზისის, გახრწნილი, დემორალიზებული არმიის დაუძღვრების პირობებში ვ. ლენინმა, როგორც ცნობილია, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან სეპარატიული ზავი დადო, რაც საბჭოთა წყობილებას გადარჩენის უკანასკნელ შანსს აძლევდა. 1918 წლის 3 მარტს **ბრესტ-ლიტოვსკში** გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან დადებული ზავის პირობებით, გერმანიის მოკავშირემ – თურქეთმა – მიიღო **ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის)** ოლქები.

ამიერკავკასიის კომისარიატისათვის ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოლქების თურქეთისათვის გადაცემა არავის შეუთანხმებია, რადგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არც რუსეთი, არც გერმანია და არც თურქეთი არ ცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის 3 მარტისათვის ამიერკავკასია, ფაქტობრივად, გამოყოფილი იყო რუსეთისაგან. ამიერკავკასიის კომისარიატმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ეს პროტესტი სათანადოდ არგუმენტირებული არ იყო. ამიერკავკასიის კომისარიატის არგუმენტებიდან მთავარი ის იყო, რომ ქართული და სომხური მიწები თურქეთს გადასცეს ქართველი და სომეხი ხალხის დაუკითხავად, მათი სურვილისა და დასტურის გარეშე.

თურქეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზებას – მოითხოვა **ბათუმის, ყარსისა და არტაანის** ოლქების დაცლა. 1918 წლის 10 მარტს თურქეთმა მოთხოვნა კვლავ გაიმეორა. 11 მარტს **ამიერკავკასიის სეიმმა** თურქეთის მოთხოვნა უარყო. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდა, რომ თურქეთთან ომი ადვილი არ იყო, ამიტომაც დიპლომატიური გზით ცადეს კონფლიქტის მოგვარება. 14 მარტს **ქ. ტრაპიზონში** დაიწყო ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას **აკაკი ჩხენკელი** მეთაურობდა. აკაკი ჩხენკელის ცდებს, ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები მთლიანად ან ნაწილობრივ შეენარჩუნებინათ, შედეგი არ მოჰყოლია – თურქეთის დელეგაცია კატეგორიულად მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებას. თურქეთის არმიამ საომარი მოქმედებები დაიწყო. 8-9 აპრილს მტერი ამიერკავკასიის საზღვრებში შემოიჭრა. შეიქმნა კრიზისული სიტუაცია. 12 აპრილს აკაკი ჩხენკელმა ევგენი გეგეჭკორს სთხოვა თურქეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების შეჩერება. 13 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატის და ამიერკავკასიის სეიმის ფრაქციათა გაერთიანებულმა კრებამ ერთხმად მიიღო **ირაკლი წერეთლის** რეზოლუცია ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის გამოწვევის შესახებ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ომი გრძელდებოდა. 9 აპრილს არაოფიციალურად დაწყებული ომი 13 აპრილს ოფიციალური ხდება. თურქეთის არმიის შემანერებელი ძალა საქართველოს არ გააჩნდა. თურქეთის ჯარებმა დაიკავეს **ბათუმი, ოზურგეთი**, თითქმის მთელი **მესხეთი** (ბორჯომამდე). თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე **ჩოლოქზე** შეძლო.

ასეთ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში 1918 წლის 22 აპრილს შეიკრიბა **ამიერკავკასიის სეიმი**. სეიმის სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ **კარლო ჩხეიძემ**.

ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმში უკვე მომწიფებული იყო აზრი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. დღის წესრიგიც ასე იყო განსაზღვრული: 1) ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის თაობაზე, 2) თურქეთ-ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკებაზე წარგზავნილი დელეგაციის მოხსენება, 3) ამიერკავკასიის მთავრობის განცხადება ახალი ხელისუფლების ორგანიზების თაობაზე.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა სეიმის წევრი, სოციალ-დემოკრატი **დავით ონიაშვილი**. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დადგენილება: „**გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად**“.

ამიერკავკასიის სეიმმა იმავე სხდომაზე მოისმინა საზავო დელეგაციის მოხსენება და მიიღო დადგენილება საზავო მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

სეიმის დადგენილებით, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შექმნა დაევალა **აკაკი ჩხენკელს**. 1918 წლის 26 აპრილს აკაკი ჩხენკელმა სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა. სეიმმა უცვლელად დაამტკიცა აკაკი ჩხენკელის მიერ წარდგენილი პროექტი. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: **აკ. ჩხენკელი** – მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; **ნ. რამიშვილი** – შინაგან საქმეთა მინისტრი; **ა. ხატისოვი** – ფინანსთა მინისტრი; **ხ-ბ. მელიქასლანოვი** – გზათა მინისტრი; **ფ-ხ. ხოსისკი** – იუსტიციის მინისტრი; **გრ. გიორგაძე** – სამხედრო მინისტრი; **ნ. ხომერიკი** – მიწათმოქმედების მინისტრი; **ნ-ბ. უსუბეგოვი** – სახალხო განათლების მინისტრი; **მ. გაჯინსკი** – ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; **ა. სააკიანი** – სასურსათო საქმეთა მინისტრი; **რ. კაჩაზნუნი** – სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი; **ა. ერზინკიანი** – შრომის მინისტრი; **ი-ბ. ჰაიდაროვი** – სახელმწიფო კონტროლიორი.

საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა არ სცნო.

წყაროები და ლიტერატურა:

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919; **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998; **ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921). თბილისი, 1998.

თავი XIV. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1918 წ. 26 მაისი)

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს ურთულეს საშინაო და საგარეო ვითარებაში მოხდა.

ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ თურქეთთან (ოსმალეთთან) ურთიერთობა ვერ მოაგვარა. 1918 წლის 11 მაისს **ბათუმში** გაიხსნა ამიერკავკასიისა და თურქეთის საზავო კონფერენცია. იმთავითვე აშკარა გახდა, რომ თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მიღებული ტერიტორიის უპირობო გადაცემას ითხოვდა და ამავე დროს მთელი ამიერკავკასიის მიტაცებას გეგმავდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მანამ უნდა აღდგენილიყო, სანამ თურქეთი საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას მოახდენდა. საშიშროების თაობაზე საქართველოს

ეროვნულ საბჭოს ბათუმიდან კატეგორიული ფორმით რამდენჯერმე აცნობა აკაკი ჩხენკელმა.

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ ბათუმიდან გამოგზავნილი ბოლო წერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. 25 მაისისათვის დაინიშნა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხვადასხვა მიზეზების გამო სხდომის დაწყება დაგვიანდა. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაიწყო 1918 წლის 25 მაისს, 11 საათზე, თბილისში, ფრეილინის (ახლანდელი სულხან-საბას) ქუჩაზე მდებარე ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას მისი წევრების გარდა სხვა გამოჩენილი მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. კერძოდ, სხდომას დაესწრნენ: ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშივილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯაღაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, შალვა მესხიშივილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშივილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დავით (დათა) ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიას, მდივანი – დავით ნახუცრიშივილი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა იმით დაიწყო, რომ ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო 23 მაისს ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ 25 მაისს ღამის 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც, როგორც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გამოაცხადებდა დაშლილად, ხოლო თვითონ მოიხსნიდა უფლებამოსილებას. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. როგორც ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, სეიმის სხდომა არ შედგა იმიტომ, რომ მუსავატელთა და დაშნაკთა ფრაქციებმა უარი განაცხადეს სეიმის სხდომაში მონაწილეობაზე. აზერბაიჯანელებმა განაცხადეს, რომ მათ საკითხი ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლის შესახებ ჯერ არ განუხილავთ და აზრი არ შეუშუშავენიათ, თუმცა წინააღმდეგნი არ ყოფილან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. სომხებმა სეიმის სხდომის მეორე დღისათვის გადადების მოთხოვნა იმით დაასაბუთეს, რომ შესამუშავებელი ჰქონდათ განცხადება. ნოე ჟორდანიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართველებს სურვილი ჰქონდათ სომხებთან და აზერბაიჯანელებთან თანხმობით ემოქმედათ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ეს არ მოხერხდა: ამიერკავკასიის სეიმის სხდომა 25 მაისს აღარ შედგა, ამიტომ ქართველებს ცალკე უნდა განეხილათ საკითხი. ნოე ჟორდანიამ აღმასკომის წევრებს აცნობა, რომ 26 მაისს 12 საათზე შედგებოდა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, სეიმის სხდომის შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ გაიმართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ, რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადება სასწრაფოა, დაუყოვნებლივ იმავე დღეს – 25 მაისს გამოეცხადებინათ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ნოე ჟორდანიამ განმარტა: ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გაურკვეველობას შექმნიდა, რადგან იარსებებდა ორი მთავრობა – ამიერკავკასიისა და საქართველოსი. გამომდინარე

აქედან, ნოე ჟორდანიას ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებას მეორე დღისათვის – 26 მაისისათვის. შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამიტომ კენჭისყრაზე დადგა საკითხი: „**საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ**“. 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 6 კაცმა, 26 მაისს გამოცხადებას – 4 კაცმა. გადაწყდა, აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოცხადებულიყო 25 მაისს. კენჭისყრის შემდეგ განცხადება გააკეთა **ნოე ჟორდანიამ**. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებლობას იხსნიდა მოსალოდნელ შედეგებზე.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა. კენჭისყრიდან სულ მცირე ხანში გაირკვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ იყო, რამაც, თავისთავად, გამოიწვია დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადება 26 მაისისათვის. ნოე რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: 26 მაისს, დილით, 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე – საქართველოს ეროვნული საბჭო.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ბოლოს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, რომელიც კომისიამ შეიმუშავა. აქტის ტექსტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები. გამოთქმული შენიშვნების მიხედვით დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის შესწორება დაევალა ნოე ჟორდანიას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის სხდომა დამთავრდა ღამის თორმეტის ნახევარზე.

1918 წლის 25 მაისს თბილისის თვითმმართველობამ მოწოდებით მიმართ თბილისის მოქალაქეებს. მიმართვაში მოკლედ იყო დახასიათებული შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია, მინიშნებული იყო იმ დიდ საფრთხეზე, რომელიც საქართველოს და თბილისს ემუქრებოდა თურქეთის მხრიდან. საქალაქო თვითმმართველობა მოუწოდებდა თბილისელებს, მზად ყოფილიყვნენ მტრისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა 1918 წლის 26 მაისს. სეიმის წევრებს კარგად ესმოდათ, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს აღსასრული გარდაუვალი იყო. მიუხედავად ამისა, ფუჭი პოლემიკა კარგა ხანს გაგრძელდა. ნაშუადღევს 3 საათზე სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა, ხოლო თვითონ უფლებამოსილება მოიხსნა. ამიერკავკასიის სეიმის ეს გადაწყვეტილება თითქმის ერთხმად იქნა მიღებული, წინააღმდეგი იყო სეიმის მხოლოდ ორი წევრი. სეიმის სხდომის შემდეგ კარლო ჩხეიძემ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს ტელეგრამით ამცნო მომხდარის შესახებ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს 4 საათსა და 50 წუთზე გაიხსნა კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გოლოვინის (დღეს რუსთაველის) გამზირზე, იმავე დარბაზში, სადაც თავისი უკანასკნელი სხდომა გამართა ამიერკავკასიის სეიმმა.

ეროვნული საბჭოს სხდომას ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი.

დარბაზის ლოჟებსა და გალერეებში იხსდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, მათ შორის იყო გრაფი **შულენბერგი** გერმანელი ოფიცრებითურთ. ლოჟაში იხსდნენ თბილელი მიტროპოლიტი **ლეონიდი** ამალით და ქართველი ოფიცრები.

სასახლის წინ მოედანი და მიმდებარე ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. სასახლის თავზე ფრიალებდა საქართველოს **ეროვნული დროშა**.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა **ნოე ჟორდანი**. პრეზიდიუმში იყვნენ: **გიორგი ლასხიშვილი**, **გრიგოლ გეშაპელი** და **პავლე საყვარელიძე**. მდივნის მოვალეობას ასრულებდა ეროვნული საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი**.

ნოე ჟორდანიამ თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა. ეროვნული საბჭოს წევრები და დამსწრე საზოგადოება მას ფეხზე ადგომით, ხანგრძლივი მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდა.

ნოე ჟორდანიამ ეროვნული საბჭოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა. თავმჯდომარის სიტყვა მოკლე, მაგრამ ტევადი უნდა ყოფილიყო. ქართველი ერი ას ჩვიდმეტი წელი ელოდა ამ სიტყვას. ეს კარგად ესმოდათ ნოე ჟორდანიასა და ეროვნული საბჭოს წევრებს, დარბაზში მყოფ საზოგადოებას.

სიტყვის დამთავრების შემდეგ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა **„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“** – რეალობად იქცა მრავალი თაობის ქართველთა აუხდენელი ოცნება. აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს პოლიტიკურ სისტემად აღიარებული იქნა **დემოკრატიული რესპუბლიკა** (მუხლი მეორე). დამოუკიდებელმა საქართველომ საერთაშორისო ომიანობაში **მუდმივი ნეიტრალიტეტი** გამოაცხადა (მუხლი მესამე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფოდა **კეთილმეზობლური ურთიერთობა** ჰქონოდა ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებსა და ერებთან (მუხლი მეოთხე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის **სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას**, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა (მუხლი მეხუთე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნიდა მის ტერიტორიაზე მოსახლე **ყველა ერს** (მუხლი მეექვსე). დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობას განახორციელებდა **ეროვნული საბჭო**. საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა ეროვნული საბჭოს წინაშე (მუხლი მეშვიდე).

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ დარბაზში მყოფთ ფეხზე მდგომებმა მოისმინეს. აქტის ყოველი მუხლი ოვაციებს იწვევდა, ხოლო კითხვის დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი ოვაციები გაიმართა.

როდესაც დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, ნოე ჟორდანიას წინადადებით ეროვნული საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი** აივანზე გავიდა და შეკრებილი ხალხის წინაშე წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. აქტის კითხვისას აივანზე იდგა საპატიო ყარაული ქართული ეროვნული დროშებით. იმავე დროს **გრიგოლ გეშაპელმა** დარბაზში „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ რუსულ ენაზე წაიკითხა.

მას შემდეგ, რაც დამთავრდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ წაკითხვა, ნოე ჟორდანიამ მიმართა ეროვნული საბჭოს წევრებსა და კანდიდატებს: თანახმაა თუ არა ეროვნული საბჭო, მიღებული იქნას „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი?“

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე, მიიღო და დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

ნოე ჟორდანიამ ეროვნული საბჭოს წევრებსა და კანდიდატებს სთხოვა, სხდომის დამთავრების შემდეგ ხელი მოეწერათ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მოაწერა 88 კაცმა.

საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთმა არ ცნო.

1919 წლის 12 მარტს გაიხსნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა. პირველივე სხდომის პირველ საკითხად განიხილეს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს მიღებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ დადასტურების საკითხი. დამფუძნებელი კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი დადგენილება:

„საქართველოს დამფუძნებელი კრება, – არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, – თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევს 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“.

1919 წლის 12 მარტს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“ ხელი მოაწერა 101 კაცმა.

1. საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთს არც ამის შემდეგ უცვნიან.

ქვემოთ გთავაზობთ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ ტექსტს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისგან შევიწროვებული, საქართველო, თვისის ნებით, შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თვისის ძაღლის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ, გარეშე ძალთა ზეგავლენით, ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველ ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისის საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაიარჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვაგამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

წყაროები და ლიტერატურა:

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბილისი, 1990; **ვახტანგ გურული**. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტისათვის. – „კლიო“ (საისტორიო აღმანახი). 1997, №1, გვ. 4-42; **Вахтанг Гурული**. Мы нижеподписавшиеся... К тексту Акта независимости Грузии. – газета "Свободная Грузия", 1997, №63-66, 26 мая, стр. 6; **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998; **გურამ შარაძე, გიორგი შარაძე**. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001.

თავი XV. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება (1920 წ. 7 მაისი)

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მომზადდა და დაიდო ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში.

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობებს უკიდურესად დაბავდა რამდენიმე გარემოება: **პირველი**. წინააღმდეგობანი პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ანტანტის ქვეყნებსა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია) და ომში დამარცხებულ ქვეყნებს (გერმანია, თურქეთი) შორის; **მეორე**. წინააღმდეგობანი თვით ომში გამარჯვებულ ქვეყნებს შორის; **მესამე**. წინააღმდეგობანი დასავლურ სამყაროსა და საბჭოთა რუსეთს შორის; **მეოთხე**. ყოფილი რუსეთის იმპერიის უზარმაზარ სივრცეზე 1918-1920 წლებში მიმდინარე უსასტიკესი სამოქალაქო ომი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ანტანტის ქვეყნები; **მეხუთე**. ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლა ევროპაში ჰეგემონიისათვის, რაც ევროპის დიდი ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის) სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ უმძიმეს

ვითარებაში უნდა მოეპოვებინა საერთაშორისო აღიარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა რუსეთის პოზიციას. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას რუსეთი აშკარად მტრულად შეხვდა. უმძიმეს სამოქალაქო ომში ჩაბმულ რუსეთს იმხანად არ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ან დიპლომატიური სანქციები გამოეყენებინა. ამას, გარკვეულწილად, უნდა გაეადვილებინა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება. მიუხედავად ამისა, ქართული დიპლომატიის მცდელობას, გაერღვია მოჯადოებული წრე, წარმატება არ მოჰყოლია. ეს გაპირობებული იყო ერთი გარემოებით: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანიის იმპერიის დიპლომატიური და სამხედრო მხარდაჭერით მოხდა, და ბუნებრივია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც გერმანოფილურ ორიენტაციას დაადგა. გერმანოფილური საქართველო ანტანტას და, პირველ რიგში, ინგლისს სამომავლოდ სერიოზულ სირთულეებს შეუქმნიდა სამხრეთ კავკასიაში. სწორედ ამან განაპირობა ინგლისის საგარეო პოლიტიკაში ანტიქართული მიმდინარეობის ჩამოყალიბება. ინგლისის დიპლომატიის ანტიქართული განწყობა განსაკუთრებით საშიში გახდა მას შემდეგ, რაც 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოკავშირის გარეშე დარჩა. ამერიიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უკვე ომში გამარჯვებულ ანტანტაზე იყო დამოკიდებული. ანტანტაში წამყვან როლს ინგლისი ასრულებდა, ინგლისის მხრიდან კეთილგანწყობის იმედი კი საქართველოს არ უნდა ჰქონოდა.

პირველი მსოფლიო ომის შედეგები შეაჯამა **პარიზის კონფერენციამ**, რომელიც 1919 წლის იანვარში გაიხსნა და იმავე წლის 28 ივნისს **ვერსალის საზავო ხელშეკრულებით** დასრულდა. პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მცდელობას, მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის, შედეგი არ მოჰყოლია. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული მოკავშირე სახელმწიფოები (ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.) საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგებს უკავშირებდნენ. კერძოდ, 1919 წლის გაზაფხულისათვის სამხრეთ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად გენერალ **ანტონ დენიკინის** სარდლობით თავი მოიყარა **მოხალისეთა არმიამ**. ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი სერიოზულ დახმარებას უწევდნენ მოხალისეთა არმიას. 1919 წლის მაის-ივნისში ა. დენიკინმა დაიკავა მთელი სამხრეთ უკრაინა და სამხრეთ რუსეთი, ხოლო 30 ივნისს ქ. ცარიცინიც აიღო. მოხალისეთა არმიამ მოსკოვზე ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. ასეთ ვითარებაში ანტანტის ქვეყნები არ ჩქარობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობას. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ა. დენიკინი რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, მაშინ რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას არ აღიარებდა. ამიტომაც თუ ანტანტა საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ა. დენიკინის გამარჯვების შემთხვევაში, ამას შეიძლებოდა სერიოზული გართულებები მოჰყოლოდა. ა. დენიკინთან ურთიერთობის დაძაბვას კი ანტანტა ვერ დაუშვებდა. 1919 წლის მიწურულიდან ვითარება ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის საზიანოდ შეიცვალა. 1920 წლის დასაწყისისათვის მოხალისეთა არმია დამარცხდა უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში. არმიის ნარჩენებმა ყირიმს შეაფარა თავი.

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენამ და საქართველოს საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოებამ კარდინალურად შეცვალა ანტანტის პოლიტიკა. ანტანტის ქვეყნები ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის საბოლოო დამარცხებას აღარც კი დაელოდნენ და 1920 წლის 12 იანვარს **დე-ფაქტო** ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ინგლისი სასწრაფოდ შეუდგა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დაცვის შესაძლო ვარიანტების დამუშავებას იმ შემთხვევისათვის, თუ სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთი შეიჭრებოდა. ანტანტის პოლიტიკის შეცვლა წინასწარვე იგრძნო საბჭოთა რუსეთის დიპლომატიამ. რუსეთმაც დიპლომატიურ მანევრს მიმართა. ჯერ კიდევ ანტანტის მიერ საქართველოს დე-ფაქტო ცნობამდე, 1920 წლის 6 იანვარს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ა. დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო ხელშეკრულების დადება შესთავაზა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ნეიტრალიტეტის მომიზეზებით, სამხედრო ხელშეკრულების დადებაზე უარი განაცხადა, თუმცა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარების მიზნით მოლაპარაკების დაწყება მიზანშეწონილად მიიჩნია.

ინგლისის მზადებას ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დასაცავად პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. საბჭოთა რუსეთმა კი არ დააყოვნა და თურქეთთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს წითელმა არმიამ ბაქო დაიკავა. აზერბაიჯანის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ეს ანტანტის პოლიტიკის სერიოზულ მარცხს მოასწავებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ ანტანტის დაპირების იმედად დარჩენა სახიფათო იყო. აუცილებელი გახდა საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარება, რასაც, პირველ რიგში, რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მოჰყოლოდა. ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას რომ იწყებდა, ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა: **პირველი**. თუ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ანტანტის პოზიციები შესუსტდებოდა, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით გაღიზიანებულ რუსეთთან ჩვენს ქვეყანას ურთიერთობის მოგვარება აღარ გაუჭირდებოდა და სამხედრო დაპირისპირების (ომის) თავიდან აცილებასაც შეძლებდა; **მეორე**. თუ ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიოს ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარებისათვის.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაწილი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის შემდეგ საქართველოს დაპყრობას. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინმა ჩათვალა, რომ შექმნილ ვითარებაში ომი საქართველოსთან სახიფათო იქნებოდა. არც საგარეო და არც საშინაო ვითარება ომისათვის ხელსაყრელი არ იყო. ომს საქართველოს წინააღმდეგ შეიძლებოდა ანტანტასთან და, კერძოდ, ინგლისთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყოლოდა. გამორიცხული არც ომის დაწყება იყო. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების მიუხედავად, სამოქალაქო ომი რუსეთში კვლავ გრძელდებოდა. 1920 წლის მარტში სამხრეთ რუსეთში დარჩენილ მოხალისეთა არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი **პეტრე ვრანგელი**. წითელმა არმიამ პ. ვრანგელის არმიის ყირიმის ნახევარკუნძულზე შეკავება ვერ შეძლო. პ. ვრანგელის პირველმა წარმატებებმა სამხრეთ რუსეთში კვლავ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა წყობილებას. დაძაბული ვითარებით ისარგებლა პოლკონეთმა. 1920 წლის 17 აპრილს პოლკონეთის არმიამ კიევზე შეტევა წამოიწყო. პოლკონელებთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაება უკრაინის დირექტორიის არმია **სიმონ პეტლურას**

სარდლობით. უკრაინაში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები მდ. დნეპრისაკენ იხევდნენ. 6 მაისს პოლონელებმა კიევი დაიკავეს და ბრძოლები დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს. ასეთ ვითარებაში საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკებას დასთანხმებოდა და დროებით უარი ეთქვა სამხრეთ კავკასიაში დაპყრობითი ომის გაგრძელებაზე.

საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები მოსკოვში დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე. ხოლო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელით – საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გიორგი ჩიხერინის, მოადგილე ლევ კარახანი (კარახანიანი). გრიგოლ ურატაძე მოსკოვში 1920 წლის აპრილის ბოლოს ჩავიდა და წინასწარი კონსულტაციების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს ოფიციალური მოლაპარაკებაც დაიწყო. 6 მაისს მოლაპარაკება დამთავრდა, ხოლო 7 მაისს გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება მოსკოვში დაიწყო იმ დროს, როცა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) დიდი ქვეყნების (ინგლისის, თურქეთის, რუსეთის) ინტერესები გამიჯნული არ იყო. ანტანტასა და პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ თურქეთს შორის დადებული მუდროსის ზავით (1918 წლის ოქტომბერი) სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია) ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარები 1918 წლის დეკემბრიდან განლაგდნენ და იმთავითვე აქტიურად დაიწყეს ჩარევა როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების შემდეგ რუსეთმა არად ჩააგდო მუდროსის ზავის პირობები და 1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანი დაიპყრო. რუსეთის შეჭრას აზერბაიჯანში წინ არ აღუდგა მუდროსის ზავით უკმაყოფილო თურქეთი. აზერბაიჯანის დათმობის სანაცვლოდ თურქეთმა რუსეთისაგან ანტანტის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში თანადგომის გარანტია მიიღო. გამორიცხული არ იყო, რომ ანტანტის წინააღმდეგ მხარდაჭერის სანაცვლოდ თურქეთს რუსეთისათვის საქართველოც დაეთმო. გასარკვევი იყო მხოლოდ ინგლისის პოზიცია. ინგლისის პოზიცია კი მანამდე არ გაირკვეოდა, სანამ არ დამთავრდებოდა ომი გენერალ პეტრე ვრანგელის არმიასა და წითელ არმიას შორის, სანამ არ გამოიკვეთებოდა გამარჯვებული რუსეთ-პოლონეთის ომში.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და თექვსმეტი მუხლისაგან. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღესვე, 1920 წლის 7 მაისს, გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს – "Особое секретное дополнение к договору между Россией и Грузией", რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის 12 მაისს, ხელმოწერილი იქნა კიდევ ერთი დოკუმენტი – "Дополнительное соглашение к мирному договору между Россией и Грузией от 7 мая 1920 года", რომელიც პრეამბულისა და სამი მუხლისაგან შედგებოდა. ორივე დოკუმენტი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად იქნა გამოცხადებული. ამრიგად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ორივე დამატებასთან ერთად შედგება ოცდაერთი მუხლისაგან. სამივე დოკუმენტს გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი ცალ-ცალკე მოაწერეს.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების პირველი მუხლი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის. ხელშეკრულებაში აღნიშნულია: "Россия безоговорочно признает

независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к грузинскому народу и земле". რა შეფარული მიზნებიც უნდა ჰქონოდა ხელშეკრულების დადების მომენტში რუსეთს, ყოველივე ამის აღიარება მაინც ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული დიპლომატიის უდავო წარმატებად აღიქმება ასევე ხელშეკრულების **მეორე მუხლიც**: "Россия обязуется отказаться от всякого рода вмешательства во внутренние дела Грузии".

მოლაპარაკების პროცესში რუსეთს საქართველოს მიმართ მნიშვნელოვანი ტერიტორიული პრეტენზიები არ წამოუყენებია. სახელმწიფო საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების **მესამე მუხლის პირველი პარაგრაფით** ასე განისაზღვრა: "Государственная граница между Грузией и Россией проходит от Черного моря по реке Псоу до горы Ахачча, через гору Ахачча и гору Аганета и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Армений".

თუ ზოგადად შევაფასებთ, ხელშეკრულების მესამე მუხლი, კერძოდ, მისი მეორე, მესამე და მეოთხე პარაგრაფები საქართველოსათვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა. კერძოდ, მესამე მუხლის მეორე პუნქტით საქართველოს ეკრძალებოდა კავკასიონის გადასასვლელების გამაგრება: "Все перевалы на означенной пограничной линии до первого января тысяча девятьсот двадцать второго года признаются нейтральными. Они не могут быть занимаемы войсками ни одной из обеих договаривающихся сторон и не могут быть ни одной из них укрепляемы". კავკასიონის გადასასვლელებიდან ყველაზე მნიშვნელოვანის – დარიალისა და მამისონის – გადასასვლელების შესახებ ხელშეკრულების მესამე მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნული იყო: "На Дарьяльском перевале указанная в пункте 2 настоящей статьи нейтрализация будет распространена на протяжении перевала от Балты до Коби, на Мамисонском перевале от Зарамага до Они, а на всех прочих перевалах на пятиверстие в обе стороны от пункта прохождения границы расстояния". როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების მესამე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების წყალობით რუსეთთან ომის შემთხვევაში საქართველო ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა – რუსეთის არმია კავკასიონის გადასასვლელებს, მათ შორის სტრატეგიულად არსებითი დანიშნულების მქონეთ, ადვილად გადმოლახავდა.

ხელშეკრულების მესამე მუხლის მეოთხე პუნქტი გარკვეულწილად აქარწყლებდა იმავე მუხლის პირველ პუნქტს რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენის თაობაზე. მეოთხე პუნქტი რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის გაკლების მიზნით შერეული კომისიის შექმნას ითვალისწინებდა: "Точное проведение государственной границы между обоими договаривающимися сторонами будет произведено особой смешанной пограничной комиссией с одинаковым числом членов от обеих сторон. Результаты работы этой комиссии будут закреплены в особом договоре между обоими договаривающимися сторонами". ცხადია, რუსეთი ეცდებოდა სახელმწიფო საზღვრის დადგენის პერიოდში გარკვეული პრეტენზიები წამოეყენებინა საქართველოსათვის და უკან წაეღო ის, რაც დათმო ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პუნქტით.

საქართველოსათვის ძალზე ხელსაყრელი იყო ხელშეკრულების **მეოთხე მუხლი**, რომლის პირველი პუნქტის ძალითაც "Россия обязуется признать безусловно входящими в состав

Грузинского государства, кроме отходящих к Грузии в силу пункта I статьи III настоящего договора частей Черноморской губернии, нижеследующие губернии и области бывшей Российской Империи – Тифлисскую, Кутаисскую и Батумскую со всеми уездами и округами, составляющими означенный губернии и области, а также округа Закатальский и Сухумский". ძირძველი ქართული ტერიტორია, ჭარ-ბელაქანი (საინგილო), იგივე ზაქათალის ოკრუგი, საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად ცხადდებოდა, რასაც საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან სასტიკი პროტესტი მოჰყვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო **მეოთხე მუხლის** მეორე პარაგრაფიც, რომელიც სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის ხარჯზე საქართველოს ტერიტორიის გაზრდის შესაძლებლობას იძლეოდა. კერძოდ, მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული იყო: "Впоследствии, по мере выяснения взаимоотношений между Грузией и другими кроме России государственными образованиями, существующими или имеющими создаться и сопредельными с Грузией по другим границам, чем та, которая описана в предшествующей статье III настоящего договора, Россия выражает готовность признать входящими в состав Грузии те или иные части бывшего Кавказского Наместника, которые отойдут к ней на основании заключенных с этими образованиями договоров".

ძალზე არახელსაყრელი, საშინლად მძიმე იყო საქართველოსათვის ხელშეკრულების **მესამე მუხლი**, რომელით ათი პუნქტისაგან შედგებოდა. მესამე მუხლი საქართველოს ავალდებულებდა: 1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა დაეპატიმრებინა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი და რუსეთში არსებული ხელისუფლების დამხობის მოსურნე სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, ასევე იმ პოლიტიკურ და სამხედრო ძალთა წარმომადგენლები, რომლებიც თავს აცხადებდნენ რუსეთის მთავრობად, ან რუსეთის რომელიმე ნაწილის მთავრობად; 2) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა განეიარაღებინა საქართველოს ნავსადგურებში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა კუთვნილი გემები, ხოლო ეკიპაჟის წევრები საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა; 3) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ, ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა გადაეცა რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე განიარაღებული საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა მთელი ქონება, მათ შორის სამხედრო ქონებაც (სამხედრო გემები, არტილერია, ავიაცია და სხვ.); 4) რუსეთი პირობას დებდა, რომ სიკვდილით არ დასჯიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ რუსეთისათვის გადაცემულ პირებს; 5) საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიიდან უნდა გაეძევებინა ყველა სახის სამხედრო შენაერთი, რომელიც არ შედიოდა ქართული ჯარის შემადგენლობაში; 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მომავალშიც არ უნდა დაეშვა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი სამხედრო შენაერთების არსებობა, რომლებიც არ შედიოდნენ ქართულ ჯარში; 7) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ქართულ ჯარში არ უნდა მიეღო, მათ შორის მოხალისედაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო შენაერთებში მომსახურე პირები, რადგან ისინი ეროვნებით ქართველები არ იყვნენ; 8) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა გაეჩერებინა ისეთი ძალები, რომლებიც

მიზნად ისახავდნენ საბჭოთა რუსეთში არსებული წყობილების დამსობას. ამასთან ერთად, ამ ძალებისათვის არ უნდა მიეცა უფლება, საქართველოს ტერიტორია გამოეყენებინათ იმ ტვირთის გადასატანად, რომელიც რუსეთთან ომში იქნებოდა გამოყენებული; 9) ის ჯგუფები და პირები, რომლებიც არ შეასრულებდნენ მერვე პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეპატიმრებინა; 10) მესუთე მუხლის მესუთე პუნქტის შესრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეწყო დაუყოვნებლივ და რაც შეიძლება მალე დაესრულებინა.

ხელშეკრულების მესუთე მუხლი, გარდა იმისა, რომ უხეშად თელავდა ფეხქვეშ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მთავრობას აიძულებდა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სადამსჯელო ღონისძიებანი გაეტარებინა.

იმ უზარმაზარი ვალდებულებების სანაცვლოდ, რაც ხელშეკრულების მესუთე მუხლმა საქართველოს დააკისრა, რუსეთი **მეექვსე მუხლით** ძალზე ზოგად ვალდებულებას კისრულობდა: "Россия обязуется не допускать на своей территории пребывания и деятельность всякого рода групп и организаций, претендующих на роль правительства Грузии или части ее, а также всякого рода групп и организаций, имеющих своей целью низвержение правительства Грузии. Россия обязуется оказать все свое влияние из союзные ей государства с целью недопущения на их территории указанных в настоящей статье групп и организаций".

ხელშეკრულების **მეცხრე მუხლი** ეხებოდა მოქალაქეობის საკითხს. მეცხრე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული იყო: "Лица грузинского происхождения, проживающие на территории России и достигшие восемнадцати лет от роду, вправе оптировать Грузинское гражданство. Равным образом лица негрузинского происхождения, проживающие на территории Грузии и достигшие указанного возраста, вправе оптировать российское гражданство".

ხელშეკრულების **მეათე მუხლი** უკვე აშკარად ხელყოფდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს და საქართველოს აყენებდა მეტად მძიმე მდგომარეობაში. კერძოდ, მეათე მუხლი ასე გამოიყურებოდა:

"Грузия обязуется освободить от наказания и от дальнейшего преследования, судебного или административного, всех лиц, подвергшихся на территории Грузии таковому преследованию за деяния, совершенные в пользу Российской Социалистической Федеративной Советской Республики или в пользу Коммунистической партии.

Прим.: "Грузия обязуется немедленно освободить лиц, находящихся в тюремном заключении за деяния указанного выше рода". ხელშეკრულების მეათე მუხლი პრაქტიკულად ძალადაკარგულად აცხადებდა ხელშეკრულების მეორე მუხლს, რომლის ძალითაც რუსეთი პირობას დებდა, რომ არ ჩაეროდა საქართველოს საშინაო საქმეებში.

ხელშეკრულების მეორემეტე მუხლი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხებოდა და თავისთავად ხელსაყრელი იყო საქართველოსათვის:

"1. Обе договаривающиеся стороны в основу торговых взаимоотношений кладут принцип наибольшего благоприятствования.

2. Товары, идущие из или по назначению одной из договаривающихся сторон не должны облагаться другой стороной никакими транзитными пошлинами или сборами".

ხელშეკრულების **მეთოთხმეტე მუხლის** ძალით საქართველოსა და რუსეთს შორის უმოკლეს ვადაში უნდა დამყარებულიყო დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა.

ხელშეკრულების **მეთხუთმეტე მუხლი** ითვლისწინებდა ორმხრივი კომისიის შექმნას, რომლის კომპეტენციაში შედიოდა:

"1. Составление торгового договора и иных соглашений экономического характера.

2. Разрешение вопросов относительно выдела из бывших центральных учреждений архивов и делопроизводства судебных и административных депозитов и актов гражданского состояния.

3. Определение вопроса о порядке пользования, владения и распоряжения нефтепроводом Батум-Баку, в той части его, которая в силу статьи IV настоящего договора будет находиться на территории Грузии. Вопрос этот будет закреплен затем путем особого соглашения между обеими договаривающимися сторонами".

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როგორც **მეთექვსმეტე მუხლში** იყო აღნიშნული, ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდან და რატიფიკაციას არ საჭიროებდა. ცხადია, ამ მუხლით რუსეთი თავს იზღვევდა, რადგან ხელშეკრულების რატიფიკაციას საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შეიძლებოდა დიდი ვნებათაღელვა მოჰყოლოდა.

1920 წლის 7 მაისსვე გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების **საიდუმლო დამატებას**, რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. საიდუმლო დამატების პირველი მუხლი კიდევ ერთხელ თელავდა ფეხქვეშ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს. პირველი მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

"Грузия обязуется признать за находящимися на территории Грузии коммунистическими организациями право свободного существования и деятельности, в частности, право свободного устройства собраний и право свободного издательства (в том числе органов печати).

Вовсяком случае не могут быть принимаемы никакие репрессии ни против частных лиц, как судебные, так и административные, вытекающие лишь из публичной пропаганды и агитации за коммунистическую программу или деятельности лиц и организаций, основанных на коммунистической программе". საიდუმლო დამატების მეორე მუხლი ამ დამატებას ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად აცხადებდა.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საიდუმლო დამატება ხელყოფდა საქართველოს სუვერენიტეტს, ქვეყანაში აკანონებდა რუსეთის მეხუთე კოლონას და მას საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ლეგალური ძირგამომხრელი საქმიანობის წარმოების უფლებას აძლევდა. ეს უფლება რუსეთის მეხუთე კოლონამ კარგად გამოიყენა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რუსეთს საქართველო ადვილად დაეპყრო.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების საიდუმლო დამატებაც ძალაში რატიფიკაციის გარეშე შედიოდა ხელმოწერის მომენტიდან. იგი საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იყო.

1920 წლის 12 მაისს გ. ურატაძისა და ლ. კარახანის მიერ ხელმოწერილი **დამატებითი შეთანხმება** მიზნად ისახავდა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დადგენას. დამატებითი შეთანხმების პირველ მუხლში აღნიშნული იყო: "Вопрос о спорных местностях на границе между Грузией и Азербайджаном и в Закатальском округе передается на разрешение смешанной Комиссии, образуемой из представителей Правительств Азербайджана и Грузии в равном количестве, под председательством представителя Р.С.Ф.С.Р. Все решения этой

Комиссии будут признаваться для себя обязательными Правительствами Азербайджана и Грузии". ცხადია, შერეული კომისიის მუშაობის პერიოდში საბჭოთა რუსეთი საბჭოთა აზერბაიჯანს დაუჭერდა მხარს და სასაზღვრო ხაზიც აზერბაიჯანის სასარგებლოდ დადგინდებოდა. საბჭოთა რუსეთს რომ ასეთი სურვილი არ ჰქონოდა, მაშინ 1920 წლის 12 მაისს დამატებით შეთანხმებას ხელი არც მოეწერებოდა, რადგან ძირითადი ხელშეკრულების მეოთხე მუხლით ზაქათალის ოკრუგი (საინგილო) საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიად ცნო და ამ საკითხის ხელახალი განხილვა საჭირო აღარ იყო. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის, რომ 12 მაისის დამატებითი შეთანხმება აზერბაიჯანის პროტესტის შემდეგ გაფორმდა. სულ მალე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე (1921 წელს), ზაქათალის ოკრუგი (საინგილო) მოსკოვის მოთხოვნით აზერბაიჯანს გადაეცა.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, 7 მაისის საიდუმლო დამატებითი და 12 მაისის დამატებითი შეთანხმებით არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს. ხელშეკრულების მნიშვნელობას განსაზღვრავდა ორი მომენტი:

პირველი. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო და დე-იურე ცნობა იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა და ხელს უწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას;

მეორე. ხელშეკრულება რუსეთს საშუალებას აძლევდა: 1) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ომის შემთხვევაში დიდი წინააღმდეგობის გარეშე გადაეღაზა კავკასიონის უღელტეხილები და მოეპოვებინა სტრატეგიული უპირატესობა. იგივე უპირატესობით ვერ ისარგებლებდა საქართველო, რადგან იგი რუსეთის დასაპყრობად არ ემზადებოდა და, რაც მთავარია, არც ამისი შესაძლებლობა გააჩნდა; 2) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ომის შემთხვევაში აქტიურად გამოეყენებინა მესხეთე კოლონა, რომლის ხელშეუხებლობის გარანტიას ხელშეკრულება იძლეოდა.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებას საქართველოსათვის ჰქონდა კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუ რუსეთი საქართველოს დაიპყრობდა, მის მიერვე დე-ფაქტო და დე-იურე ცნობილი ქვეყნის დაპყრობით სამომავლოდ საერთაშორისო ასპარეზზე ბევრ უხერხულობას შეიქმნიდა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ეს დოკუმენტი ძლიერი სამართლებრივი არგუმენტი იქნებოდა.

წყაროები და ლიტერატურა:

ლევან თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბილისი, 1991; **გურამ შარაძე, გიორგი შარაძე.** ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. თბილისი, 2001; **ვასტანგ გურული.** საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. – გაზეთი „დილის გაზეთი“, 2000, №101, 8 მაისი, გვ. 16; **ვასტანგ გურული.** საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. – გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“, 2004, №12, 5-11 მაისი, გვ. 3-4,7; **Вахтанг Гурული.** Грузино-русский договор (7 мая 1920 года). – газета "Свободная Грузия", 2004, №74, 6 мая, стр. 5.

თავი XVI. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება (1921 წ. 21 მაისი)

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო და იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. განხორციელდა

სუვერენული ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე სცნო სულ ათი თვის წინ – 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელ კრებას და ქვეყნის მთავრობას რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა არ უცვნიდა და კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. მთავრობა, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, ემიგრაციაში გაემგზავრა, რათა იქიდან გაეგრძელებინა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა. საქართველოში ძლიერი იყო ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობილება.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ პერიოდისათვის უკვე ახორციელებდა ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნის გეგმას. ამ გეგმის მიხედვით, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ რესპუბლიკებთან უნდა დადებულიყო **სამოკავშირეო ხელშეკრულებები**. ამ ხელშეკრულებების ძალით საბჭოთა რუსეთი ფორმალურად დაადასტურებდა ფაქტობრივად დაპყრობილი ქვეყნების სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. ამავე დროს ხელშეკრულება მოამზადებდა ნიადაგს რესპუბლიკის ახალი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში შესვლისათვის. 1920 წლის 28 დეკემბერს საბჭოთა რუსეთმა დაპყრობილ უკრაინასთან (უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან) დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება. 1921 წლის 16 იანვარს ასეთივე ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა ბელორუსიას შორის. 1921 წლის 21 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა **„სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება“** რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და ხუთი მუხლისაგან.

პრეამბულაში დადასტურებული იყო საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა საქართველოს სუვერენიტეტი და ხელშეკრულების დამდები მხარეების სრული თანასწორობა.

პირველ მუხლში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა რუსეთი და საბჭოთა საქართველო ამყარებენ სამხედრო და სამეურნეო კავშირს.

მეორე მუხლი გვამცნობდა, რომ ყველა საერთო ვალდებულება, რომელთაც ხელშეკრულების დამდები მხარეები თავის თავზე აიღებდნენ, გაპირობებული უნდა ყოფილიყო მუშათა და გლეხთა ინტერესებით. ამასთან, ის ფაქტი, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორია წინათ ეკუთვნოდა რუსეთის იმპერიას, საქართველოს მხარეს არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა.

მესამე მუხლი ითვალისწინებდა დამატებითი შეთანხმების დადებას საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა საქართველოს შორის. ამ შეთანხმებით უნდა გაერთიანებულიყო რუსეთისა და საქართველოს სამხედრო ორგანიზაციები (სამხედრო უწყებები) და სამხედრო სარდლობა, ასევე – საჭიროდ ცნობილი სამეურნეო ორგანოები. გაერთიანების წესს განსაზღვრავდა დამატებითი შეთანხმება.

მეოთხე მუხლის ძალით საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა საქართველოს გაერთიანებული ორგანოების ხელმძღვანელობა და კონტროლი უნდა განეხორციელებინა სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების ყრილობასა და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ამ ორგანოებში საბჭოთა საქართველოს უნდა მიევიწყებინა თავისი წარმომადგენლები. სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობაზე, აგრეთვე სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში საბჭოთა

საქართველოს წარმომადგენლების მივლინების წესი უნდა დაემტკიცებინა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობას.

მესუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულება ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდან. ხელშეკრულება შედგა ორ ეგზემპლარად (ქართულ და რუსულ ენებზე).

1921 წლის 21 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება, ერთი მხრივ, აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს (პრეამბულა, მუხლი 2), ხოლო, მეორეს მხრივ, ფეხქვეშ თელავდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, უფლებებს. საქართველოს სამხედრო უწყება და სამხედრო სარდლობა, ასევე უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ორგანოები გადადიოდა რუსეთის დაქვემდებარებაში (მუხლი 4). რუსეთის საკანონმდებლო ორგანოებში საქართველოს წარმომადგენლების მივლინება, და ისიც რუსეთის მხარის მიერ დადგენილი წესით, წარმოადგენდა ფარდას, რომლის მიღმაც უხეშად ხელყოფდნენ საქართველოს სუვერენიტეტს.

წყარო:

Образование СССР. Сборник документов. 1917-1924. Под редакцией Э. Б. Генкиной. Москва-Ленинград, 1949.

თავი XVII. ყარსის ხელშეკრულება (1921 წ. 13 ოქტომბერი)

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის დამკვიდრებამ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) და რუსეთთან ომებში თურქეთისა და ირანის მარცხმა XIX საუკუნის პირველ მესამედში ცხადი გახადა, რომ რეგიონში სტატუს ქვო დაირღვა. ამ მოვლენამ დაუყოვნებლივ გამოიწვია დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის) მკვეთრად უარყოფითი რეაქცია. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას, რაც მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრისათვის პლაცდარმის მომზადებასაც ნიშნავდა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ხელი ვერ შეუშალეს. 1877-1878 წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის გაჩაღებულ ომში კვლავ რუსეთმა გაიმარჯვა. **სან-სტეფანოს ხელშეკრულებით** (1878 წლის მარტში) და **ბერლინის კონგრესის** გადაწყვეტილებით (1878 წლის ივლისში) დამარცხებულმა თურქეთმა აჭარა რუსეთს დაუთმო. 1903 წელს აჭარის ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობა **ბათუმის ოლქის** შექმნით დამთავრდა. ბათუმის ოლქი, რომელიც **ბათუმისა** და **ართვინის** ოკრუგებისაგან შედგებოდა, ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს (რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში ცალკე ერთეულებს წარმოადგენდა **არტაანისა** და **ყარსის** ოკრუგები).

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (1914 წ.) სამხრეთ-დასავლეთი საქართველო კვლავ მოექცა დიდი პოლიტიკის ყურადღების ცენტრში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის რუსეთი **ანტანტის** სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი იყო, ხოლო თურქეთი – **სამთა კავშირისა**. ამრიგად, სამხრეთი კავკასია და, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ფრონტისპირა რეგიონად იქცა. თურქეთის არმიის ცდები – დაეკავებინა თბილისი და ბათუმი – რუსეთის კავკასიის არმიამ 1914-1915 წლებში წარმატებით ადკვეთა, ხოლო შემდეგ საკუთრივ თურქეთის ტერიტორიის ნაწილი (აღმოსავლეთ ანატოლია) დაიკავა.

სამხრეთ კავკასიაში ვითარება კარდინალურად შეიცვალა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ თავისი

არსებობის პერიოდში (1917 წლის მარტი-ოქტომბერი) შეძლო სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) თავისი იურისდიქციის შენარჩუნება. ბოლშევიკების მიერ დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ (1917 წლის ოქტომბერში) ხელისუფლების სათავეში მოსულმა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კი სამხრეთ კავკასიაში იურისდიქცია ვეღარ შეინარჩუნა – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს და 1917 წლის ნოემბერში შექმნეს სამხარეო ხელისუფლების ორგანო – **ამიერკავკასიის კომისარიატი** (თავმჯდომარე ვეპენი გეგეჭკორი). მიუხედავად საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილებისა, ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შექმნილა, რის გამოც საერთაშორისო ასპარეზზე ამიერკავკასია (სამხრეთ კავკასია) ისევ რუსეთის ტერიტორიად აღიქმებოდა. თუმცა იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი: რუსეთის კავკასიის არმია საბჭოთა რუსეთის მთავრობას არ ცნობდა, მის განკარგულებებს არ ასრულებდა და რეგიონს თურქეთის აგრესიისაგან იცავდა.

უმიძიეს მდგომარეობაში ჩაგარდნილ საბჭოთა რუსეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. ვ. ლენინი ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ასეთ ვითარებაში საბჭოთა რუსეთმა გადაწყვიტა, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთსა, თურქეთსა და ბულგარეთთან) სეპარატიული ზავი დაედო. ზავს 1918 წლის 3 მარტს **ბრესტ-ლიტოვსკში** მოეწერა ხელი. ზავის სანაცვლოდ საბჭოთა რუსეთმა დიდი ტერიტორია დათმო. ეს შეეხო სამხრეთ კავკასიასაც. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო: "Россия делает все от нее зависящее, чтобы обеспечить скорейшее очищение провинций Восточной Анатолии и их упорядоченное возвращение Турции". ეს რაც შეეხებოდა საკუთრივ თურქეთის ტერიტორიას, რომელიც ზავის დადების მომენტისათვის რუსეთის ჯარებს ეკავათ. იმავე, მეოთხე მუხლის ბოლო აბზაცი უკვე რუსეთის ტერიტორიას ეხებოდა. კერძოდ, მასში ნათქვამია: "Округа Ардагана, Карса и Батума также незамедлительно очищаются от русских войск. Россия не будет вмешиваться в новую организацию государственно-правовых и международно-правовых отношений этих округов, а предоставит населению этих округов установить новый строй в согласии с соседними государствами, в особенности Турцией". როგორც ვხედავთ, ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა **ბათუმის, არდაგანისა (არტაანისა) და ყარსის** ოკრუგების ტერიტორიაზე მოსახლეობის ნების გამოსავლენად **რეფერენდუმის** ჩატარებას. ისიც ცხადი იყო, რომ რეგიონში რუსეთთან შედარებით თურქეთმა უპირატესობა მიიღო. 1918 წლის მარტშივე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა სრულიად რუსეთის საბჭოების IV ყრილობამ.

ამიერკავკასიის კომისარიატმა არ ცნო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მუხლი, რომელიც ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგებს ეხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით 1918 წლის მარტში **ქ. ტრაპიზონში** გაიმართა თურქეთისა და ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციათა მოლაპარაკება. ტრაპიზონის კონფერენციაზე თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის უპირობო შესრულებას ითხოვდა და ამიერკავკასიის დელეგაციის (მეთაური აკაკი ჩხენკელი) მოთხოვნებს ორ ძლიერ არგუმენტს უპირისპირებდა: 1) ამიერკავკასია არ იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მხარე; 2) ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, იგი რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. ტრაპიზონის კონფერენცია შეწყდა და თურქეთმა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების დაკავების მიზნით საომარი მოქმედებები დაიწყო. 1918 წლის მარტ-აპრილში თურქეთმა მთელი აჭარა დაიპყრო. მართალია, 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა. 1918 წლის მაისში თურქებისაგან ოკუპირებულ **ბათუმში** ერთმანეთს

შეხედნენ ამიერკავკასიისა და თურქეთის დელეგაციები. ბათუმის კონფერენციაზე თურქებმა მოთხოვნები კიდევ უფრო დაამძიმეს (ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებს მათ კიდევ ერთი დაუმატეს: ომის შემთხვევაში თურქეთს უნდა მისცემოდა ამიერკავკასიის რკინიგზით ჯარების გადაყვანის უფლება).

ასეთ ვითარებაში 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ დღისათვის აჭარა თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული. მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, აჭარა თურქეთისათვის დაეთმო. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნული იყო, რომ საზღვარი თურქეთსა და საქართველოს შორის მდინარე ჩოლოქზე გადიოდა. თურქეთი მოპოვებული უპირატესობის განმტკიცებას შეუდგა. 1918 წლის ივლისში მის მიერვე ოკუპირებული ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების ტერიტორიაზე თურქეთმა რეფერენდუმი ჩაატარა და გამოაცხადა, რომ ამ ოკრუგების მოსახლეობამ თურქეთის შემადგენლობაში გადასვლა ისურვა. ეს იყო დიდი სიცრუე, რადგან რეფერენდუმი უხეში ძალმომრეობისა და შანტაჟის პირობებში ჩატარდა. ამის შემდგომ მოვლენები თურქეთისათვის არახელსაყრელად წარიმართა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა თურქეთმა მუდროსის ზავით (1918 წლის ოქტომბერი) ბათუმი და მთელი აჭარა დატოვა. აჭარა ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. ინგლისის სამხედრო კრეისერები ბათუმში 1918 წლის დეკემბერსა და 1919 წლის იანვარში შემოვიდნენ. ინგლისელები აჭარაში 1920 წლის ივლისამდე დარჩნენ.

აჭარაში თურქთა ბატონობის (1918 წლის აპრილი-დეკემბერი), ისევე როგორც ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმის არსებობის პერიოდში (1918 წლის დეკემბერი – 1920 წლის ივლისი) მიმდინარეობდა ქართული ორიენტაციის ძალების დევნა. უაღრესად არახელსაყრელ ვითარებაში მემედ-ბეგ აბაშიძემ შეძლო პროქართული განწყობის მქონეთა გაერთიანება და 1919 წლის აგვისტოში ბათუმში ქართველ მაჰმადიანთა ყრილობაც მოიწვია. 31 აგვისტოს ყრილობამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. ქართველი მუსლიმები „ღვთისა და ქვეყნის წინაშე“ აცხადებდნენ: „ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლით და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა სამშობლოს საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენდა“. ყრილობის დადგენილებაში აღნიშნულია: „ამიერიდან და სამარადისოთ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამულისმანო საქართველოს ფართე ავტონომიის ნიადაგზე...“ 1919 წლის 11 სექტემბრის საგანგებო მიმართვაში ზემო აჭარის დელეგაციისადმი ნოე ჟორდანიამ დაადასტურა, რომ აჭარას საქართველოს შემადგენლობაში მიეცემოდა ავტონომია. თუმცა აჭარიდან ინგლისის საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ (1920 წლის ივლისი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დანაპირები აღარ გახსენებია და ბათუმისა და ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობა საგანგებო კომისარიატს (კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი) ჩააბარა. ქართველ მუსლიმთა ყრილობის დადგენილების უგულვებელყოფას აჭარაში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. მალე მდგომარეობა გამოსწორდა. დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის მეთერთმეტე თავი ასეა დასათაურებული: „ავტონომიური მმართველობა“. კონსტიტუციის 107-ე მუხლით საქართველოს განუყოფელ ნაწილებს აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქს) და საინგილოს (ზაქათალის ოლქს) ადგილობრივ საქმეებში

ავტონომიური მმართველობა მიენიჭათ. კონსტიტუციის 108-ე მუხლის თანახმად, ავტონომიური მმართველობის დებულებანი ცალკე კანონით უნდა განსაზღვრულიყო.

1921 წლის 11-12 თებერვალს ღამით დაიწყო საბჭოთა რუსეთის აგრესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 25 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და მთავრობა ბათუმში გადავიდა. საქართველო-რუსეთის ომის პარალელურად მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკება, რაც 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით დასრულდა. საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკებას ორი პრინციპული შეთანხმება დაედო საფუძვლად. **პირველი**. თურქეთი უარს ამბობდა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზე; **მეორე**. რუსეთი აღარ ითხოვდა, რომ თურქეთს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ბერლინის კონგრესის (1878 წ.) მიერ დადგენილ სასაზღვრო ხაზამდე გადაეწია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვის მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულების პირველ მუხლში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ აღნიშნული იყო: "Северо-восточная граница Турции определяется: линией, которая начинаясь у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедисмта, линией водораздела горы Шавшет – горы Канны-даг, она следует затем по северной административной границе Ардаганского и Карсского санджаков..." ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობის გარეშე, რომელიც 1921 წლის 17 მარტის საღამომდე ბათუმში, ე. ი. ქვეყნის ტერიტორიაზე, იმყოფებოდა, რუსეთმა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი თურქეთის ტერიტორიად აღიარა.

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება სხვა მხრივაც შეეხო საქართველოს. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნულია:

"Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в статье первой нынешнего Договора, и составлявшей часть Батумского округа, при условии, что

1) население местностей, указанных в настоящей статье, будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить земельный закон, соответствующий его пожеланиям.

2) Турции будут обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без звимания за то специальных сборов".

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება შეეხო აზერბაიჯანსაც. ხელშეკრულების მეხამე მუხლში აღნიშნულია: "Нахичеванская область... образует автономную территорию под протекторатом Азербайджана, при условии, что Азербайджан не уступит сего протектората третьему государству".

1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაცია საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 20 ივლისს მოახდინა, ხოლო თურქეთმა – 1921 წლის 31 ივლისს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა ქ. ყარსში 1921 წლის 22 სექტემბერს.

1921 წლის მარტისათვის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით სამივე ქვეყანა დამოუკიდებელ,

სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ჯერ-ჯერობით არც ამიერკავკასიის ფედერაცია და არც საბჭოთა კავშირი შექმნილი არ იყო, მაგრამ არსებობდა გეგმა ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნისა. იმხანად გაურკვეველი იყო, ახალ საბჭოთა იმპერიაში რა ფორმით შევიდოდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ასეთ ვითარებაში რუსეთმა გადაწყვიტა თავისი პოზიციების განმტკიცება სამხრეთ კავკასიაში და თავის მთავარ კონკურენტთან, თურქეთთან, ყველა საკითხის მოგვარება. 1921 წლის 23 სექტემბერს ქალაქ **ყარსში** დაიწყო თურქეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკება. ყარსის კონფერენციაში სრულუფლებიანი მხარის სახით მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთი. ოფიციალურ რუსულ გამოცემებში 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში დადებული ხელშეკრულება ასეა დასათარგმნებული: "Договор о дружбе между Армянской ССР, Азербайджанской ССР и Грузинской ССР, с одной стороны, и Турцией — с другой, заключенный при участии РСФСР в Карсе". ხელშეკრულების **პრეამბულაში** აღნიშნულია, რომ სომხეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა "решили приступить к переговорам при участии Российской Социалистической Федеративной Советской Республики". საქართველოს მხრიდან ყარსის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა **შალვა ელიაშვილმა**, საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარმა **ალექსანდრე სვანიძემ**, ხოლო საბჭოთა რუსეთის მხრიდან — **იაკობ განცკიმ (ფიურსტენბერგმა)**, რომელიც იმხანად საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი იყო. თურქეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს **კიაზიმ კარაბეკირ-ფაშამ, ველი-ბეიმ, მუხტარ-ბეიმ, მემდუხ შევკეტ-ბეიმ**; სომხეთის მხრიდან — **ასკანაზ მრავიანმა, პოლოს მაკინზიანმა**; აზერბაიჯანის მხრიდან — **ბეხბუდ შახტახტინსკიმ**.

ყარსში დაწყებულ მოლაპარაკებას იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად, რაც რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მოლაპარაკებას — უცვლელი დარჩა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი.

ყარსის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** ძალადაკარგულად აცხადებდა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) ეხებოდა. ეს არ ეხებოდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებას. **მეორე მუხლში** კი აღნიშნული იყო, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს არ უნდა ეცნოთ არცერთი ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა თურქეთს, მაგრამ არ სცნეს თურქეთის მთავრობამ და თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ. თავის მხრივ, თურქეთი ვალდებული იქნებოდა, არ ეცნო არც ერთი საერთაშორისო აქტი, თუ მას არ ცნობდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ყარსის ხელშეკრულების **მეოთხე მუხლით** დადგინდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. კერძოდ, ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ეს საზღვარი "начинается у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедис-мта, линию водораздела горы Шавшет — гору Канны-даг; она следует затем по старым северным административным границам Ардаганского и Карского санджаков..."

ყარსის ხელშეკრულების **მეექვსე მუხლი** ეხებოდა აჭარას. კერძოდ, ეს მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

"Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над городом и портом Батуми и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. 4 настоящего Договора и составляющей часть Батумского округа, при условии, что:

1) население местностей, указанных в настоящей статье будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и

религиозные права, и население будет иметь возможность установить в указанных местностях земельный закон, соответствующий его пожеланиям;

2) Турции будет обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их каким бы то ни было сборам, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов.

Для праведения в жизнь этой статьи будет немедленно после подписания настоящего Договора образована Комиссия из представителей заинтересованных сторон".

ხელშეკრულების მეშვიდე მუხლში აღნიშნული იყო, რომ მხარეები შეთანხმდნენ "облегчить жителям пограничной зоны переход границы, при условии соблюдения таможенных, полицейских и санитарных правил, которые будут установлены по этому поводу Смешанной Комиссией".

როგორც ვხედავთ, ყარსის ხელშეკრულებამ თითქმის უცვლელად გაიმეორა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლები. უცვლელად განმეორდა მოსკოვის ხელშეკრულების მესამე მუხლიც ნახჭევანის ავტონომიური ტერიტორიის შესახებ. ყარსის ხელშეკრულების მეხუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ნახჭევანის ოლქი წარმოადგენს "автономную территорию под покровительством Азербайджана".

ყარსის ხელშეკრულების ოცი მუხლიდან ექვი მუხლი ძალაში შევიდა ხელმოწერის დროიდან (1921 წლის 13 ოქტომბრიდან), მათ შორის იყო მეექვსე მუხლი, რომელიც აჭარას ეხებოდა. რაც შეეხება ხელშეკრულების დანარჩენ მუხლებს, ისინი ძალაში შევიდოდნენ რატიფიკაციის შემდეგ. ხელშეკრულების მეოცე მუხლი ხელისმომწერ მხარეებს ავალდებულებდა, რაც შეიძლება მოკლე დროში გაეცვალებათ სარატიფიკაციო სიგელები.

ყარსის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა ერევანში 1922 წლის 11 სექტემბერს.

ყარსის ხელშეკრულებას არ ჰქონია საიდუმლო მუხლები. ხელშეკრულებას დაერთო სამი დამატება, რომელთაგან არც ერთი საიდუმლო არ ყოფილა და სამივე მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული. პირველ დამატებაში დაწვრილებით არის აღწერილი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი, მეორე დამატებაში აღწერილი იყო თურქეთის საზღვარი არპაჩაის ზონასა და მდინარე არაქსის ზონაში. მესამე დამატება აღგენდა ნახჭევანის ავტონომიის საზღვრებს. ყარსის ხელშეკრულების სამივე დამატებას ხუთივე ქვეყნის წარმომადგენლებმა ცალ-ცალკე მოაწერეს ხელი.

ყარსის ხელშეკრულება ხუთ ეგზემპლარად – ქართულ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გაფორმდა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული არ ყოფილა.

1922 წლის 30 ივლისს თბილისში გაფორმდა საქართველო-თურქეთის ხელშეკრულებას. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძემ, თურქეთის მხრიდან – პრემიერ-მინისტრმა ს. დემირელმა. ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მხარეები დაიცავენ მათ შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებას და შეთანხმებას დაწვებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებიდან.

საქართველო-თურქეთის 1922 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება ათი წლის ვადით დაიდო. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ თუ მხარეებმა ათწლიანი ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე არ განაცხადეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება კიდევ მომდევნო ხუთი წლით. ათწლიანი ვადის

გასვლის შემდეგ (2002 წ.) არც საქართველოს და არც თურქეთს 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათ, ე. ი. ხელშეკრულება კიდევ ხუთი წლით – 2007 წლამდე გაგრძელდა.

წყაროები და ლიტერატურა:

Документы внешней политики СССР. Том 1. Москва, 1957; Документы внешней политики СССР. Том 3. М., 1959; Документы внешней политики СССР. Том 4. М., 1960; **Вахтанг Гурული.** Карский договор. – газета "Свободная Грузия", 2004, №45, 18 марта, стр. 2; **ვასტანგ გურული.** ყარსის ხელშეკრულება. – გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“, 2004, № 7, 31 მარტი – 6 აპრილი, გვ. 3, 7, 14.

თავი XVIII. ხელშეკრულება საბჭოთა რესპუბლიკების მიერ საბჭოთა რუსეთის თავის წარმომადგენლად აღიარების შესახებ (1922 წ. 22 თებერვალი)

1922 წლის დამდეგიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა მზადება საერთოევროპული ეკონომიკური კონფერენციისათვის. კონფერენციის მიზანს შეადგენდა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) შემდგომ ევროპაში შექმნილი რთული ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. ეს კონფერენცია 1922 წლის აპრილ-მაისში გაიმართა იტალიაში, ქალაქ გენუაში. დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ კონფერენციაზე მიეწვიათ მათ მიერ არცნობილი საბჭოთა რუსეთი, რადგან ეკონომიკური პრობლემები რუსეთის გარეშე ვერ გადაიჭრებოდა. რუსეთის იმპერიას დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან დიდი ვალი ჰქონდა აღებული. ეს ვალი რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრეს – საბჭოთა რუსეთს უნდა გადაეხადა. საბჭოთა რუსეთი კონფერენციაში მონაწილეობას ორი მიზეზის გამო დასთანხმდა. 1) საერთოევროპულ კონფერენციაში მონაწილეობა აამაღლებდა საბჭოთა რუსეთის პრესტიჟს, 2) საბჭოთა რუსეთს სურდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობა.

1922 წლის დამდეგისათვის ახალი საბჭოთა იმპერია – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი – ჯერ შექმნილი არ იყო. საქართველო, სამართლებრივი თვალსაზრისით, დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. საქართველოს ემიგრაციული მთავრობა (მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას) ცდილობდა, რომ საერთოევროპულ კონფერენციაზე წარმოდგენილი ყოფილიყო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება – ემიგრაციული მთავრობა და არა საბჭოთა საქართველოს მთავრობა. ამასვე ცდილობდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის ემიგრაციული მთავრობები. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ცხადია, არ სურდა კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მიერ დევნილი მთავრობების წარმომადგენელთა დასწრება. უფრო მეტიც, საბჭოთა რუსეთი ცდილობდა, კონფერენციაზე ცალკე არ ყოფილიყვნენ წარმოდგენილი მის მიერ დაპყრობილი და ძალით გასაბჭოებელი რესპუბლიკების სატელიტი მთავრობებიც კი. მან შექმნილი ვითარებიდან ასეთი გამოსავალი იპოვა. 1922 წლის 22 თებერვალს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ხორეზმის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური

ხელმძღვანელობის მოთხოვნით ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ყველა რესპუბლიკამ საერთოევროპულ კონფერენციაზე თავის წარმომადგენლად აღიარა **საბჭოთა რუსეთი**. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან საბჭოთა საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა **მისა ცხაკაიამ**.

ასე შეიღალა მოსკოვის ნებით საქართველოს სუვერენული უფლებები.

წყარო:

Сборник действующих договоров, соглашений и конвенций заключенных РСФСР с иностранными государствами. Выпуск III. Москва, 1922.

თავი XIX. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა (1922 წ. 13 დეკემბერი)

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ლიდერებმა (ვლადიმერ ლენინმა, იოსებ სტალინმა, ლევ ტროცკიმ, ლევ კამენევმა, გრიგორი ზონივიევმა და სხვ.) ოფიციალურად როდის (1921 წელსა თუ 1922 წელს) დააყენეს ყოფილი რუსეთის იმპერიის სივრცეში ახალი, საბჭოთა იმპერიის შექმნის საკითხი, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ველიკოდერჟავული, იმპერიული ამბიციები ბოლშევიკებს (ისევე როგორც რუსეთის სხვა პოლიტიკურ პარტიებს) თავიდანვე გააჩნდათ. სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ, ველიკოდერჟავული, იმპერიული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი პროგრამა, რომელიც 1903 წელს მიიღო რსდმპ II ყრილობამ. იმპერიული აზროვნება იყო გაბატონებული რსდმპ ორივე ფრაქციაში – ბოლშევიკურსა და მენშევიკურში. ველიკოდერჟავული, იმპერიული იდეებისადმი ერთგულება დადასტურდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VII ყრილობის მიერ 1919 წელს მიღებულ პარტიის მეორე პროგრამაში. უფრო მეტიც, 1917 წლის ოქტომბრიდან ბოლშევიკი ლიდერები შესამჩნევად მიიხრევიდნენ მსოფლიო პროლეტარული (სოციალისტური) რევოლუციის განხორციელებასა და მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას.

ახალი, საბჭოთა იმპერიის შექმნა შეაფერხა 1918 წლის გაზაფხულზე დაწყებულმა სამოქალაქო ომმა და საბჭოთა რუსეთის ტერიტორიის ნაწილის უცხო ქვეყნების მიერ ოკუპაციამ. სისხლიანი სამოქალაქო ომი (1918-1920 წწ.) საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დასრულდა. 1921 წლის მარტისათვის საბჭოთა რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი უკვე დამყარებული იყო ყოფილი რუსეთის იმპერიის ვრცელ ტერიტორიებზე:

- უკრაინაში,
- ბელორუსიაში,
- აზერბაიჯანში,
- სომხეთში,
- საქართველოში.

ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთიდან თავის დაღწევა მოახერხეს ერთ დროს რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილმა ქვეყნებმა:

- პოლონეთმა (უფრო ზუსტად მისმა აღმოსავლეთმა ნაწილმა),
- ფინეთმა,
- ლიტვამ,
- ლატვიამ,

- ესტონეთმა.

საბჭოთა რუსეთს გარკვეული წინააღმდეგობები ჰქონდა დასაძლევნი ციმბირსა და შუა აზიაში. თუმცა ცხადი იყო, რომ ამ რეგიონებზე ბატონობაში რუსეთს ველარავინ შეეცილებოდა.

ახალი, საბჭოთა იმპერიის შექმნის გზაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობას. ამ დროიდან საბჭოთა რესპუბლიკების სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის პროცესში მონაწილეობდნენ:

1. რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა,
2. უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (მოლდავეთითურთ),
3. ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
4. აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
5. სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკა,
6. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა.

ყველა ეს რესპუბლიკა, იურიდიული თვალსაზრისით, დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყანას წარმოადგენდა.

ვლადიმერ ლენინის ავადმყოფობის გამო საბჭოთა რესპუბლიკების ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოდ გაერთიანებას იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევდა იოსებ სტალინი. მან თავდაპირველად ასეთი პროექტი წამოაყენა: ყველა საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთში უნდა შესულიყო ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით. ეს იმას ნიშნავდა, რომ უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო კარგავდნენ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, რაც მათ იურიდიულად (და არა რეალურად) ჯერ კიდევ გააჩნდათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში საბჭოთა რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი არსებობდა. დღემდე მთლად ნათელი არ არის: იოსებ სტალინს ასეთი გეგმა რეალურად ეჩვენებოდა, თუ ყოველივე ეს პოლიტიკური თამაში იყო. უფრო სავარაუდოა, რომ იოსებ სტალინი ვითარების გარკვევას ცდილობდა. იოსებ სტალინის პროექტს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა რესპუბლიკებში და პროექტის ავტორმაც უკან დაიხია. ამის შემდეგ პროექტმა ასეთი სახე მიიღო: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ნებაყოფლობით და სავსებით თანასწორ საფუძველზე ქმნიდნენ სამოკავშირეო სახელმწიფოს – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. ამასთან ერთად, სამოკავშირეო სახელმწიფოში გაერთიანებული ყველა რესპუბლიკა ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტსა და სამოკავშირეო სახელმწიფოდან გასვლის უფლებას.

იმ რესპუბლიკათა შორის, რომელთაც სამოკავშირეო სახელმწიფო უნდა შეექმნათ, მოსკოვისათვის ყველაზე ნაკლებად საშიში ბელორუსია იყო. აქ თითქმის არ არსებობდა ანტირუსული და ანტისაბჭოთა განწყობილება. საწინააღმდეგო სურათი იყო უკრაინაში, მაგრამ ქვეყანაში ეთნიკური რუსების სიმრავლე ანეიტრალებდა ანტირუსულ განწყობილებას. სიტუაციის განმუხტვას ხელს უწყობდა ისიც, რომ 1921 წლის მარტიდან, რიგის საზავო ხელშეკრულების ძალით, დასავლეთ უკრაინა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აღარ ეკუთვნოდა, იგი პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო.

მოსკოვისათვის საგანგაშო ვითარება იყო ამიერკავკასიაში. საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ანტირუსულ და ანტისაბჭოთა ეროვნულ ძალთა სიძლიერე, ძლიერი პოლიტიკური ემიგრაცია სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნას სერიოზულად შეუშლიდა ხელს. აზერბაიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფომ არასრული ორი წელი იარსება (1919 წლის მაისი – 1920 წლის აპრილი), სომხეთის სახელმწიფომ – ორ წელზე

მეტი (1918 წლის მაისი – 1920 წლის ნოემბერი), საქართველოს სახელმწიფომ – არასრული სამი წელი (1918 წლის მაისი – 1921 წლის თებერვალი). მოსკოვის გეგმის თანახმად, საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს სამოკავშირეო სახელმწიფოში შესვლამდე იურიდიულადაც უნდა დაეკარგათ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. ამ ვერაგული გეგმის ხორცშესხმის ყველაზე მოხერხებულ საშუალებად მოსკოვმა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაერთიანება მიიჩნია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ახალ სამოკავშირეო სახელმწიფოს დააარსებდნენ: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია და ამიერკავკასიის ფედერაცია. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სუვერენული სახელმწიფოები სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის დროისათვის იურიდიულად აღარ იარსებებდნენ.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა საქართველოში. ქართველი ბოლშევიკების ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდა სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნას, ფედერაციის იდეის წინააღმდეგ გამოვიდა. წინააღმდეგობა, თუმცა შედარებით ნაკლები, იყო აზერბაიჯანშიც. მოსკოვის გეგმას წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია სომხეთში.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის გზაზე ორი მოვლენა იყო მნიშვნელოვანი: 1) 1921 წლის 12 მარტს დადებული **ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამოკავშირეო ხელშეკრულება**; 2) 1921 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება **ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის** შექმნის შესახებ.

1921 წლის 12 მარტს ბაქოში ხელმოწერილი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამოკავშირეო ხელშეკრულება, მოსკოვის მითითების თანახმად, შემუშავებული იქნა **სერგო ორჯონიკიძის** ხელმძღვანელობით. ხელშეკრულება პრემბულისა და ცამეტი მუხლისგან შედგება.

პრეაბულაში აღნიშნულია: 1) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებს; 2) საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი სამოკავშირეო ხელშეკრულებას დებდნენ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით.

პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ თანასწორი ოდენობით არჩეული წარმომადგენელთა **სრულუფლებიანი კონფერენცია**.

მეორე მუხლი ეხებოდა უმაღლეს ადმინისტრულ ხელისუფლებას. ამიერკავკასიის რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს ადმინისტრულ ხელისუფლებას წარმოადგენდა **სამოკავშირეო საბჭო**, რომელსაც ნიშნავდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – სრულუფლებიანი კონფერენცია.

მესამე მუხლი განსაზღვრავდა სამოკავშირეო კომპეტენციას. კერძოდ, ამ მუხლს განეკუთვნებოდა: სამხედრო საქმე, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, რკინიგზა, კავშირგაბმულობა, კონტრევოლუციასთან ბრძოლა, ეკონომიკური პოლიტიკა.

მეოთხე მუხლი განსაზღვრავდა სამოკავშირეო საბჭოს შემადგენლობას. სამოკავშირეო საბჭოს ჰყავდა **თავმჯდომარე, მოადგილე და წევრები**. სამოკავშირეო საბჭოს წევრებად ინიშნებოდნენ: სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი, ფინანსთა სახალხო კომისარი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარი,

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი, რკინიგზის სამმართველოს უფროსი, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.

მეხუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ სამოკავშირეო საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა დეკრეტებს, განკარგულებებსა და ინსტრუქციებს, რაც აუცილებელი იყო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

მეექვსე მუხლის ძალით იქმნებოდა **უმაღლესი ეკონომიკური საბჭო**, რომლის მიზანი იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკური ორგანოების გაერთიანება. უმაღლესი ეკონომიკური საბჭო მოქმედებდა სამოკავშირეო საბჭოს მუდმივი კომისიის უფლებით.

მეშვიდე მუხლი განსაზღვრავდა უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობას.

მერვე მუხლი განსაზღვრავდა უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს ფუნქციას (ერთიანი სამეურნეო გეგმის შემუშავება და მის შესრულებაზე კონტროლი).

მეცხრე მუხლში აღნიშნული იყო, რომ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დადგენილება სავალდებულო იყო ყველა იმ უწყებისა და დაწესებულებისათვის, რომელსაც გაერთიანება შეეხო.

მეათე მუხლი განმარტავდა: იმ უწყებებსა და დაწესებულებებში, სადაც გაერთიანება არ მომხდარა, უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს თავისი დადგენილება უნდა გაეტარებინა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკური საბჭოების მეშვეობით.

მეთერთმეტე მუხლის ძალით, სამოკავშირეო საბჭოსთან იქმნებოდა მაკონტროლებელი ორგანო – **მუშურ-გლეხური ინსპექცია**.

მეთორმეტე მუხლში აღნიშნული იყო, რომ **სამოკავშირეო საბჭო** თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებდა **სრულუფლებიან კონფერენციას**. ამ უკანასკნელს კი უფლება ჰქონდა შეეჩერებინა სამოკავშირეო საბჭოს ნებისმიერი დოკუმენტი, ასევე უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დადგენილება.

მეცამეტე მუხლი გვაუწყებდა: ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კავშირი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობას ამყარებდა სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე.

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის 1921 წლის 12 მარტს დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება წარმოადგენდა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის წინაპირობას.

1921 წლის 10 დეკემბერს ბაქოში გაიხსნა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომელსაც 582 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობის მთელ მუშაობას, მოსკოვიდან მიღებული მითითების თანახმად, წარმართავდა სერგო ორჯონიკიძე. ყრილობაზე დაისვა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების ფორმის სრულყოფის შესახებ. ასეთ ფორმად მიჩნეული იქნა **ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის** შექმნა. ეს გადაწყვეტილება დაკანონდა 1921 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებით. კონსტიტუცია ხუთი განყოფილების, ცხრა თავისა და ორმოცდაშვიდი მუხლისაგან შედგება.

მესამე მუხლი აკანონებდა ახალ სახელმწიფოს – **ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის** შექმნას.

მეხუთე მუხლის ძალით ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო **ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მატრიოსთა დეპუტატთა საბჭოების ყრილობა**.

მეცხრე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობა ირჩევდა **ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს**.

მეათე მუხლი ამიერკავკასიის ფედერაციის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობებს შორის პერიოდში ანიჭებდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ანგარიშს აბარებდა საბჭოების ყრილობას.

ოცდამეორე მუხლის ძალით ამიერკავკასიის ფედერაციის უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, ორი მოადგილე და წევრები (სახალხო კომისრები).

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის გერბი ასეთი იყო: გერბის ზედა ნაწილზე გამოსახული იყო მთაგრეხილის ფონზე ამომავალი მზე და ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ოქროსფერი ურო და ნამგალი, რომლის ქვეშ მოთავსებული იყო ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი. გერბის ქვედა ნაწილზე, მთაგრეხილის ძირას, გამოსახული იყო: მარჯვნივ – ნავთობის ჭაბურღილის კოშკი, მარჯვნივ – მბოლავი ფაბრიკა, ცენტრში – ვაზის რტო, ბამბა, ბრინჯი, სიმინდის ტარო და პურის თავთავი. გერბს გარს ერტყა წითელი ლენტი, რომელზეც მარცხნიდან მარჯვნივ სომხურ, რუსულ, ქართულ და თურქულ ენებზე ოქროსფერი ასოებით ეწერა „ასფსრ“. ლენტის ქვედა ნაწილზე ოქროსფერ ფონზე იყო წარწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (მუხლი 45).

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის დროშას წარმოადგენდა წითელი (აღისფერი) ქსოვილი, რომლის მარცხენა ზედა კუთხეში ნახევარწრის ფორმით იკითხებოდა რუსული ასოები: "ЗСФСР", ხოლო მის ქვემოთ, მარცხენა კუთხეში მოთავსებული იყო ოქროსფერი ხუთქიმიანი ვარსკვლავი (მუხლი 45).

ამიერკავკასიის ფედერაციის ჰიმნი კონსტიტუციით განსაზღვრული არ ყოფილა.

კონსტიტუციის ორმოცდამეშვიდე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის ყველა ცენტრალური დაწესებულების რეზიდენცია იქნებოდა თბილისში, ხოლო სიტყვა „დედაქალაქი“ კონსტიტუციაში ნახსენები არ ყოფილა.

1921 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების I-მა ყრილობამ მიიღო კიდევ ორი დადგენილება. პირველი მათგანი მხარს უჭერდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნას რესპუბლიკების შემდეგი შემადგენლობით: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია და ამიერკავკასიის ფედერაცია. მეორე დადგენილება ითხოვდა საბჭოების საკავშირო ყრილობის მოწვევას, რომელსაც უნდა მიეღო დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

წყარო:

Первый Закавказский съезд советов. Стенографический отчет. Тифлис, 1923; Образование СССР. Сборник документов. 1917-1924. Под редакцией Э. Б. Генкиной. Москва-Ленинград, 1949; Съезды советов Союза ССР, союзных и автономных советских социалистических республик. Сборник документов в трех томах. 1917-1936 гг. Том II. Москва, 1960.

თავი XX. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა (1922 წ. 30 დეკემბერი)

ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით (1922 წლის 13 დეკემბერი) გადაიღაბა ის ბოლო დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) შექმნას. რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში, უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა

და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში „სამოკავშირეო“ სახელმწიფოს შესაქმნელად უკვე ყველაფერი მზად იყო.

ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობამ არა მარტო შექმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, არამედ 1922 წლის 13 დეკემბერს მიიღო რეზოლუცია საბჭოების I სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევის შესახებ. ამ ყრილობაზე, მოსკოვის გეგმის თანახმად, უნდა შექმნილიყო ახალი სამოკავშირეო სახელმწიფო, საბჭოთა იმპერია – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

მოსკოვში ჩქარობდნენ. ჩქარობდა ახალი, საბჭოთა იმპერიის უპირველესი იდეოლოგი და დასახული იდეის რეალიზებისათვის არაადამიანური ძალით მებრძოლი **იოსებ სტალინი**. 1922 წლის 26 დეკემბერს იოსებ სტალინი მოხსენებით გამოვიდა საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე. მოხსენება – **„საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ“** – არც ისე ვრცელი იყო. იოსებ სტალინმა ყრილობას წარუდგინა მის მიერ დაწერილი რეზოლუციის პროექტი. რეზოლუციის პროექტი შვიდი მუხლისაგან შედგებოდა:

„1. ცნობილ იქნას დროულად რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის, უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა და ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად.

2. გაერთიანებას საფუძვლად დაედოს რესპუბლიკების ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თანაც თვითეულ მათგანს შერჩეს რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება.

3. დაევალოს რსფს რესპუბლიკის დელეგაციას შეიმუშაოს უკრაინის, ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და ბელორუსიის დელეგაციებთან ერთად პროექტი დეკლარაციისა რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ იმ გარემოებთა აღნიშვნით, რომლებითაც ნაკარნახევია რესპუბლიკების გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოდ.

4. დაევალოს დელეგაციას შეიმუშაოს რესპუბლიკების კავშირში რსფს რესპუბლიკის შესვლის პირობები, ამასთან დაეკისროს მას საკავშირო ხელშეკრულების განხილვის დროს დაიცვას შემდეგი დებულებანი:

ა) სათანადო საკავშირო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შექმნა;

ბ) სამხედრო-საზღვაო, გზათა, საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობისა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატების შეერთება;

გ) ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების ფინანსთა, სურსათის, სახლხო მეურნეობის, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების დაქვემდებარება რესპუბლიკების კავშირის სათანადო კომისარიატების დირექტივებისადმი;

დ) ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების ხალხთა ნაციონალური განვითარების ინტერესების სრული უზრუნველყოფა;

5. ხელშეკრულების პროექტი, ვიდრე იგი რესპუბლიკების კავშირის პირველ ყრილობაზე იქნებოდეს შეტანილი, წარედგინოს მოსაწონებლად სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მისი პრეზიდიუმის სახით.

6. უფლებამოსილ იქნას დელეგაცია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოწონებული გაერთიანების პირობების საფუძველზე, დაიდოს რსფს რესპუბლიკის ხელშეკრულება უკრაინის, ამიერკავკასიისა და ბელორუსიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ.

7. ხელშეკრულება წარედგინოს დასამტკიცებლად რესპუბლიკების კავშირის I ყრილობას.“

საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობამ მიიღო იოსებ სტალინის რეზოლუციის პროექტი.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა **სრულიად საკავშირო საბჭოების პირველი ყრილობა**. ყრილობას ესწრებოდნენ დელეგატები: რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკიდან, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკიდან. ყრილობაზე მოხსენებით – „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“ – გამოვიდა **იოსებ სტალინი**. ყრილობაზე იოსებ სტალინის გეგმის მოწინააღმდეგეებმა სრული მარცხი განიცადეს.

ყრილობამ მიიღო ორი დოკუმენტი: „**დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ**“; და „**ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ**“. ორივე დოკუმენტის მთლიან ტექსტს ქვემოთ გთავაზობთ.

დეკლარაცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შესახებ

საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის დროიდან მსოფლიოს სახელმწიფონი გაითიშნენ ორ ბანაკად: კაპიტალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად.

იქ, კაპიტალიზმის ბანაკში, – სუფევს ნაციონალური მტრობა და უთანასწორობა, კოლონიური მონობა და შოფინიზმი, ნაციონალური ჩაგვრა და რბევა, იმპერიალისტური მხეცობა და ომები.

აქ, სოციალიზმის ბანაკში – ურთიერთნდობა და მშვიდობიანობა, ნაციონალური თავისუფლება და თანასწორობა, ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა.

კაპიტალისტური მსოფლიოს ცდები ათეული წლების განმავლობაში – გადაეწყვიტა ეროვნებათა საკითხი იმ გზით, რომ შეთავსებული ყოფილიყო ხალხთა თავისუფალი განვითარება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სისტემასთან, – უნაყოფო აღმოჩნდა. პირიქით, ნაციონალურ წინააღმდეგობათა კვანძი უფრო და უფრო იხლართება და თვით კაპიტალიზმის არსებობას ემუქრება. ბურჟუაზია უძღური აღმოჩნდა – მოეგვარებინა ხალხთა თანამშრომლობა.

მხოლოდ საბჭოების ბანაკში, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა მოსახლეობის უმრავლესობა, გახდა შესაძლებელი ნაციონალური ჩაგვრის ძირფესვიანად აღმოფხვრა, ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნა და ხალხთა ძმური თანამშრომლობის საფუძველთა ჩაყრა.

მხოლოდ ამ გარემოებათა მეოხებით შესძლეს საბჭოთა რესპუბლიკებმა მოეგერიებინათ თავდასხმები მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებისა – შინაურებისა და უცხოელებისა.

მხოლოდ ამ გარემოებათა მეოხებით შესძლეს მათ წარმატებით მოეხდინათ სამოქალაქო ომის ლიკვიდაცია, უზრუნველყოთ თავიანთი არსებობა და შესდგომოდნენ მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას.

მაგრამ ომიანობის წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. გაჩანაგებული მინდორ-ველები, გაჩერებული ქარხნები, მოშლილი საწარმოო ძალები და გამოფიტული სამეურნეო რესურსები, ომიანობამ მემკვიდრეობად რომ დაგვიტოვა, – არასაკმარისს ხდის ცალკეული რესპუბლიკების განკურძობებულ ღონისძიებებს სამეურნეო მშენებლობის დარგში. სახალხო

მეურნეობის აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა რესპუბლიკების განცალკევებული არსებობის პირობებში.

მეორე მხრივ, საერთაშორისო მდგომარეობის მერყეობა და ახალი თავდასხმების საშიშროება აუციბლებს ხდის საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტის შექმნას კაპიტალისტური გარემოცვის პირისპირ.

ბოლოს, თვით აგებულება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც თავისი კლასობრივი ბუნებით ინტერნაციონალურია, აყენებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასებს ერთ სოციალისტურ ოჯახად გაერთიანების გზაზე.

ყველა ეს გარემოება დაბეჯითებით მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ საკავშირო სახელმწიფოდ, რომელიც შესძლებს უზრუნველყოს ხალხთა საგარეო უშიშროებაც, შინაური სამეურნეო წარმატებაც და ნაციონალური განვითარების თავისუფლებაც.

ნება საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებისა, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინათ შეიკრიბნენ თავიანთი საბჭოების ყრილობებზე და ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ შექმნის შესახებ, საიმედო თავდებია იმისა, რომ ეს კავშირი არის თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომ თვითოეულ რესპუბლიკას უზრუნველყოფილი აქვს უფლება – თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან, რომ კავშირის კარი ღიაა ყველა, როგორც ამჟამად არსებული, ისე იმ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომლებიც მომავალში წარმოიშობიან, რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო იქნება ღირსეული დაგვირგვინება ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრების და ძმური თანამშრომლობის საფუძვლებისა, რაც ჩაყრილ იქნა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში, რომ ეს სახელმწიფო იქნება საიმედო ბურჯი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ახალი გადამწყვეტი ნაბიჯი ყველა ქვეყნის მშრომელების მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გაერთიანების გზაზე.

ვაცხადებთ რა ყოველივე ამას მთელი მსოფლიოს წინაშე და სახეიმოდ ვადიარებთ რა საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლების შეურყევლობას, რომლებმაც თავისი გამოხატულება პოვეს ჩვენთვის რწმუნებათა მომცემი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებში, – ჩვენ, ამ რესპუბლიკების დელეგატები, მოცემულ რწმუნებათა საფუძველზე, ვადგენთ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ შექმნის შესახებ.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (რსფსრ), უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (უსსრ), ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (ბსსრ) და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (ა.-კ. სფსრ – საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) სდებენ ამ საკავშირო ხელშეკრულებას ერთ საკავშირო სახელმწიფოდ – „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად“ – გაერთიანების შესახებ შემდეგ საფუძველზე.

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას, მისი უმაღლესი ორგანოების სახით, ეკუთვნის:

- ა) კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში;
- ბ) კავშირის გარეთა საზღვრების შეცვლა;

გ) ხელშეკრულებათა დადება კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღების შესახებ;

დ) ომის გამოცხადება და ზავის დადება;

ე) საგარეო სახელმწიფო სესხებზე ხელშეკრულების დადება;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია;

ზ) საგარეო ვაჭრობისა და შინაავაჭრობის სისტემების დაწესება;

თ) კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძვლებისა და საერთო გეგმის დაწესება, აგრეთვე საკონცესიო ხელშეკრულებათა დადება;

ი) ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმის რეგულირება;

კ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის საფუძვლების დაწესება;

ლ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, სამონეტო, ფულადი და საკრედიტო სისტემის, აგრეთვე საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი გადასახადების სისტემის დაწესება;

მ) მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის, აგრეთვე კავშირის მთელ ტერიტორიაზე მიწის წიაღით, ტყითა და წყლით სარგებლობის საერთო პრინციპების დაწესება;

ნ) საერთო-საკავშირო კანონმდებლობა გადასახლება-გადმოსახლების შესახებ;

ო) სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების საფუძველთა დაწესება, აგრეთვე საკავშირო სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა;

პ) შრომის ძირითადი კანონების დაწესება;

ჟ) სახალხო განათლების საერთო პრინციპების დაწესება;

რ) სახალხო ჯანმთელობის დაცვის დარგში საერთო ღონისძიებათა დაწესება;

ს) ზომისა და წონის სისტემის დაწესება;

ტ) საერთო-საკავშირო სტატისტიკის ორგანიზაცია;

უ) ძირითადი კანონმდებლობა საკავშირო მოქალაქეობის დარგში უცხოელთა უფლებების მიმართ;

ფ) საერთო ამნისტიის უფლება;

ქ) მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოების ყრილობების, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების ისეთ დადგენილებათა გაუქმება, რომლებიც საკავშირო ხელშეკრულებას არღვევენ.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა, ხოლო ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

3. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა შესდგება საქალაქო საბჭოების წარმომადგენელთაგან – იმ ანგარიშით, რომ ყოველ 25 000 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი, – და საბჭოების საგუბერნიო ყრილობების წარმომადგენელთაგან – იმ ანგარიშით, რომ ყოველ 125 000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი.

4. დელეგატები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობისათვის აირჩევიან საბჭოების საგუბერნიო ყრილობებზე.

5. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მორიგ ყრილობებს იწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ; საგანგებო ყრილობებს იწვევს საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საკუთარი გადაწყვეტილებით ან არა ნაკლებ, ვიდრე ორი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით.

6. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა ირჩევს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან თვითოეული მათგანის მოსახლეობის პროპორციულად, სულ 371 წევრის შემადგენლობით.

7. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესიები მოიწვევა სამჯერ წელიწადში. საგანგებო სესიები მოიწვევა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მოთხოვნით, აგრეთვე ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით.

8. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობები და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიები მოიწვევა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში იმ წესით, რასაც დაადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

9. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სესიიდან მეორემდე.

10. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ირჩევა 19 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოთხ თავმჯდომარეს მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით.

11. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აღმასრულებელი ორგანო არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭო (კავშირის სასკომსაბჭო), რომელსაც ირჩევს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამ უკანასკნელის უფლებამოსილების ვადით შემდეგი შემადგენლობით:

- კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე,
- თავმჯდომარის მოადგილენი,
- საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,
- სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი,
- საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი,
- გზათა სახალხო კომისარი,
- ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი,
- მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი,
- სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,
- შრომის სახალხო კომისარი,
- სასურსათო საქმის სახალხო კომისარი,
- ფინანსთა სახალხო კომისარი.

12. იმ მიზნით, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე დამყარდეს რევოლუციური კანონიერება და მოკავშირე რესპუბლიკების ძალდონე გაერთიანდეს კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საქმეში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი სასამართლო კონტროლის ფუნქციებით, ხოლო კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან – სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს

გაერთიანებული ორგანო, რომლის თავმჯდომარე შედის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით.

13. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახკომსაბჭოს დეკრეტები და დადგენილებები სავალდებულოა ყველა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის და უშუალოდ მოიყვანე სისრულეში კავშირის მიერ ტერიტორიაზე.

14. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დეკრეტები და დადგენილებები იბეჭდება მოკავშირე რესპუბლიკებში საერთო-სახმარებელ ენებზე (რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ქართული, სომხური, თურქული).

15. მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები გააპროტესტებენ კავშირის სახკომსაბჭოს დეკრეტებსა და დადგენილებებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, ხოლო ვერ შეახერხებენ მათ შესრულებას.

16. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნან მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის მიერ; ხოლო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცალკეული სახალხო კომისრების განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმისა და კავშირის სახკომსაბჭოს მიერ.

17. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა განკარგულებანი შეიძლება შეჩერებულ იქნან მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების მიერ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც განკარგულება აშკარად არ შეესაბამება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახკომსაბჭოს ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებს. განკარგულების შეჩერება მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სათანადო სახალხო კომისარს.

18. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

- სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე,
- თავმჯდომარის მოადგილენი,
- სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,
- მიწათმოქმედების სახალხო კომისარი,
- სასურსათო საქმის სახალხო კომისარი,
- ფინანსთა სახალხო კომისარი,
- შრომის სახალხო კომისარი,
- შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი,
- იუსტიციის სახალხო კომისარი,
- მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი,
- განათლების სახალხო კომისარი,
- ჯანმთელობის დაცვის სახალხო კომისარი,
- სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი,
- ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარი,

აგრეთვე სათათბირო ხმის უფლებით – კავშირის საგარეო საქმეთა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების რწმუნებულები.

19. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები და სასურსათო საქმის, ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, უშუალოდ ემორჩილებიან რა მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სახკომსაბჭოებს, თავის მუშაობაში ხელმძღვანელობენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სათანადო სახალხო კომისრების განკარგულებებით.

20. კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებს აქვს თავისი ბიუჯეტები, რომლებიც კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული საერთო-საკავშირო ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. რესპუბლიკების ბიუჯეტებს მათი საშემოსავლო და საგასავლო ნაწილით დააწესებს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. შემოსავალთა ნუსხას და საშემოსავლო ანარიცხების რაოდენობას, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების შექმნას ხმარდება, განსაზღვრავს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

21. მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეთათვის დაწესებულია ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა.

22. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს აქვს თავისი დროშა, გერბი და სახელმწიფო ბეჭედი.

23. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი არის ქალაქი მოსკოვი.

24. მოკავშირე რესპუბლიკებს ამ ხელშეკრულების შესაბამისად შეაქვთ ცვლილებანი თავიანთ კონსტიტუციებში.

25. საკავშირო ხელშეკრულების დამტკიცება, შეცვლა და დამატება შეადგენს მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოეის ყრილობის გამგებლობის საგანს.

26. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა ინარჩუნებს კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლებას.

* * *

ახალი, საბჭოთა იმპერია, რომლის შექმნა ბევრ პოლიტიკოსს, მათ შორის საზღვარგარეთაც, უტოპიად ეჩვენებოდა, რეალობად იქცა. იმპერიის არქიტექტორი – **იოსებ სტალინი** – ზეიმობდა!

წყაროები და ლიტერატურა:

იოსებ სტალინი. თხზულებანი. ტომი 5. 1921-1923. თბილისი, 1949; **ლევან თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბილისი, 1999; **Образование СССР (Сборник документов).** 1917-1924. Под редакцией **Э. Б. Генкиной.** Москва-Ленинград, 1949.

თავი XXI. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (1991 წ. 9 აპრილი)

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს, ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ეროვნული მოძრაობის

აღმავლობა და ქართველი საზოგადოების რადიკალიზაცია გამოიწვია. საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას საბოლოოდ გაუტყდა სახელი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი გადამდგარი ჯუმბერ პატიაშვილის ნაცვლად გივი გუმბარიძემ დაიკავა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე დაკარგა მართვის სადავეები. ეროვნული მოძრაობის სათავეში რადიკალური პოლიტიკური ძალები მოექცნენ. ისინი მართავდნენ პოლიტიკურ პროცესებს. ხელისუფლება თითქმის მორჩილად ასრულებდა ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს. ქვეყანაში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა.

რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ეროვნული ხსნის კომიტეტი. მასში გაერთიანდნენ: ჰელსინკის კავშირი (თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გიორგი ჭანტურია), სახალხო ფრონტი (ნოდარ ნათაძე), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირაკლი წერეთელი), ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ტრადიციონალისტთა კავშირი (აკაკი ასათიანი) და სხვ. ეროვნული ხსნის კომიტეტის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო. ეტაპობრივი ბრძოლა ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურების თანდათანობით გაუქმებას, ბრძოლის საშუალებად კი მიჩნეულ იქნა საპროტესტო მშვიდობიანი მოძრაობა (გაფიცვები, მიტინგები, შიმშილობა).

ეროვნული ხსნის კომიტეტის ინიციატივით 1989 წლის ოქტომბერში თბილისში, სპორტის სასახლესთან, მიმდინარეობდა იმ ქართველი ახალგაზრდების მჯდომარე აქცია, რომელნიც უარს აცხადებდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე. ოქტომბერშივე ხელოვნების მუხეშთან აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველები მჯდომარე გაფიცვის გზით რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებას მოითხოვდნენ.

1989 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ეროვნული ხსნის კომიტეტის წარმომადგენლები რამდენჯერმე შეხვდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს და წაუყენეს თავიანთი მოთხოვნები: საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა; საერთაშორისო ფორუმებზე დასწრების უფლება; იმ წვევამდევლების დაუსჯელობა, რომლებიც უარს ამბობდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე; სოხუმში 1989 წლის ივლისში მომხდარი სისხლიანი შეტაკების მოთავეების დასჯა; აფხაზეთის რამდენიმე რაიონში საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ნაცვლად ქართული მილიციის შეყვანა; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელწოდების შეცვლა ცხინვალის ოლქით, როკის გვირაბის გაუქმება; გარდაბნის, მარნეულის, დმანისის რაიონებსა და ფონიჭალაში უკანონოდ მიტაცებული მიწების დაბრუნება კანონიერ მფლობელთათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლა და მათ მიერ მიკუთვნებული მიწების გლეხობის ხელში გადაცემა, საეთერო დრო ტელევიზიაში, რადიოში, ალტერნატიული ადგილი რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში და ა. შ.

ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა წამოაყენეს საერთო-სახალხო რეფერენდუმის მოწყობის იდეა. ქართველ ერს უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეისადმი. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ზეგავლენით 1990 წლის მარტში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც 1921 წლის თებერვალში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის სამხედრო მოქმედება შეაფასა, როგორც ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.

ეროვნული მოძრაობის ზეგავლენით საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის მარტში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ჩატარების შესახებ. არჩევნების მიმართ პოლიტიკურმა პარტიებმა არაერთგვაროვანი პოზიცია დაიკავეს. მას შემდეგ, რაც 1988 წლიდან ეროვნულმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, საპროტესტო აქციებს პოლიტიკური პარტიები ხელმძღვანელობდნენ. ესენი იყვნენ, ერთი მხრივ, – ჰელსინკის კავშირი და მისი აღიარებული მეთაურები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მეორე მხრივ – ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ჭავჭავაძე) და სხვ. ამ ვითარებაში გადაწყვეტ როლს ასრულებდა მერაბ კოსტავას პიროვნული თვისებები, რომელიც ყოველთვის ახერხებდა ეროვნული მოძრაობის ორ ბანაკს შორის შეთანხმებას, კომპრომისის მიღწევას. 1989 წლის ოქტომბერში ავტოკატასტროფაში მერაბ კოსტავას დაღუპვას ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება მოჰყვა: ეროვნული მოძრაობის სათავეში ორი თაობის პოლიტიკური მოღვაწეები აღმოჩნდნენ. მათ შორის თავიდანვე იყო წინააღმდეგობა, მაგრამ ეპიზოდური დაპირისპირების მიუხედავად, 1990 წლის გაზაფხულამდე ისინი მაინც ახერხებდნენ მშვიდობიან თანაარსებობას.

ქართველი საზოგადოების ზომიერმა ლიბერალურმა ძალებმაც ცადეს პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ამ ცდებს ხელისუფლებაც უჭერდა მხარს. 1989 წლის მარტში შეიქმნა საქართველოს რუსთაველის სახელობის საზოგადოება, რომელშიც მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები გაერთიანდნენ. საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ ცნობილი საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე აირჩიეს. რუსთაველის საზოგადოებას თავიდანვე დაჰყვა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათი. მისი პროგრამა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ევოლუციური განვითარების გზას ითვალისწინებდა, ხოლო საზოგადოების თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე ცდილობდა იდეოლოგიური საფუძველი შეექმნა ეროვნული მოძრაობისათვის. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უფრო სწრაფცვალებადი აღმოჩნდა და საზოგადოებამ ვერ შეძლო თავის გარშემო ზომიერი ლიბერალური ძალების შემოკრება.

მოსახლეობაში უფრო პოპულარობით სარგებლობდა მეორე ზომიერი მიმართულების მქონე ორგანიზაციის – სახალხო ფრონტის საქმიანობა. ამ ორგანიზაციის პირველადი უჯრედების ჩამოყალიბება დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონების წარმოება-დაწესებულებებში. სახალხო ფრონტს ჰქონდა პრეტენზია გაერთიანებინა ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ეს მისია ვერც მან შეასრულა. ამ ორგანიზაციას მალე ჩამოსცილდნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე ჯგუფები, ხოლო თვით სახალხო ფრონტი ჩვეულებრივ, რიგით პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. იყო სხვა ზომიერი ცენტრისტული ჯგუფებიც.

ზომიერი მიმართულების ძლიერი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებლობა ქართული პოლიტიკური სპექტრის სერიოზული ნაკლი იყო. ემოციურად განწყობილი ქართველი საზოგადოებისათვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა რადიკალური ხასიათის ლოზუნგები და მისი მქადაგებელი რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობები. სწორედ ამგვარმა ძალებმა მიიჩნიეს, რომ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული 1990 წლის 25 მარტის არჩევნები ერთპარტიული სისტემის პირობებში ტარდებოდა. სხვა პოლიტიკურ პარტიებს მასში ჩამოყალიბებელი სახით უნდა მიეღოთ მონაწილეობა. 1990 წლის 13-15 მარტს რადიკალური ძალების ინიციატივით თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში, ჩატარდა ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენცია – ეროვნული ფორუმი. მასში ეროვნული მოძრაობის ყველა ძირითადი ძალა მონაწილეობდა. ფორუმმა ბოიკოტი

გამოუცხადა 1990 წლის 25 მარტის არჩევნებს და საერთოდ უკანონოდ ცნო საბჭოთა სისტემა. ეროვნულმა ფორუმმა მაქსიმალურად შეურიგებელი პოზიცია დაიკავა არსებული ხელისუფლების მიმართ. 1990 წლის აპრილში გამოქვეყნდა ფორუმის მიმართვა „ქართველი ერისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი“, სადაც იგი აცხადებდა, რომ ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც თავის მოქმედებას შეუხამებდა „საბჭოურ კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, ვერ ჩაითვლებოდა ოპოზიციად“. არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად ეროვნული დაუმორჩილებლობა იქნა მიჩნეული.

ეროვნული მოძრაობა, რომელსაც ერთი მიზანი – საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა – ჰქონდა, ფორმალურად და ფაქტობრივად 1990 წლის გაზაფხულამდე ერთიანი იყო, მაგრამ მის ორ დაჯგუფებას შორის წინააღმდეგობა უკვე შეუძლებელს ხდიდა შემდგომ ერთიანობას. წინააღმდეგობას ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონიისათვის ბრძოლაც განაპირობებდა, მაგრამ იყო იდეურ-სტრატეგიული უთანხმოებანი, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ეროვნული მოძრაობის რადიკალური ახალგაზრდული ფრთა მაქსიმალურად უპირისპირდებოდა საბჭოთა სისტემასა და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს. მაქსიმალისტების აზრით, ეროვნულ მოძრაობას უნდა მიეღწია საქართველოს კოლონიური მდგომარეობის აღიარებისათვის და დაუმორჩილებლობის გზით ებრძოლა დეკოლონიზაციისათვის, როგორც ეს მოხდა აფრიკა-აზიის რიგ ქვეყნებში.

ეროვნულ მოძრაობაში რადიკალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი გიორგი ჭანტურია მიიჩნევდა, რომ საბჭოური სტრუქტურების გამოყენების პოლიტიკამ ბალტიისპირეთის ქვეყნების ეროვნული მოძრაობანი თითქმის გამოუვალ ჩიხში მოაქცია. მისი აზრით, აუცილებელი იყო ეროვნული მოძრაობის არა საბჭოურ, ძველ სტრუქტურებზე მორგება და პროგრამა-მინიმუმის განხორციელება, არამედ ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებისათვის. ახალი დემოკრატიული სტრუქტურა უნდა ყოფილიყო ეროვნული კონგრესი, რომელიც ბოიკოტს გამოუცხადებდა ყოველგვარ საბჭოთა სტრუქტურასა და მის მიერ ორგანიზებულ არჩევნებს.

უფრო რეალისტურ პოზიციაზე აღმოჩნდნენ უფროსი თაობის რადიკალები (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა). მათი აზრით, დეკოლონიზაციის აფრიკულ-აზიური პრაქტიკა მიუღებელი იყო საქართველოსათვის. საქართველო ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის ფედერაციაში შემავალი სოციალისტური სახელმწიფო იყო. კონსტიტუციურადაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდა. თუნდაც ეს ფორმალური უფლება შესაძლებლობას აძლევდა საქართველოს საბჭოური სტრუქტურების გამოყენებით, სამართლებრივი გზით ებრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ ჰელსინკის კავშირი და მისი მხარდამჭერი ძალები ეროვნული ფორუმიდან გავიდნენ და ჩამოაყალიბეს ახალი პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდის“ სახელწოდებით. მასში შვიდი ორგანიზაცია გაერთიანდა. ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა ძალებმა ეროვნული ყრილობა მოიწვიეს და ეროვნული კონგრესის არჩევა გადაწყვიტეს.

ამრიგად, რადიკალური ძალები ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაითიშა. ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონობისათვის შეურიგებელი ბრძოლა დაიწყო.

ლიბერალური ბანაკი, რომელიც საკმაოდ ჭრელი შემადგენლობისა იყო და არსებითად, საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მესამე მიმართულებას წარმოადგენდა, თავდაპირველად რადიკალების ურთიერთდაპირისპირებაში არ მონაწილეობდა. ესენი საბჭოთა სისტემის ევოლუციური ტრანსფორმაციის მომხრეები იყვნენ. ამ მიმართულების

ყველაზე სერიოზულ ძალას „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების“ პოლიტიკური ორგანიზაცია წარმოადგენდა (თავმჯდომარე ვალერიან ადგაძე). მის ბირთვს ეროვნულად განწყობილი პარტიულ-ბიუროკრატიული ნომენკლატურისა და ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის დადგენილებით გადაწყდა უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარება 1990 წლის ოქტომბერში. საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებების თანახმად, ახალი არჩევნები მრავალპარტიული სისტემის საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო. ეს იყო ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნები გაიმართა. ეს იყო 1919 წლის შემდეგ პირველი თავისუფალი არჩევნები, რომელიც მრავალპარტიული სისტემის პირობებში ჩატარდა. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული მოძრაობის ყველაზე ძლიერმა ფრთამ, საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელმაც საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა (62%) მოიპოვა. საქართველოში, ფაქტობრივად, „ხავერდოვანი რევოლუცია“ განხორციელდა. კომუნისტურმა ერთპარტიულმა დიქტატურამ საქართველოში სამოცდაათწლოვანი არსებობა დაასრულა. ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება აღმოჩნდა.

ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლით იწყება იმ დონისძიებებისა და მოვლენების სერია, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება.

ახალი ხელისუფლების მოსკოვთან დამოკიდებულების კურსი უკომპრომისო იყო – საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირისაგან სრული გამოყოფა. 1991 წლის 31 მარტს ეროვნულმა ხელისუფლებამ რეფერენდუმში ჩაატარა. მოსახლეობას თავისი ნება უნდა გამოეხატა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და ამით დაედასტურებინა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მოსახლეობის საერთო ნებაც. რეფერენდუმმა საყოველთაოდ დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის სურვილი – მისმა 97%-მა მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რაც მთავარია, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარი დაუჭირა ქვეყნის არაქართულმა მოსახლეობამაც.

რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა.

1991 წლის აპრილში საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია, რაც 26 მაისს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა. საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ზვიად გამსახურდიას სახელთან აკავშირებდა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების საუკუნოვან იდეას.

ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის სრულ ტექსტს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს

ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰკუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულლოვან ნებას, აღგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ახადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე, 1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

წყარო:

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, № 70, 10 აპრილი, გვ. 1; ოთხმოცდათერთმეტი. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. თბილისი, 1995.

თავი XXII. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმები (1991 წ. 23 მარტი)

იოსებ სტალინს ერთხელ უთქვამს: საბჭოთა კავშირს საფრთხეს ვერ შეუქმნის მოკავშირე რესპუბლიკების სწრაფვა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისათვის, საბჭოთა კავშირს დაშლის რუსეთის ფედერაციის ბრძოლა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებისათვის. იოსებ სტალინის წინასწარმეტყველება ახდა. 1989-1990 წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების ანალიზი ცხადყოფდა, რომ ზესახელმწიფო დიდხანს ვეღარ იარსებებდა. მიხეილ გორბაჩოვი დაბეჯითებით ცდილობდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელების დათანხმებას. ეს განუხორციელებელი ჩანაფიქრი ისტორიაში ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების პროექტის სახით შევიდა. მიხეილ გორბაჩოვის იდეას მკვეთრად დაუპირისპირდნენ: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო... ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის, კერძოდ, ბორის ელცინისათვის. ბორის ელცინმა სწორად განჭვრიტა: პირველი. საბჭოთა კავშირის ადგილას ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის იდეა განწირული იყო; მეორე. ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების პროექტის რეალიზებისათვის ბრძოლა მოკავშირე რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციასთან დაპირისპირებას გამოიწვევდა.

საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, მიხეილ გორბაჩოვისა და ბორის ელცინის დაპირისპირება შესანიშნავად გამოიყენა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნულ ძალთა გამარჯვებას, ცხადია, უარყოფითად შეხვდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პირადად მიხეილ გორბაჩოვი. შემდგომ ხანებში მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობა სულ უფრო იძაბებოდა. დაძაბულობის გაძლიერებას ხელი შეუწყო შემდეგმა კონკრეტულმა მოვლენებმა: პირველი. ზვიად გამსახურდიამ ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების პროექტი უარყო, რამაც მიხეილ გორბაჩოვი ძალზე გაადიზიანა. მეორე. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაძაბა ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს ტერიტორიაზე 1991 წლის 17 მარტისათვის დანიშნულმა საკავშირო რეფერენდუმის გაუქმებამ. ამ რეფერენდუმს უნდა გაერკვია

საბჭოთა კავშირის არსებობა-არარსებობის საკითხი. საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისათვის საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უკვე გადაწყვეტილი საკითხი იყო. **მესამე**. 1991 წელს ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე (შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი) ქართველთა რბევა-დაწიოკების საპასუხოდ საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის 7 იანვარს გამოსცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რითაც წაახალისა ოსი სეპარატისტები. ამ უკანასკნელთ მხარს უჭერდა ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარების ნაწილები.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში 1991 წლის 23 მარტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაბა **ყაზბეგში**, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია** და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ბორის ელცინი**. ხელმოწერილ იქნა **„შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“**.

ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი რვა მუხლისაგან შედგება. იმხანად საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ მომენტს: **პირველი**. „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმში“ ორჯერ (მესამე და მეოთხე მუხლებში) იხსენიება არა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, არამედ **„ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“**. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბორის ელცინი კანონიერად მიიჩნევდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას და ამავე დროს არ ცნობდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. **მეორე**. „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმის“ მეოთხე მუხლი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე აყენებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხს. თუკი ქართველთა მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, ოსი სეპარატისტები მოკავშირისა და მფარველის გარეშე დარჩებოდნენ.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მხარეები შეთანხმდნენ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადების თაობაზე, რომლის პროექტი 1991 წლის აპრილის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო (მუხლი პირველი).

1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში ხელმოწერილი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა **„შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“** საქართველოს ეროვნული ხელისუფლების, ქართული დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენდა.

ქვემოთ გთავაზობთ 1991 წლის 23 მარტის დაბა ყაზბეგში ხელმოწერილ **„შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმის“** სრულ ტექსტს.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი

1) 1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

* * *

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ:

2) რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით.

3) რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე.

4) სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები.

5) რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პირობები შეექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა.

6) საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოჰყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად.

7) შექმნილი კომისიებისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა.

8) შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს.

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

დაბა ყაზბეგი, 1991 წ. 23 მარტი.

წყარო:

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №58, 26 მარტი; ოთხმოცდათერთმეტი. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. თბილისი, 1995.

თავი XXIII. აფხაზეთის თაობაზე მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი (1992 წ. 3 სექტემბერი)

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში საქართველოში რუსეთის დახმარებით განხორციელებული სამხედრო პუტჩისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ სულ უფრო იძაბებოდა ვითარება აფხაზეთში. აფხაზმა სეპარატისტებმა კარგად ისარგებლეს სამხედრო პუტჩის შემდეგ საქართველოში დაწყებული სამოქალაქო ომით, საქართველოს ახალი ხელისუფლების (სამხედრო საბჭოს, სახელმწიფო საბჭოს) სისუსტითა

და უუნარობით და თავიანთი გეგმების რეალიზებას შეუდგნენ. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და სამხედრო ელიტამ აშკარად დაუჭირეს მხარი აფხაზ სეპარატისტებსა და მათ ლიდერს ვლადისლავ არძინბას. საქართველოს ხელისუფლებამ, პირადად სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძემ, ალლო ვერ აუღო შექმნილ ვითარებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის აღკვეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ძალის შეყვანით ცადა. რეგულარული, ბრძოლისუნარიანი და სათანადოდ შეიარაღებული არმიის არარსებობის პირობებში 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველო ჩათრეული იქნა დამღუპველ ომში – საქართველოს არმია და გვარდია აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდა. საქართველოს ხელისუფლების მიერ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ვითარების დასარეგულირებლად არმიის გამოყენება დიდი შეცდომა იყო. ამ შეცდომით იმხანადაც და შემდეგშიც კარგად ისარგებლეს აფხაზეთმა სეპარატისტებმა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ. მართალია, ქართულმა ჯარმა სოხუმი დაიკავა (ვ. არძინბმა გუდაუთაში გადაბარგდა), მაგრამ ეს ომი, რუსეთის ფაქტორის გამო, უპერსპექტივო იყო. რუსეთმა „შუამავლის“ მისია იკისრა და პროცესის მართვა დაიწყო. სწორედ ამის შედეგი იყო 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი „მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი“. ეს დოკუმენტი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაუაზრებლად დაწყებული ომის ლოგიკური შედეგი იყო. მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტი შემდეგში მრავალგზის იქნა გამოყენებული საქართველოს წინააღმდეგ.

ქვემოთ გთავაზობთ 1992 წლის 3 სექტემბერს ხელმოწერილი „მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის“ ტექსტს.

ИТОГОВЫЙ ДОКУМЕНТ МОСКОВСКОЙ ВСТРЕЧИ

Президент Российской Федерации и Председатель Государственного Совета Республики Грузия, обсудив при участии руководителей Абхазии, северокавказских республик, краев и областей Российской Федерации положение, сложившееся в Абхазии, стремясь к скорейшему прекращению огня, преодолению чрезвычайной кризисной ситуации и созданию условий для полномасштабного политического урегулирования в Абхазии, которая стала зоной вооруженного конфликта, подтверждая приверженность духу и букве Устава ООН, принципам Заключительного Акта СБСЕ, Парижской Хартии для Новой Европы, Хельсинской Декларации 1992 года, считая недопустимыми любые посягательства на общепризнанные принципы территориальной целостности государств и неприкосновенности их границ, уважая права и свободы человека, а также права национальных меньшинств, договорились о следующем:

СТАТЬЯ 1

Обеспечивается территориальная целостность Республики Грузия.

Все участвующие в конфликте вооруженные формирования с 12.00 5 сентября 1992 года прекращают огонь и любое применение силы друг притов друга. При этом участники конфликта обязуются до вступления в силу прекращения огня воздерживаться от каких-либо наступательных действий.

Одновременно создается Комиссия по контролю и инспекции из представителей, назначаемых органами власти Грузии, в том числе абхазии и России. Комиссия обеспечивает соблюдение

прекращения огня, выполнение других положений данного соглашения в соответствии с разработанными его процедурами.

Для выполнения возложенных на нее задачи участники Комиссии придают ей соответствующие подразделения, осуществляющие разоружение, расформирование и удаление из Абхазии, а также недопущение в Абхазию незаконных вооруженных формирований и групп, с тем чтобы обеспечить строгий контроль по всему периметру зоны конфликта.

Комиссия осуществляет наблюдение за тем, чтобы после прекращения огня и передислокации войск вооруженные силы Республики Грузия в зоне конфликта не превышали согласованного уровня, необходимого для достижения целей настоящего соглашения (охраны железной дороги и других определенных объектов).

Рекомендации Комиссии незамедлительно рассматриваются властями всех уровней.

СТАТЬЯ 2

До 10 декабря 1992 года производится обмен задержанных лиц, заложников, пленных и других, по принципу "всех на всех".

СТАТЬЯ 3

Стороны запрещают и не допускают любые террористические акты и захват заложников и принимают эффективные меры по привлечению к ответственности виновных.

СТАТЬЯ 4

Принимаются незамедлительные меры к устранению помех на путях движения товаров, услуг и лиц, занимающихся законной деятельностью. Будет обеспечиваться бесперебойное и безопасное функционирование соответствующих наземных, воздушных и морских путей сообщения, охрана границы.

Особое внимание будет уделяться обеспечению безопасности соответствующих участков Закавказской железной дороги, в том числе путем создания совместного механизма.

Комиссия по контролю и инспекции представить необходимые рекомендации по этому вопросу.

СТАТЬЯ 5

Обеспечиваются условия для возвращения беженцев в места их постоянного жительства. Им оказываются необходимое содействие и помощь.

Принимаются меры по розыску, пропавших без вести, и по эвакуации желающих выехать из Абхазии.

СТАТЬЯ 6

В зоне конфликта принимаются эффективные меры по прекращению и недопущению насилия и грабежей, привлечению к ответственности виновных.

СТАТЬЯ 7

Стороны примут меры по восстановлению пострадавших районов и оказанию гуманитарной помощи, в том числе на международной основе, населению, пострадавшему в ходе конфликта. Определение порядка доставки и распределения такой помощи возьмут на себя организации Красного Креста в координации с Комиссией по контролю инспекции.

СТАТЬЯ 8

Стороны подтверждают необходимость соблюдения международных норм в области прав человека и национальных меньшинств, недопущения дискриминации прав граждан по признаку национальности, языка и религии, обеспечения проведения свободных демократических выборов.

СТАТЬЯ 9

Вооруженные Силы Российской Федерации, временно находящиеся на территории Республики Грузия, в том числе и в Абхазии, соблюдают строгий нейтралитет и не участвуют в внутренних конфликтах.

Все органы государственной власти и управления в Республике Грузия, в том числе в Абхазии, обязуются уважать нейтралитет дислоцированных там Российских Вооруженных Сил и пресекать противоправные действия в отношении военнослужащих, членов их семей и военного имущества.

СТАТЬЯ 10

Стороны будут содействовать возобновлению к 15 сентября 1992 года нормальной деятельности законных органов власти в Абхазии.

СТАТЬЯ 11

Органы власти и управления республик, краев и областей Северного Кавказа в составе Российской Федерации примут эффективные меры по их пресечению и недопущению любых действий с их территории, расходящихся с положениями настоящего соглашения. Они будут содействовать его выполнению и установлению мира в регионе. Они предпримут усилия по разъяснению положений настоящего соглашения среди населения.

СТАТЬЯ 12

Стороны обращаются к ООН и СБСЕ с просьбой поддержать изложенные выше принципы урегулирование конфликта и оказать содействие реализации, включая направление миссий по установлению фактов и наблюдателей.

ЗА РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ **Б. ЕЛЬЦИН**

ЗА РЕСПУБЛИКУ ГРУЗИЯ **Э. ШЕВАРДНАДЗЕ**

Согласились:

Г. С. ХИЖА

В. Г. АРДЗИНБА

Т. И. СИГУА

А. В. КОЗЫРЕВ

К. К. ОЗГАН

Т. К. КИТОВАНИ

П. С. ГРАЧЕВ

Т. В. НАДАРЕЙШВИЛИ

А. Д. ЧИКВАИДЗЕ

А. М. МИРЗАБЕКОВ

М. М. МОГЕМОДОВ

В. М. КОКОВ

Х. М. КАРМОКОВ

В. Н. САВЕЛЬЕВ

В. И. ХУБИЕВА

С. В. ХЕТАГУРОВ

А. Х. ГАЛАЗОВ

А. А. ДЖАМИРОВ

Х. ТЛЕУЖ

В. Н. ДЪЯКОНОВ

Е. С. КУЗНЕЦОВ

В. Н. ЧУБ

შეჯამება:

აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. 1989-1999 წწ. ნაწილი I. 1989-1995 წწ. თბილისი, 2000.

თავი XXIV. შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ (1993 წ. 28 ივლისი)

1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული ომი და 3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი „შემაჯამებელი დოკუმენტი“ მალე ძვირად დაუჯდა საქართველოს. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და რუსეთის სამხედრო ელიტის მხარდაჭერით დაიმედებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა 1992 წლის 2 ოქტომბერს ომი განაახლეს და დაიკავეს **გაგრა**. შემდეგ აფხაზები შევიდნენ **ლესელიძესა** და **განთიადში**. აფხაზების ჯარი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარზე გავიდა. ქართულმა ჯარმა თავდადებით იბრძოლა. ომი ცვალებადი წარტყებით მიმდინარეობდა. რუსეთის ანტიქართულმა პოზიციამ ომის ბედი წინასწარ გადაწყვიტა. ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა შეგუებოდა იმას, რომ მოვლენების განვითარებას ტონს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და რუსული სამხედრო ელიტა აძლევდა. საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილების რუსული სცენარის მიხედვით 1993 წლის 28 ივლისს სოჭში ხელმოწერილი იქნა „შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ“. ეს იყო მეორე დოკუმენტი, რომელმაც ცხადად დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების უუნარობა და დააკანონა აფხაზეთის გასვლა საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციიდან.

ქვემოთ გთავაზობთ 1993 წლის 28 ივლისს სოჭში ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ტექსტს

შეთანხმება

აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები რუსეთის შუამავლობით შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეები 1993 წლის 28 ივლისის 12.00 საათიდან უბრუნდებიან ამა წლის 20 მაისს დადგენილ კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის მკაცრად დაცვის რეჟიმს.

იკრძალება ავიაციის, არტილერიის, სანაოსნო საშუალებების ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენება.

კონფლიქტის ზონაში (აფხაზეთის ტერიტორიაზე) არ შევლენ დამატებითი ჯარები და სხვა შეიარაღებული ფორმირებანი, არ განხორციელდება მობილიზაცია ჯარებისა და სხვა ფორმირებების შეუთანხმებელი გადაადგილებანი, იარაღისა და ტყვია-წამლის შეტანა, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების აგება.

2. 1993 წლის 29 ივლისიდან ფუნქციონირებას იწყებს ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი საკონტროლო ჯგუფები (3-9 კაცის ოდენობით), რომელთა პერსონალურ შემადგენლობას შეთანხმებენ მხარეები.

დროებითი საკონტროლო ჯგუფები მეთვალყურეობას გაუწევენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვას. ისინი განლაგდებიან სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ტყვარჩელში, გაგრაში, გაღში. თუ საჭირო იქნება, ასეთი ჯგუფები, მხარეთა

შეთანხმებით, განლაგდებიან სხვა პუნქტებშიც. საკონტროლო ჯგუფებს უფლება აქვთ შევიდნენ მათთვის საინტერესო კონფლიქტის ნებისმიერ წერტილში მას შემდეგ, რაც შესაბამისად ამას აცნობებენ მხარეებს. კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ საკონტროლო ჯგუფების უსაფრთხოებას, უქმნიან ცხოვრების სათანადო პირობებს, აძლევენ მიმოსვლის საშუალებებს.

საკონტროლო ჯგუფებს შეუძლიათ განიხილონ მოსახლეობის მიმართულები სხვადასხვა საკითხებზე.

საერთაშორისო მეთვალყურეთა ჩამოსვლის შემდეგ დროებითი საკონტროლო პუნქტები მათთან მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ.

3. კონტროლის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია კისრულობს განახორციელოს საკონტროლო ჯგუფების მიერ დაფიქსირებული მისი ფორმირების მიერ დაშვებული ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის ნებისმიერი დარღვევის დაუყოვნებელი, ეფექტიანი ღონისძიებანი, ოპერატიული რეაგირება მოახდინოს საკონტროლო ჯგუფების რეკომენდაციებსა და წინადადებებზე.

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევები უნდა ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს.

4. 1993 წლის 5 აგვისტომდე იქმნება აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისია. მის დებულებას ამტკიცებენ მხარეები. კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლები და მეთვალყურე მათი შეთანხმებით.

5. მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ კონფლიქტის ზონაში მიიწვიონ და გამოიყენონ საერთაშორისო მეთვალყურე და სამშვიდობო ძალები. ამასთან მხედველობაშია, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების რიცხვი და შემადგენლობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და უშიშროების საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ, თუ მხარეთა თანხმობა იქნება.

6. იწყება კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია.

კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებლივ შედიან საერთაშორისო მეთვალყურე და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 10-15 დღის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან გავლენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებები.

ამავე ვადებში უნდა დაიშალოს და აფხაზეთიდან გამოვიდნენ კონფლიქტის ზონაში მყოფი შეიარაღებული ფორმირებები, ჯგუფები და პირები.

მაგისტრალური გზების, მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, კონფლიქტის ზონაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან იქმნება საქართველოს მხარის შინაგანი ჯარების ნაწილი, რომელიც ყაზარმაში დაბინავდება. შემდეგ ეს ქვედანაყოფი შინაგანი ჯარების აღნიშნულ პოლკთან ერთად შევა აფხაზეთის მრავალეროვანი შინაგანი ჯარის შემადგენლობაში.

აფხაზეთის მხარის შეიარაღებული ფორმირებები შევლენ შინაგანი ჯარების პოლკში, რომელიც გადადის ყაზარმულ მდგომარეობაზე და შეასრულებს ვითარების სრული მასშტაბით მოწესრიგებამდე შინაგანი ჯარებისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს (მაგისტრალური გზების მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა).

ყველა აღნიშნული მოქმედება ხორციელდება გაერთიანებული კომისიის მეთვალყურეობით.

მდინარეებზე გუმისთაზე, ფსოუსა და ენგურზე დგებიან საერთაშორისო მეთვალყურე.

ცეცხლის შეწყვეტისთანავე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად კონფლიქტის ზონაში იქმნება მრავალეროვანი მილიცია, რომლის შემადგენლობამ და რიცხვს განსაზღვრავენ მხარეები.

ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა და მართლწესრიგის დასაცავად გამოყენებული იქნება საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან კონსულტაციით, კონფლიქტის ზონაში დროებით განლაგებული რუსეთის საჯარისო კონტიგენტი.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებათა დაცვას.

განხორციელება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების, მათთვის დახმარების გაწევის ღონისძიებანი. ლტოლვილეთა პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტისათვის გაერთიანებული კომისია ქმნის სპეციალურ ჯგუფს.

7. აფხაზეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფი რუსეთის ჯარები იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს.

რუსეთის ფედერაციის საჯარისო ფორმირებებისა და სასახლერო ჯარების დროებითი ყოფნის სტატუსს, ფუნქციონირების პირობებს, გაყვანის ვადებსა და წესს განსაზღვრავენ ცალკეული სახელშეკრულებო დოკუმენტები.

მხარეები უზრუნველყოფენ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა უსაფრთხოებას.

8. მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, მხარეები შექმნიან აფხაზეთში ხელისუფლების კანონიერი ორგანოების ნორმალური საქმიანობის განახლების პირობებს.

9. კონფლიქტის მონაწილე მხარეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით დაუყოვნებლივ განაგრძობენ მოლაპარაკებას აფხაზეთში კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების შესახებ შეთანხმების მოსამზადებლად.

შეთანხმებაში აისახება მშვიდობის დაცვის, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყენების, ეკონომიკური ცხოვრების მოგვარების, მართლწესრიგის დაცვის, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და სახელმწიფოებრივი წყობის უზრუნველყოფის გარანტიათა პრინციპული საკითხები.

10. ამ შეთანხმების მონაწილენი ვალდებულიან კისრულობენ, არ გამოიყენონ მისი დებულებები, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმში, მოქმედებისათვის, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს თითოეული მათგანის ინტერესებს.

საქართველოს სახელით **ვ. გოგუაძე**
აფხაზეთის სახელით **ს. ჯინჯოლია**
რუსეთის ფედერაციის სახელით
ა. კოზირევი

წყარო:

აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. 1989-1999 წწ. ნაწილი I. 1989-1995 წწ. თბილისი, 2000.

თავი XXV. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ (1994 წ. 3 თებერვალი)

საბჭოთა კავშირის დაშლის, საქართველოსა და რუსეთის დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების (1990-1991 წწ.) შემდეგ აუცილებელი იყო საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელშეკრულების დადება. ამგვარი დოკუმენტის გაფორმება გარკვეული მიზეზების გამო ფერხდებოდა.

1994 წლის 3 თებერვალს, თბილისში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინის ვიზიტის დროს, ხელმოწერილი იქნა „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ“. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ედუარდ შევარდნაძემ, რუსეთის მხრიდან – ბორის ელცინმა.

საქართველო-რუსეთის 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და ოცდათხუთმეტი მუხლისაგან.

პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „მეგობრული, კეთილმეზობლური, ურთიერთხელსაყრელი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს“.

პირველ მუხლში დადასტურებულია, რომ საქართველო და რუსეთი არიან „მეგობრული სახელმწიფოები“ და ერთმანეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობენ შემდეგი პრინციპებით:

1. სახელმწიფო სუვერენიტეტი,
2. ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვეობა,
3. ხალხთა თანასწორუფლებიანობა,
4. საკუთარი ბედის განგების უფლება,
5. საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობა,
6. ძალის, მუქარის, ეკონომიკური და ზემოქმედების სხვა ხერხების გამოყენებლობა,
7. დავის მშვიდობიანი მოგვარება,
8. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა,
9. თანამშრომლობა,
10. საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება,
11. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.

მეორე მუხლი ხელმომწერ მხარეებს ვალდებულებას აკისრებდა, ერთობლივი მოქმედებით განემტკიცებინათ მშვიდობა გლობალური და რეგიონალური მასშტაბით.

მესამე მუხლი მხარეთა „ხელშეუვალ უფლებად“ აღიარებდა საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას საკუთარი საზღვრების დაცვის მიზნით.

მეოთხე მუხლის ძალით საქართველოსა და რუსეთს მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ რაიმე კავშირებსა და ბლოკებში, თუ ეს კავშირები და ბლოკები მიმართული იქნება რომელიმე მხარის წინააღმდეგ.

მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო: თუ ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარე ჩათვლიდა, რომ საფრთხე ექმნებოდა მშვიდობას ან მისი უშიშროების ინტერესებს, ან რომელიმე მხარის წინააღმდეგ განხორციელდებოდა აგრესიული აქტი, მაშინ ხელშემკვერელი მხარეები აამოქმედებენ ერთობლივი კონსულტაციების მექანიზმს იმ მიზნით, რათა შეათანხმონ თავიანთი პოზიციები და განახორციელონ ღონისძიებანი შექმნილი საფრთხის აღსაკვეთად.

მეშვიდე მუხლის ძალით ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების გარანტია მიეცათ თავიანთი მოქალაქეებისათვის მათი ეროვნების, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიუხედავად. იგივე მუხლი ხელისშემკვრელ მხარეებს ავალდებულებდა მისი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირისათვის მიეცა სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და ძირითადი თავისუფლებების გარანტიები.

მეცხრე მუხლი ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებდა დაეცვათ იმ პირთა უფლებები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნოდნენ.

მეათე მუხლის ძალით ხელშეკრულების დამდებ მხარეებს თავიანთი ქვეყნების ტერიტორიებზე არ უნდა დაეშვათ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური შეუწყნარებლობა, შეუღლი და ძალადობის წაქეზება.

მეთერთმეტე მუხლით მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, შეემუშავებინათ კომპლექსური ღონისძიებანი მიგრაციული პროცესების დარეგულირების მიზნით, ხოლო სავიზო რეჟიმის შესახებ ცალკე შეთანხმება უნდა დადებულიყო.

მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე მუხლები ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს ეხებოდა.

მეთექვსმეტე მუხლი ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ქონების (სახელმწიფოს, იურიდიული პირის, კერძო პირის) დაცვასა და შენახვას ეხება.

მეთვრამეტე მუხლი განსაზღვრავს ხელშემკვრელი მხარეების თანამშრომლობის პრინციპებს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სფეროში. მხარეები პასუხისმგებლობას იღებენ ნავთობისა და გაზის სადენების „უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის“.

ოცდამესამე და ოცდამეოთხე მუხლები ეხება ხელშემკვრელი მხარეების თანამშრომლობას განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

ოცდამეხუთე მუხლი განსაზღვრავს მხარეების კულტურული თანამშრომლობის პრინციპებს.

ოცდამეგრე მუხლი ითვალისწინებდა ხელშემკვრელი მხარეების თანამშრომლობას ორგანიზებული დამნაშავეობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოცდამეცამეტე მუხლის ძალით საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება ექვემდებარებოდა რატიფიკაციას და ძალაში შედიოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ.

საქართველო-რუსეთის 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულება დაიდო ათი წლის ვადით. თუ მხარეები თანახმა იქნებოდნენ, იგი ავტომატურად გაგრძელდებოდა მომდევნო ხუთი წლით.

საქართველოს პარლამენტმა მოახდინა საქართველო-რუსეთის 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულების რატიფიკაცია, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ ხელშეკრულების რატიფიკაცია პოლიტიკური ვაჭრობის საგნად აქცია და ქართულ მხარეს რატიფიკაციის სანაცვლოდ პირობები წაუყენა. საბოლოოდ, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოახდინა და, ამდენად, იგი ძალაში არ შესულა.

ქვემოთ გთავაზობთ ხელშეკრულების სრულ ტექსტს.

**ხელშეკრულება
საქართველოს რესპუბლიკასა და**

**რუსეთის ფედერაციას შორის
მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია
ყრდნობიან ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირებს, თავიანთი ხალხების
ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს,
მიაჩნიათ, რომ მეგობრული, კეთილმეზობლური, ურთიერთხელსაყრელი და
თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება შეესაბამება ორივე
სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს,
ცნობენ საერთაშორისო სარბიელზე, ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობის,
უშიშროებისა და სტაბილურობის ინტერესებისათვის შეთანხმებული მოქმედების
მიზანშეწონილობას,
აღსავსენი მტკიცე განაწევრებით, ააშენონ კუთვნილ ტერიტორიებზე დემოკრატიული,
სამართლებრივი სახელმწიფოები,
ისწრაფვიან ყოველმხრივ განავითარონ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა და მიანიჭონ
მას ახალი თვისებრიობა,
ხელმძღვანელობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებითა და წესდების
პრინციპებით,
შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ურთიერთობას აგებენ, როგორც მეგობრული
სახელმწიფოები. ისინი ვალდებულებას კისრულობენ თანმიმდევრულად იხელმძღვანელონ
ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების
ურღვევობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განგების უფლების
პატივისცემის, საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურველობის, ძალისა თუ ძალით დამუქრების,
ურთიერთშორის ეკონომიკური თუ ზემოქმედების სხვა ხერხების გამოუყენებლობის, დავის
მშვიდობიანი მოგვარების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების
პატივისცემის, თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვალდებულებათა კეთილსინდისიერი
შესრულების პრინციპებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ
აღიარებული ნორმებით.

მუხლი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანამოქმედებენ იმ მიზნით, რომ განამტკიცონ
მშვიდობა, სტაბილურობა და უშიშროება, როგორც გლობალური, ისე რეგიონალური
მასშტაბით.

ისინი ხელს უწყობენ განიარაღების პროცესის გაგრძელებას, კოლექტიური უშიშროების
სისტემებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, გაერთიანებული ერების
ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საშვიდობო
როლის გაძლიერებას, უშიშროებისა და თანამშრომლობის რეგიონალური მექანიზმების
ეფექტურობის გაზრდას. მხარეები ხელს უწყობენ რეგიონალური კონფლიქტების და
კრიზისული სიტუაციების მოგვარებას, ერთმანეთს უთანხმებენ პოზიციებს იმ მიზნით, რომ
საჭირო შემთხვევებში კოორდინებული თუ ერთობლივი მოქმედებანი განახორციელონ.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად მართავენ კონსულტაციებს ორივე
მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, რომელთაც ეს მუხლი ეხება.

მუხლი 3

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ცნობენ ერთმანეთის ხელშეუვალ უფლებას განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი თავიანთი სახელმწიფო საზღვრების დასაცავად, ხელმძღვანელობენ რა ამ დროს კეთილმეზობლობისა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების პრინციპებით. ურთიერთდინტერესების შემთხვევაში მხარეები ცალკე შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ სახელმწიფო საზღვრების შეთანხმებული მონაკვეთების დაცვის წესსა და პირობებს.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დამოუკიდებლად წყვეტენ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და თავდაცვითი მშენებლობის საკითხებს, ამ მიზნით ახორციელებენ მჭიდრო თანამშრომლობასა და პრაქტიკულ თანამოქმედებას. ამ სფეროში თანამოქმედების ფორმები და წესები ცალკე შეთანხმებებით რეგულირდება. მხარეები მიიღებენ ზომებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა დროებითი ყოფნის შესახებ შეთანხმების ეფექტური განხორციელებისათვის, აგრეთვე დადებენ შეთანხმებებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნაში, აღჭურვაში, იარაღის, სამხედრო ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნაში ხელშეწყობის შესახებ, რუსეთის ფედერაციასთან შეუთანხმებლად მათი მესამე ქვეყნებზე გადაცემის უფლებების გარეშე.

მხარეები ცალკე შეთანხმებით განსაზღვრავენ საჰაერო და კოსმოსური სივრცის კონტროლის საშუალებების, აგრეთვე კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესს.

მუხლი 4

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მონაწილეობას არ მიიღებენ რაიმე კავშირებსა თუ ბლოკებში, რომლებიც მიმართული იქნება რომელიმე მათგანის წინააღმდეგ.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე თავს შეიკავებს მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე ქმედებასა თუ ღონისძიებაში მონაწილეობისა და მხარდაჭერისაგან, არ დაუშვებს, რომ მისი ტერიტორია მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ აგრესიის ან სხვა ძალადობრივი მოქმედების მოსამზადებლად თუ განსახორციელებლად გამოიყენონ. მხარეები ყოველ ღონეს ხმარობენ იმ მიზნით, რათა აღკვეთონ თავიანთი ტერიტორიის გამოყენების მცდელობანი ყოველგვარი სადივერსიო ჯგუფებისა და დაქირავებულ ფორმირებათა შესაქმნელად და ახორციელებენ ღონისძიებებს მეორე მხარის ტერიტორიაზე ისეთი ჯგუფებისა და ფორმირებათა შეგზავნის წინააღმდეგ, რომლებიც მიზნად ისახავენ მისი კონსტიტუციური წყობილების დამხობასა თუ შეცვლას, ან მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები არ ეხმარებიან მესამე სახელმწიფოებს, თუ შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა ამ სახელმწიფოებსა და მეორე მხარეს შორის.

მუხლი 5

თუ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომელიც ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის აზრით, საფრთხეს უქმნის მშვიდობას და ლახავს მისი უშიშროების ინტერესებს, აგრეთვე რომელიმე მხარის წინააღმდეგ აგრესიის აქტის შემთხვევაში, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აამოქმედებენ ერთობლივი კონსულტაციების მექანიზმს იმ მიზნით, რათა შეათანხმონ თავიანთი პოზიციები და განახორციელონ ღონისძიებანი შექმნილი საფრთხის აღსაკვეთად.

მუხლი 6

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ცალკე შეთანხმებათა დადების მეშვეობით შექმნიან ერთობლივ კომისიებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2-5 მუხლების დებულებათა განსახორციელებლად.

მუხლი 7

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას აძლევენ თავიანთ მოქალაქეებს მათი ეროვნების, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიუხედავად.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში და საკუთარი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს აძლევს სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გარანტიებს.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ თითოეული მათგანის უფლებას სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპების ურთიერთპატივისცემის საფუძველზე და ამ ხელშეკრულების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად დაიცვას მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების უფლებები. ამ მიზნით მხარეები დადებენ შეთანხმებებს, რომლებიც საჭიროა საკუთარი მოქალაქეების უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 8

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, მათი თავისუფალი ნების შესაბამისად, აძლევენ საცხოვრებელი სახელმწიფოს მოქალაქეობის ან მეორე მხარის მოქალაქეობის არჩევის უფლების გარანტიას. თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობის მიღების პროცედურას ამ მხარის კანონმდებლობა არეგულირებს.

მუხლი 9

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების, როგორც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა ნაწილის პატივისცემა, ისევე როგორც მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების შესრულება მოცემული მხარის სხვა დანარჩენ მოქალაქეებთან თანასწორად, საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციაში მშვიდობის, სამართლიანობის, სტაბილურობისა და დემოკრატიის არსებითი ფაქტორია.

მხარეები საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც ნაკისრი აქვთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს აძლევენ იმ უფლების გარანტიას, რომ სრულად და ეფექტიანად განახორციელონ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და ამით ისარგებლონ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში, თავისუფლად გამოხატონ, შეინარჩუნონ

და განავითარონ თავიანთი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი თუ რელიგიური თვითმყოფადობა. ისინი ქმნიან პირობებს ამ თვითმყოფადობის ხელშეწყობისათვის.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთათვის უზრუნველყოფენ უფლებას ეფექტიანად და მათი მოთხოვნების ადეკვატურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში.

მუხლი 10

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია კისრულობნ თავის ტერიტორიაზე განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღების ჩათვლით, რათა თავიდან აიცილონ და აღკვეთონ ყოველგვარი ქმედება, რომელიც ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური შეუწყნარებლობის, შუღლისა თუ სიძულვილის ნიადაგზე ძალადობის წაქეზებას, პირებისა თუ ჯგუფების წინააღმდეგ მუქარისა და ძალადობის აქტებს წარმოადგენს, აგრეთვე გაატარონ ღონისძიებები მათი საკუთრების დაცვის მიზნით.

მუხლი 11

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები შეიმუშავენ მიგრაციული პროცესების რეგულირების ღონისძიებათა კომპლექსს. სავიზო რეჟიმის საკითხებზე ისინი ცალკე შეთანხმებას დადებენ.

მუხლი 12

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ავითარებენ თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ეკონომიკაში, ხელს უწყობენ რა შავი ზღვისა და საერთო ევროპული ბაზრების, საერთო ეკონომიკური სივრცის ფორმირებას.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანახმანი არიან განახორციელონ სავაჭრო და სხვა ეკონომიკური ურთიერთობანი ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე და თავს იკავებენ ურთიერთსაზიანო ქმედებისაგან. ამ მიზნით ისინი დადებენ შესაბამის შეთანხმებებს.

მხარეები თანამშრომლობენ და სისტემატურად უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას ეკონომიკური რეფორმების დარგში, სტრუქტურული, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, ფასების, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის ჩათვლით.

მხარეები თანამოქმედებენ სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკურ, საფინანსო და სხვა ორგანიზაციებში, ხელს უწყობენ ერთმანეთს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლასა და შეთანხმებებსა და კონვენციებთან მიერთების საკითხებში, რომლის მონაწილეც არ არის ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე.

მუხლი 13

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების განვითარებას სახელმწიფო ხელისუფლების და მართვის ორგანოების, ტერიტორიული (მუნიციპალური) თვითმმართველობის ორგანოების, ბანკებისა და საფინანსო სისტემის, საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ერთობლივი საწარმოებებისა და ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების ღონეზე.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას და ცალკე შეთანხმებებს დებენ სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და თანამშრომლობის

სხვა ფორმების, აგრეთვე ფულად-საკრედიტო და ფასების პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებზე.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დროულად აცნობენ ერთმანეთს ეკონომიკური გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც შეიძლება მეორე მხარის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ეხებოდეს.

მუხლი 14

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელსაყრელ ეკონომიკურ, ფინანსურ და სამართლებრივ პირობებს ქმნიან მეორე მხარის საწარმოების, ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების სამეწარმეო და სხვა სამეურნეო საქმიანობისათვის, მათი ინვესტიციების სტიმულირებისა და ურთიერთდაცვის უზრუნველყოფის ჩათვლით. მხარეები წაახლისებენ ორივე სახელმწიფოს მოქალაქეებს, საწარმოების, ფირმებისა და სხვა სამეურნეო სუბიექტების კოოპერაციისა და უშუალო კავშირურთიერთობის სხვადასხვა ფორმებს.

ისინი ეცდებიან ცალკე შეთანხმება დადონ ორმაგო დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 15

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე თანამოქმედებენ მრეწველობის საბაზო დარგებისა და აგრო-სამრეწველო კომპლექსის დარგების ოპტიმალური განვითარებისათვის ძალისხმევის გაერთიანების საქმეში.

მხარეები თანახმანი არიან, თითოეული მათგანის კანონმდებლობის გათვალისწინებით და ურთიერთხელსაყრელი პირობებით, ხელი შეუწყონ ჩამოყალიბებული კოოპერირებული დარგობრივი და დარგთაშორისი კავშირების ფარგლებში საწარმოთა სპეციალიზაციისა და აგრეთვე, მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის მიწოდების საქმეში საწარმოთა შორის საწარმო-ტექნოლოგიური კოოპერაციის შენარჩუნებას.

მხარეები ამ საკითხზე კონკრეტულ ვალდებულებებს იკისრებენ ცალკე შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 16

ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო ქონების, იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განლაგებული, რეგულირდება ქონების ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის იმ საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფო ქონების იმუნიტეტის საკითხებს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე აცხადებს, რომ მას ეკუთვნის მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განლაგებული ქონება, რომელზეც პრეტენზია აქვთ მესამე პირებს ან სახელმწიფოებს, მაშინ მეორე მხარე მოვალეა ყველაფერი იღონოს ამ ქონების დასაცავად და შესანახად, სანამ საბოლოოდ არ გადაწყდება მისი კუთვნილების საკითხი, და უფლება არა აქვს ვინმეს გადასცეს იგი პირველი მხარის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე.

ყველა სხვა საკუთრებითი ურთიერთობების საკითხი, რომელიც მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ინტერესებს ეხება, ცალკე შეთანხმებებით რეგულირდება.

მუხლი 17

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, რომლებიც შავი ზღვისპირა სახელმწიფოებს წარმოადგენენ, განზრახული აქვთ მჭიდროდ ითანამშრომლონ სტამბოლის 1992 წლის 25 ივნისის დეკლარაციის ფარგლებში. ისინი მზად არიან კვლავაც განავითარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა შავი ზღვის ბუნებრივი გარემოს გადარჩენისა და შენარჩუნების, საზღვაო და კლიმატოლოგიური გამოკვლევების ჩატარების, შავი ზღვის რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ნაოსნობის განვითარებისა და საზღვაო კომუნიკაციების, ნავსადგურებისა და ნაგებობების ექსპლუატაციის საქმეში.

მუხლი 18

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანასწორუფლებიან საფუძველზე თანამშრომლობენ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და გამოყენების სისტემების განვითარების საქმეში, პასუხს აგებენ მათი შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის თითოეული თავის ტერიტორიაზე, ისწრაფვიან შეათანხმონ ნავთობისა და გაზის მრეწველობის ობიექტების აგებისა და ექსპლუატაციის ნორმები და წესები.

მუხლი 19

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თანამშრომლობის განვითარებას კოსმოსური სივრცის ათვისების სფეროში, სათანამგზავრო კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ინფორმატიკისა და კავშირგაბმულობის სისტემების მართვის ჩათვლით, ხელს უწყობენ რა ამ დარგებში ჩამოყალიბებული კომპლექსებისა და ერთიანი სისტემების შენარჩუნებას, რაციონალურ გამოყენებასა და განვითარებას. მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ აღნიშნულ დარგებში თანამშრომლობისა და ურთიერთობათა პირობების პრინციპების შესახებ.

მუხლი 20

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლის დებულებათა შესაბამისად, უზრუნველყოფენ მგზავრებისა და ტვირთის დაუბრკოლებელ ტრანზიტს თავისი ქვეყნების საზღვაო, სამდინარო და საჰაერო პორტების, სარკინიგზო და საავტომობილო ქსელის მეშვეობით, აგრეთვე ტრანზიტს მათ ტერიტორიაზე განლაგებული მილსადენების გავლით.

მუხლი 21

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას სეისმოლოგიის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში. მხარეები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად მოქმედებენ, რომელთა წევრებიც ისინი არიან, ერთმანეთს ეხმარებიან სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციაში, გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილებასა და რაციონალური და რესურსდამზოგი ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფაში, ხელს უწყობენ სპეციალური ბუნებადაცვითი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, განსაკუთრებით ეკოლოგიურად დაძაბულ რაიონებში, ცდილობენ შექმნან ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და თანამოქმედების ყოველსმომცველი საერთაშორისო სისტემა.

მუხლი 22

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დაინტერესებული არიან, აქტიურად ითანამშრომლონ ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის დარგში, აგრეთვე ერთობლივ საერთაშორისო აქციებში, რომლებიც დაკავშირებულია ჰუმანიტარული დახმარების საკითხებთან. ისინი ცალკე შეთანხმებებს დადებენ ამ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 23

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ავითარებენ თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ხელს უწყობენ სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების უშუალო კავშირურთიერთობას, ერთობლივი პროგრამებისა და დამუშავებების განხორციელებას, განსაკუთრებით პრიორიტეტული მიმართულებებისა და მოწინავე ტექნოლოგიების დარგში.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანამოქმედებენ და ხელსაყრელ პირობებს ქმნიან კადრების მომზადების, მეცნიერთა, სპეციალისტთა, ასპირანტთა და სტუდენტთა გაცვლის საქმეში, ურთიერთცნობენ განათლების დიპლომებს, სამეცნიერო წოდებებსა და ხარისხებს. მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ მეცნიერებისა და განათლების საკითხებზე.

მუხლი 24

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რათა უზრუნველყონ ფართო და ეფექტიანი თანამშრომლობა ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევის საქმეში, თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიღწევათა გამოყენების დარგში. მხარეები ხელს უწყობენ თავიანთი აკადემიებისა და სამეცნიერო ცენტრების გრძელვადიანი მჭიდრო კონტაქტების გაღრმავებას, ხელს უწყობენ საერთო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას, გაცვლიან მეცნიერებს, მკვლევარებს, სტაჟიორებსა და პრაქტიკანტებს. ისინი ხელს უწყობენ ერთობლივი სამეცნიერო და სამეცნიერო-საწარმოო კოლექტივების შექმნასა და საქმიანობას.

მუხლი 25

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ თანამშრომლობასა და კონტაქტებს კულტურის, ხელოვნების, ტურიზმისა და სპორტის დარგში, ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას, უტყუარი ინფორმაციის მისაწვდომობას. ისინი ცალკე შეთანხმებებს დადებენ ამ საკითხებზე.

მხარეები ხელს უწყობენ საქართველოს რესპუბლიკაში რუსული ენის და რუსეთის ფედერაციაში ქართული ენის შესწავლას, მათ შორის მხარეთა სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებებში, ხელს უწყობენ ლიტერატურული ნაწარმოებების გავრცელებას შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის ენებზე.

ერთობლივი პროექტების რეალიზაციისა და კულტურული, სამეცნიერო და სხვა ფონდებისა და ასოციაციების მოღვაწეობის ხელშეწყობის მიზნით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ახორციელებენ ამ დარგებში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციულ-დაწესებულებების, კერძო ორგანიზაციებისა და პირების თანამშრომლობას. მხარეები დადებენ შეთანხმებას ერთმანეთის ტერიტორიებზე ორი ქვეყნის კულტურული ცენტრების გახსნის შესახებ.

მუხლი 26

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ავითარებენ თანამშრომლობას სოციალურ სფეროში, შრომითი ურთიერთობის სფეროში და ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ამასთან საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე მეორე მხარის მოქალაქეთა დისკრიმინაციას. ისინი თანახმანი არიან უმოკლეს ვადაში მოაგვარონ ერთი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები მეორე მხარის მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფის საკითხები.

მხარეები ამ და სხვა სოციალურ საკითხებზე ცალკე შეთანხმებებს დადებენ.

მუხლი 27

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას თითოეულ ამ ქვეყანაში სამართლებრივი აქტების შემუშავების, მიღებისა და გამოყენების შესახებ და საერთო ძალისხმევით მონაწილეობენ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში.

მუხლი 28

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, საერთაშორისო ნორმებისა და თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად, აქტიურად თანამშრომლობენ ორგანიზებული დამნაშავეობისა და ტერიტორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთაშორისო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ჩათვლით, აგრეთვე იმ უკანონო აქტებთან ბრძოლის ღონისძიებებში, რომლებიც ხელყოფენ სამოქალაქო ავიაციის, საზღვაო ნაოსნობისა და სხვა სახეობის ტრანსპორტის უსფრთხოებას, მძევლების აყვანის, კონტრაბანდის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გადაზიდვის, კულტურულ ღირებულებათა უკანონო გატანის წინააღმდეგ.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ ორივე მხარისათვის საინტერესო ამ და სხვა ანალოგიურ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 29

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ორივე სახელმწიფოს პარლამენტებისა და პარლამენტარების კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარებას.

მუხლი 30

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს შორის დადებენ სხვა ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც საჭირო იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა განსახორციელებლად.

მუხლი 31

წინამდებარე ხელშეკრულება არ ეხება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომელთა მონაწილენიც ისინი არიან.

მუხლი 32

წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიზნით მაღალი ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად, წელიწადში ერთხელ მაინც ან ერთი მხარის წინადადებით, აწყობენ კონსულტაციებს და საჭიროების შემთხვევაში ქმნიან შესაბამის კომისიებს.

კონსულტაციებისას წყდება შესაძლო საკმაოდ საკითხები წინამდებარე ხელშეკრულების განმარტების თაობაზე.

მუხლი 33

წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

მუხლი 34

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნება ამ ორგანიზაციის სამდივნოში.

მუხლი 35

წინამდებარე ხელშეკრულება იდება 10 წლის ვადით.

ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გრძელდება მომდევნო ხუთწლიანი პერიოდებით, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან მორიგი ხუთწლიანი პერიოდის გასვლამდე არა უგვიანეს ექვსი თვისა მაღალი ხელშემკვერელი მხარეებიდან რომელიმე არ განაცხადებს წერილობითი ფორმით, რომ სურს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

შესრულებულია თბილისში 1994 წლის 3 თებერვალს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და რუსულ ენებზე, ამასთან, ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით

ე. შვეარდნაძე

რუსეთის ფედერაციის სახელით

ბ. ელცინი

თავი XXVII. მოსკოვის ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ (1994 წ. 4 აპრილი) და განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ღონისძიებათა შესახებ (1994 წ. 4 აპრილი)

აფხაზი სეპარატისტები დროს არ კარგავდნენ. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და რუსული სამხედრო ელიტის მხარდაჭერით 1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზებმა დაარდვიეს 1993 წლის 28 ივლისის შეთანხმება და ომი განაახლეს. აფხაზების მხარეზე იბრძოდნენ რუსი სამხედროები და ჩრდილო კავკასიელი მოხალისეები. დიდი ბრძოლების შემდეგ 27 სექტემბერს სეპარატისტებმა დაიკავეს **სოხუმი**, 29 სექტემბერს – **გალი** და 30 სექტემბერს მდინარე **ენგურის** ნაპირებს მოადგნენ.

ედუარდ შვეარდნაძის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. აფხაზეთში განცდილ მარცხს ემატებოდა ის, რომ საქართველოში დევნილი კანონიერი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** დაბრუნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ კონტროლი დაკარგა დასავლეთ საქართველოზე. ზვიად გამსახურდიას უამრავი მომხრე ჰყავდა მთელ საქართველოში. ედუარდ შვეარდნაძე ყველაფერს აკეთებდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად. 1993 წლის ოქტომბერში იგი მოსკოვში ჩავიდა და ბორის ელცინთან შეხვედრისას პრაქტიკულად თანხმობა განაცხადა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლაზე. ედუარდ შვეარდნაძეს პრორუსული ორიენტაციის აღიარება დაუფასდა – რუსეთის ჯარებმა დასავლეთ საქართველოში განლაგებული ზვიად

გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ფორმირებები დაამარცხეს. ედუარდ შევარდნაძემ დანაპირები შეასრულა – 1993 წლის დეკემბერში საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი გახდა. რუსეთი აქტიურად თამაშობდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში „შუამავლის“ როლს. ედუარდ შევარდნაძე კარგად ხედავდა, რომ შამათი გარდაუვალი იყო, მაგრამ ცდილობდა, არაფერი შეემჩნია. სწორედ წაგებული თამაშის შედეგი იყო საქართველოსათვის კიდევ ორი დამღუპველი დოკუმენტი: 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილი „**ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ**“ და 4 აპრილსავე მოსკოვში მიღებული „**განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ღონისძიებათა შესახებ**“.

ქვემოთ გთავაზობთ ორივე დოკუმენტის ტექსტს.

ЧЕТЫРЕХСТОРОННЕЕ СОГЛАШЕНИЕ О ДОБРОВОЛЬНОМ ВОЗВРАЩЕНИИ БЕЖЕНЦЕВ И ПЕРЕМЕНЧЕННЫХ ЛИЦ

Абхазская и грузинская стороны, далее именуемые "Сторонами", и Российская Федерация и Верховный комиссар Организации объединенных Наций до делам беженцев.

ссылаясь на резолюции Совета Безопасности 849 от 9 июля 1993 года, 854 от 6 августа 1993 года, 858 от 24 августа 1993 года, 876 от 19 октября 1993 года, 881 от 4 ноября 1993 года, 892 от 22 декабря 1993 года, 896 от 31 января 1994 года, 901 от 4 марта 1994 года и 906 от 25 марта 1994 года,

признавая, что право всех граждан на проживание в стране своего происхождения и возвращение в нее воплощено в Всеобщей декларации прав человека в Международном пакте о гражданских и политических правах,

Принимая во внимание заключения 18 (XXXI) и 40 (XXXVI) Исполнительного комитета программы Верховного комиссара, которые представляют собой международно согласованные принципы, регулирующие репатриацию беженцев,

Действия в соответствии с Меморандумом о понимании, подписанным Сторонами 1 декабря 1993 года, и особенно пунктом 4, в котором Стороны выразили свою готовность создать условия для добровольного, безопасного и достойного возвращения перемещенных лиц на места их постоянного проживания во всех районах Абхазии,

напоминая о том, что согласно резолюции 428 (V) Генеральной Ассамблеи Организации Объединенных Наций от 14 декабря 1950 года, в котором был утвержден устав УВКБ, на Верховного комиссара возлагаются функции по обеспечению международной защиты беженцев и по изысканию окончательного решения проблем беженцев, в частности, путем поощрения и облегчения их добровольной репатриации,

напоминая об обязанности, возложенной на Верховного комиссара Организация Объединенных Наций по делам беженцев, действовать под руководством Генерального секретаря в качестве международного ведущего учреждения по делам репатриации перемещенных лиц в Абхазию,

отмечая желание Сторон сотрудничать друг с другом в целях обеспечения полного соблюдения принципов и гарантий добровольной репатриации,

учитывая в этой связи необходимость создания основ для определения условий такого сотрудничества в целях осуществления репатриации,

отмечая, что Стороны согласились с тем, что операция по репатриации в Абхазию будет подразумевать, что до ее осуществления должны быть гарантированы условия безопасности и жилищные условия в районах возвращения,

Согласились о следующем:

1. Стороны соглашаются о сотрудничестве и взаимодействии в планировании и проведении мероприятий с целью обеспечить и гарантировать безопасное, спокойное и достойное возвращение людей, покинувших зону конфликта, в районы их прежнего постоянного проживания.

2. В целях настоящего соглашения Стороны гарантируют безопасность беженцев и перемещенных лиц в ходе организуемых операций по добровольной репатриации и реабилитации.

3. При осуществлении этой программы добровольной репатриации Стороны обязуются соблюдать следующие принципы:

а) перемещенные лица/беженцы имеют право на добровольное возвращение в места своего происхождения или проживания независимо от их этнической, социальной и политической принадлежности в условиях полной безопасности, свободы и достоинства;

в) добровольный характер репатриации определяется и соблюдается посредством соответствующих соглашений;

с) перемещенные лица/беженцы имеют право на мирное возвращение без риска подвергнуться аресту, задержанию, тюремному заключению или уголовному преследованию.

Такой иммунитет распространяется на лиц в тех случаях, когда имеются серьезные указания того, что:

– они совершили военные преступления или преступления против человечности, как это определено в международных документах; или

– они совершили тяжкие уголовные преступления; или

– они ранее принимали участие в боевых действиях, а в настоящее время находятся в составе вооруженных формирований, готовящихся к боевым действиям в Абхазии.

Лица, относящиеся к этим категориям, должны информироваться по соответствующим каналам о возможных последствиях, с которыми они могут столкнуться по возвращении;

д) Стороны обеспечивают, чтобы беженцы по возвращении пользовались свободой передвижения и поселения, включая право на возвращение в те районы, где они проживали до того, как покинули зону конфликта, или в районы по своему выбору;

е) Стороны обеспечивают, что беженцам и перемещенным лицам после возвращения будут продлены или восстановлены паспорта и прописка. Эти документы будут действительны для их прежнего местожительства или выбранного ими места возвращения;

ж) Стороны обеспечивают возвращающимся лицам, по их возвращении, защиту от преследований, включая взимание несанctionированных выплат или сборов и угрозу жизни или имуществу;

з) возвращающиеся лица по возвращении получают обратно оставленное или движимое и недвижимое имущество, им будет оказана помощь в его получении. В противном случае стоимость утраченного имущества должна быть – насколько это возможно – компенсирована.

Комиссия, упомянутая в пункте 5, создает механизм для урегулирования таких требований. Такая компенсация должна предоставляться в рамках программ реконструкции/восстановления, которые будут осуществляться при финансовой поддержке Добровольного фонда ООН;

з) перемещенные лица/беженцы, которые не пожелают возвратиться в Абхазию, по-прежнему получают помощь и пользуются защитой впредь до изыскания приемлемых альтернативных решений в отношении таких случаев;

о) в соответствии с основополагающим принципом сохранения единства семьи, если репатриация семей в полном составе окажется невозможной, будет создан механизм для их воссоединения в Абхазии. Кроме того, принимаются меры для выявления и оказания дополнительной поддержки/помощи оставшимся без присмотра подросткам и другим находящимся в уязвимом положении лицам в процессе репатриации;

ж) Стороны соглашаются с тем, что беженцам и перемещенным лицам будет гарантирован беспрепятственный доступ ко всей имеющейся информации о ситуации в районах, в которые будут происходить репатриация. Такая информация должна предоставляться в рамках кампании, которая будет организована Комиссией, как об этом говорится в пункте 90 (з).

4. С целью осуществления добровольного возвращения перемещенных лиц и беженцев в Абхазии настоящим создается четырехсторонняя Комиссия.

5. Главные задачи Комиссии заключаются в разработке, обсуждении и утверждении планов осуществления программ безопасной, упорядоченной и добровольной репатриации беженцев и перемещенных лиц, а также из успешной репатриации. Комиссия утснвить также правила процедуры для применения и контроля за выполнением пункта 3 (з). Такие планы долдны включать в себя регистрацию, транспорт, основную материальную помощь на срок до 6 месяцев и помощь в реабилитации.

В целях обеспечения условий для возвращения беженцев и перемещенных лиц Комиссией будет создана рабочая группа экспертов, которая прирзведет оценку объема ущерба, нанесенного экономической и социальной инфраструктуре в Абхазии, наличия домов и степени потребностей в реабилитации/восстановлении в районах возвращения с вытекающими финансовыми последствиями. Это обследование должно быть проведено последовательно по районам в соответствии с согласованным и одобренным Сторонами планом возвращения с учетом того, что Стороны договорились начать репатриацию с Гальского района.

6. В состав Комиссий входят четыре члена, по одному от каждой Стороны, Российской Федерации и Верховного комиссара Организации Объединенных Наций по делам беженцев.

Кроме того, Совещание по безопасности и сотрудничеству в Европе (СБСЕ) назначит представителя, который будет участвовать в заседаниях Комиссии в качестве наблюдателя. Если обстоятельства не позволят назначенному представителю СБСЕ присутствовать на таких заседаниях, Комиссия будет регулярно информировать миссию СБСЕ в Грузии о прогрессе в работе Комиссии.

7. Любобо члена Комиссии, участвующего в любом заседании Комиссии, могут сопровождать такие советники, присутствие которых тожет счесть необходимым Сторана, начначившая этого члена. В тех случаях, когда тот или иной член Комиссии не может участвовать в каком-либо заседании Комиссии, соответствующая Сторона может назначить заместителя.

8. Заседания Комиссии проводятся по мере необходимости, но не реже одного раза в месяц. Заседания Комиссии могут созываться по просьбе любого из членов и проводятся на территории Российской Федерации, за исключением тех случаев, когда члены Комиссии могут договориться об ином. Стороны соглашаются гарантировать личную безопасность членов Комиссии и персонала, участвующего в осуществлении согласованных мероприятий.

Дата проведения первого заседания Комиссии должна быть определена в возможно короткий срок, но не позднее одной недели после принятия Советом Безопасности резолюции в механизме, обеспечивающем условия безопасности в районах возвращения.

9. На своем первом заседании Комиссия установить порядок оценки, упомянутой в пункте 5, и определит план, касающийся:

- а) районов, в которых репатриация будет проводиться в первую очередь в соответствии с уровнем гарантированной безопасности и готовности;
- б) проведения информационно-просветительской кампании среди перемещенных лиц, беженцев в целях поощрения добровольного возвращения;
- в) процесса регистрации лиц выразивших готовность возвратиться;
- г) мероприятий, необходимые для обеспечения безопасности возвращающихся лиц на основе принципов, изложенных в пунктах 3 (д-ж);
- д) потребностей в финансовой, транспортной и основной материальной помощи для перемещенных лиц/беженцев, а также предполагаемых потребностей в реабилитации/восстановлении в местах возвращения, как об этом упомянуто в пункте 5.

10. стороны соглашаются, что представителям беженцев и перемещенных лиц должно быть обеспечено содействие в посещении мест возвращения и возможности самим убедиться в наличии условий, созданных для их возвращения.

11. В случае возникновения разногласия в Комиссии относительно применения и толкования настоящего Соглашения, когда такое разногласие не может быть полюбовно урегулировано членами Комиссии передает такое разногласие на урегулирование Сторонам и Российской Федерации, а также Верховному комиссару Организаций Объединенных Наций по делам беженцев.

СТОРОНЫ, РОССИЙСКАЯ ФЕДЕРАЦИЯ И УПРАВЛЕНИЕ ВЕРХОВНОГО КОМИССАРА ООН ПО ДЕЛАМ БЕЖЕНЦЕВ СОГЛАШАЮТСЯ ДАЛЕЕ О СЛЕДУЮЩЕМ;

а) УВКБ имеет прямой и беспрепятственный доступ ко всем перемещенным лицам/беженцам из Абхазии для осуществления мероприятий, необходимых для выполнения его мандата, а также обязанностей оперативного и наблюдательного характера.

б) Сотрудникам Организации Объединенных Наций и других соответствующих международных и правительственных учреждений, сотрудничающих с Организацией Объединенных Наций в реализации программ по репатриации, реинтеграции и реабилитации, обеспечивается содействие в передвижении между и в пределах всех районов, где находятся беженцы и перемещенные лица, а также районов, в которые они возвращаются. Указанное включает в себя свободное использование воздушного пространства, установленных взлетно-посадочных полос и аэропортов для осуществления полетов в целях оказания чрезвычайной помощи, а также освобождение от налогов и пошлин на все товары, импортируемые для использования в рамках программы добровольной репатриации перемещенных лиц/беженцев из Абхазии и для оказания абхазскому региону чрезвычайной помощи по интеграции и реабилитации со стороны Организации Объединенных Наций и сотрудничающих учреждений, а также скорейшую таможенную очистку и обработку таких товаров.

в) Российская Федерация будет гарантировать беспрепятственный транзит гуманитарных грузов, направляемых для целей настоящего Соглашения, через ее территорию.

Ⓞ) УВКБ создает необходимые местные отделения в местах, согласованных заинтересованными Сторонами, в целях содействия добровольной репатриации, реинтеграции и реабилитации.

Ⓟ) Безопасность персонала и имущества Организации Объединенных Наций и сотрудничающих учреждений гарантируется.

Ⓢ) Обеспечиваются выделение и постоянное использование Сторонами, Организацией Объединенных Наций и сотрудничающими учреждениями специально установленных радиочастот для радиосвязи между отделениями, транспортными средствами и персоналом в районах расположения перемещенных лиц/беженцев, а также в районах, в которые они возвращаются.

Настоящее Соглашение вступает в силу немедленно и действует в течение периода, необходимого для эффективного добровольного возвращения перемещенных лиц/беженцев.

В удостоверение чего уполномоченные представители Грузинской Стороны, Абхазской Стороны, Российской Федерации и Верховного комиссара Организации Объединенных Наций по делам беженцев подписали настоящее Соглашение.

Совершено в Москве 4 апреля 1994 года в четырех экземплярах, три из которых на русском языке и одно на английском, причем все четыре текста являются равно аутентичными, а текст на английском языке будет использоваться для целей толкования.

ЗА ГРУЗИНСКУЮ СТОРОНУ

(А. КАВСАДЗЕ)

ЗА АБХАЗСКУЮ СТОРОНУ

(С. ДЖИНДЖИЛИЯ)

ЗА РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ

(Б. ПАСТУХОВ)

ЗА ВЕРХОВНОГО КОМИССАРА ОРГАНИЗАЦИИ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ ПО ДЕЛАМ БЕЖЕНЦЕВ

(Х. АМУНАТЕГИ)

ЗАЯВЛЕНИЕ О МЕРАХ ПО ПОЛИТИЧЕСКОМУ УРЕГУЛИРОВАНИЮ ГРУЗИНО-АБХАЗСКОГО КОНФЛИКТА

1. 22-25 февраля 1994 года в Женеве состоялось третий раунд переговоров по полномасштабному урегулированию грузино-абхазского конфликта под эгидой ООН, при содействии Российской Федерации, с участием представителей Совещания по безопасности и сотрудничеству в Европе (СБСЕ) и представителя Верховного комиссара ООН по делам беженцев (УВКБ).

2. Переговоры проводились в соответствии с резолюциями Совета Безопасности 849 (1993) от 9 июля 1993 года, 854 (1993) от 6 августа 1993, 858 (1993) от 24 августа 1993 года, 876 (1993) от 19 октября 1993 года, 881 (1993) от 4 ноября 1993 года, 892 (1993) от 22 декабря 1993 года, 896 (1994) от 31 января 1994 года, 901 (1994) от 4 марта 1994 года и 906 (1994) от 25 марта 1994 года.

3. С даты подписания настоящего Заявления Стороны обязуются строго соблюдать официальное прекращение огня и вновь подтверждают, в соответствии с Коммюнике от 13 января 1994 г., свои обязательства не применять силу и не прибегать к угрозе ее применения друг против друга.

4. Стороны согласовали и подписали Четырехстороннее соглашение о добровольном возвращении беженцев/перемещенных лиц, которое прилагается к настоящему Заявлению. Соглашение обеспечивает возвращение беженцев/перемещенных лиц в соответствии с существующей международной практикой, включая практику УВКБ.

Специальная комиссия по беженцам/перемещенным лицам, куда войдут представители Сторон, УВКБ, Российской Федерации и в качестве наблюдателя СБСЕ, начнет работу в Сочи в середине апреля 1994 года. Выполнение Соглашения начнется после размещения миротворческих сил.

5. Стороны подтвердили свою просьбу о скорейшем развертывании операции по поддержанию мира и участию в составе миротворческих сил Организаций Объединенных Наций российского воинского контингента, заявленную в Меморандуме о понимании от 1 декабря 1993 года и Коммюнике от 13 января 1994 года. План проведения операции по поддержанию мира будет согласован со сторонами в конфликте.

Реализация операции по поддержанию мира должна также содействовать осуществлению безопасного возвращения беженцев/перемещенных лиц.

Стороны вновь призывают Совет Безопасности ООН расширить мандат Миссии Организаций Объединенных Наций по наблюдению в Грузии (МООННГ).

6. Абхазия имеет свою конституцию и законодательство, соответствующую государственную атрибутику: гимн, герб, флаг.

7. Стороны провели консультации о разграничении полномочий при понимании, что любое соглашение по этому вопросу является частью общего урегулирования и будет достигнуто только тогда, когда будет найдено окончательное решение конфликта.

На этом этапе Стороны достигли общего понимания относительно полномочий для совместной деятельности в следующих областях:

- а) внешняя политика и внешнеэкономические связи;
- б) пограничная служба;
- в) таможенная служба;
- г) энергетика, транспорт, связь;
- д) экология и ликвидация последствий стихийных бедствий;
- е) обеспечение прав и свобод человека и гражданина, прав национальных меньшинств.

8. Стороны согласились продолжить энергичные усилия по достижению полномасштабного урегулирования.

Стороны образуют соответствующий комитет, который будет работать на постоянной основе с учетом решений Совета Безопасности ООН по председательством ООН, с участием представителей СБСЕ и Российской Федерации, с привлечением международных экспертов. Комитет будет заседать поочередно в международных экспертах. Комитет будет заседать поочередно в Москве и Женеве. Первое заседание состоится в Женеве 19 апреля 1994 г. Будет разработана поэтапная программа действий, выработаны предложения по воссозданию государственно-правовых отношений.

9. Стороны приняли решение осуществить дополнительные меры по розыску пропавших без вести, перезахоронению погибших.

10. Стороны, исходя из принципа неотвратимости наказания лиц, совершивших военные преступления и преступления против человечности, а также лиц, совершивших тяжкие уголовные преступления, как это определено, соответственно, международным и национальным

правом, согласились усилить работу по расследованию таких преступлений с целью привлечения виновных к ответственности.

Неотвратимое наказание понемут также лица, которые с оружием в руках пытаются или будут пытаться сорвать мирные процесс в Абхазии.

за ГРУЗИНСКУЮ СТОРОНУ **ДЖ. ИОСЕЛИАНИ**

за АБХАЗСКУЮ СТОРОНУ **С. ДЖИНДЖОЛИЯ**

В присутствии:

от ООН **Э. БРУННЕР**

от РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ **Б. ПАСТУХОВ**

от ОБСЕ **В. Манно**

Москва, 4 апреля 1994 года.

წყარო:

აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში.

1989-1999 წწ. ნაწილი I. 1989-1995 წწ. თბილისი, 2000.

თავი XXVIII. რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ერთობლივი განცხადება (1999 წ. 17 ნოემბერი)

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სტამბოლის სამიტის (1999 წლის 18-19 ნოემბერი) გახსნის წინ, 17 ნოემბერს, ერთობლივი განცხადება გააკეთეს რუსეთის ფედერაციამ და საქართველომ. ეს განცხადება წარმოადგენს 1999 წლის 19 ნოემბერის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის დასკვნითი აქტის განუყოფელ ნაწილს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მხარეებმა მოილაპარაკეს შემდეგზე:

1. რუსეთის ფედერაციამ ვალდებულება იკისრა, არა უგვიანეს 2000 წლის 31 დეკემბრისა შეამციროს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით შეზღუდული შეიარაღება და ტექნიკა (მძიმე სამხედრო ტექნიკა) იმდენად, რომ საქართველოში დარჩეს არა უმეტეს 153 ტანკისა, 241 ჯავშანმანქანა და 140 საარტილერიო სისტემა.

2. რუსეთის ფედერაცია 2000 წლის 31 დეკემბრამდე ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზებიდან, ასევე თბილისში არსებული სარემონტო საწარმოებიდან გაიყვანს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით შეზღუდულ შეიარაღებასა და ტექნიკას (მძიმე სამხედრო ტექნიკას), ხოლო 2001 წლის 1 ივლისამდე მოახდენს ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას. ამავე ვადაში უნდა გადაწყდეს საქართველოში დარჩენილი სამხედრო ობიექტებისა და გაუქმებული სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურის შემდგომი გამოყენების (მათ შორის ერთობლივი გამოყენების) საკითხი.

3. საქართველო ვალდებულებას იღებს, მისცეს რუსეთს უფლება, მძიმე სამხედრო ტექნიკისათვის გამოიყენოს ბათუმისა და ახალქალაქის ბაზები.

4. საქართველო ვალდებულია იღებს რუსეთის ჯარების გაყვანისათვის შექმნას საჭირო პირობები. მხარეები აღნიშნავენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების მზადყოფნას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ პროცესს.

5. 2000 წლის განმავლობაში რუსეთსა და საქართველოს უნდა დაესრულებინათ მოლაპარაკება ბათუმსა და ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვა სამხედრო ობიექტების ფუნქციონირების ვადებისა და წესის შესახებ.

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს 1999 წლის 17 ნოემბერის ერთობლივი განცხადება წარმოადგენდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მიღწეულ დიდ წარმატებას. საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა რეალურად დადგა დღის წესრიგში.

წყარო:

აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. 1989-1999 წწ. ნაწილი II. 1995-1999 წწ. თბილისი, 2000; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2006, №313, 18 ნოემბერი; №314, 19 ნოემბერი.

თავი XXIX. საქართველო-რუსეთის ერთობლივი განცხადება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე (2005 წ. 30 მაისი)

მიუხედავად საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ერთობლივი განცხადებისა (სტამბოლი, 1999 წლის 17 ნოემბერი), რომელიც წარმოადგენს 1999 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების დასკვნითი აქტის განუყოფელ ნაწილს, რუსეთის მხარე არ ჩქარობდა ნაიკსრი ვალდებულების შესრულებას. საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დასრულების პროცესში დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველო-რუსეთის ერთობლივი განცხადება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე, რომელსაც 2005 წლის 30 მაისს მოსკოვში მოეწერა ხელი. საქართველოს მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა **სალომე ზურაბიშვილმა**, რუსეთის მხრიდან – საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა**.

საქართველო-რუსეთის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნული იყო:

1. ახალქალაქისა და ბათუმის რუსული სამხედრო ბაზები წყვეტენ არსებობას და შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან იმოქმედებენ გაყვანის რეჟიმით.

2. ახალქალაქისა და ბათუმის რუსული სამხედრო ბაზებიდან მძიმე ტექნიკის გაყვანა დაიწყება 2005 წელსვე და 1 სექტემბრამდე გაყვანილი იქნება არანაკლებ 40 ერთეული ჯავშანტექნიკისა, მათ შორის 20 ტანკი.

3. 2005 წლის 15 ივნისამდე რუსეთის მხარე საქართველოს გადასცემს 142-ე ტანკშემკვეთებელ ქარხანას, ხოლო 2005 წლის 1 სექტემბრამდე რუსეთის მხარე დაასრულებს საქართველოსათვის იმ სამხედრო ობიექტების გადაცემას, რომელსაც არ გამოიყენებს ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარები.

4. ოქმის ხელმოწერის მომენტიდან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ფორმირებები შეუდგებიან სამხედრო ბაზებიდან და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიის ჯარების ჯგუფის სხვა ობიექტებიდან ტექნიკის, მატერიალურ ღირებულებათა და ქონების გატანის ორგანიზებას.

5. ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზიდან მძიმე სამხედრო ტექნიკის გაყვანა უნდა დასრულდეს 2006 წლის ბოლომდე. ახალქალაქის სამხედრო ბაზის მთლიანი გაყვანა (მათ შორის სამხედრო პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების გაყვანა), ასევე საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი მძიმე ტექნიკის გატანა უნდა დასრულდეს 2007 წლის 1 ოქტომბრამდე.

6. ბათუმის რუსული სამხედრო ბაზის საბოლოო გაყვანა, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიის ჯარების ჯგუფის მართვის ორგანოების გაყვანა უნდა დასრულდეს 2008 წლის ბოლომდე.

ამრიგად, მიღწეული შეთანხმების მიხედვით, რუსეთის ჯარებს საქართველო უნდა დაეტოვებინათ 2008 წლის განმავლობაში.

2005 წლის 30 მაისის საქართველო-რუსეთის ერთობლივი განცხადება საქართველოს უახლესი ისტორიის დიდმნიშვნელოვან მოვლენებს განეკუთვნება.

წყარო:

Газета "Свободная Грузия", 2005, №113, 31 мая, стр. 1.

თავი XXX. შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარებისა და სამხედრო ბაზების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ (2006 წ. 31 მარტი)

მიუხედავად საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ერთობლივი განცხადებისა (სტამბოლი, 1999 წლის 17 ნოემბერი), რომელიც წარმოადგენს 1999 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების დასკვნითი აქტის განუყოფელ ნაწილს; მიუხედავად საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ საქართველო-რუსეთის 2005 წლის 30 მაისი შეთანხმებისა, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და სამხედრო ელიტა ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინათ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნა და რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა. საქართველოს ხელისუფლების პრინციპულმა პოზიციამ რუსეთი აიძულა შეგუებოდა იმას, რომ, ბოლოსდაბოლოს, რუსეთის ჯარებმა საქართველო უნდა დატოვონ და საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწეობა შეწყვიტონ რუსეთის სამხედრო ბაზებმა.

2006 წლის 31 მარტს ქალაქ სოჭში ხელმოწერილი იქნა „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“.

საქართველოს სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **მამუკა კუდავამ**, რუსეთის სახელით – რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **ალექსეი მასლოვმა**.

ხელმოწერის შემდეგ მამუკა კუდავამ განაცხადა: „ეს არის ისტორიული დღე, რომელსაც საქართველო 200 წელი ელოდა. აღდგა ისტორიული სამართლიანობა“.

შეთანხმება შედგება პრეამბულისა და ოცდაორი მუხლისაგან.

პრეამბულაში აღნიშნულია, რომ შეთანხმების დამდები მხარეები მოქმედებენ „კეთილმეზობლობის, თანამშრომლობისა და ერთმანეთის უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის სულისკვეთებით“.

პირველ მუხლში განმარტებულია შეთანხმებაში გამოყენებული ცნებები.

მეორე მუხლი ადგენს შეთანხმების რეალიზებისათვის უფლებამოსილ ორგანოებს.

მესამე მუხლი შეთანხმების ძირითად ნაწილს წარმოადგენს, რის გამოც მას მთლიანად მოვიტანთ:

„მუხლი 3. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანა დასრულდეს 2008 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, შემდეგი თანამიმდევრობით.

რუსეთის სამხედრო ბაზები ბათუმსა და ახალქალაქში ფუნქციონირებს გაყვანის რეჟიმში.

რუსეთის მხარის მიერ „გონიო“-ს პოლიგონისა და კოჯორში არსებული კავშირგაბმულობის რეტრანსლატორის გადაცემის შემდეგ, ისინი იფუნქციონირებენ №1 და 2 დანართების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილებს. ამასთანავე, საქართველოს მხარე დაუტოვებს რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახების წევრებს აღნიშნული პირების მიერ დაკავებულ საბინაო ფონდს ობიექტის „ზევგდა“ ფარგლებში, დროებით უსასყიდლო სარგებლობაში, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის დასრულებამდე.

რუსეთის მხარე 2006 წლის 1 ივლისამდე გადასცემს საქართველოს მხარეს რუსეთის სამხედრო ობიექტების ძირითად ნაწილს, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ობიექტების მხარეთა შორის შეთანხმებული ჩამონათვალის შესაბამისად, რომელთა გადაცემაც დაგეგმილია საქართველოს მხარისთვის.

საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო ფორმირებები ორგანიზებას უწევენ საქართველოს ტერიტორიაზე ამ მომენტისათვის არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ტექნიკის, მატერიალური საშუალებებისა და სხვა ქონების გაყვანას. ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზიდან რუსეთის მძიმე სამხედრო ტექნიკის, 1990 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით შეზღუდული შეიარაღებისა და ტექნიკის ჩათვლით, გაყვანა განხორციელდება 2006 წლის ბოლომდე. ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის დანარჩენი მძიმე სამხედრო ტექნიკის გაყვანის დასრულება, აგრეთვე საქართველოს მხარისათვის რუსეთის სამხედრო ობიექტების გადაცემა განხორციელდება 2007 წლის 1 ოქტომბრამდე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამინდის გათვალისწინებით, არა უგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზის, აგრეთვე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის მმართველობის საბოლოო გაყვანა განხორციელდება 2008 წლის განმავლობაში.

მხარეებს შორის შეთანხმებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის გეგმა-გრაფიკისა და მატერიალური საშუალებებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალის შესაბამისად, საქართველოს მხარე შესაძლებლობას მისცემს რუსეთის მხარეს, მიაწოდოს გაყვანის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილები და მატერიალური საშუალებები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მხარე შესაძლებლობას მისცემს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ საჰაერო ხომალდებს, გამოიყენონ საქართველოს საჰაერო სივრცე და განახორციელონ სარკინიგზო და საავტომობილო

ტრანსპორტით შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა მატერიალური საშუალებების გადაზიდვები.“

შეთანხმების **ჩვიდმეტი მუხლი** (მეოთხედან მეოცის ჩათვლით) განსაზღვრავს საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანისა და რუსეთის სამხედრო ბაზების მოღვაწეობის შეწყვეტის შემდეგ მხარეთა ვალდებულებებს.

ოცდამეორე მუხლში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად საქართველო-რუსეთის 2006 წლის 31 მარტის შეთანხმება ექვემდებარება რეგისტრაციას გაეროს სამდივნოში.

ოცდამეორე მუხლი ეხება შეთანხმების ძალაში შესვლისა და შეჩერების წესს. კერძოდ, შეთანხმების ამოქმედების შესახებ ოცდამეორე მუხლში აღნიშნულია: „წინამდებარე შეთანხმება დროებით გამოიყენება ხელმოწერის თარიღიდან და ძალაში შედის მხარეთა მიერ აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ შეტყობინებათა გაცვლის შემდეგ“. განსაზღვრულია შეთანხმების მოქმედების შეჩერების წესიც: „წინამდებარე შეთანხმების მოქმედება შესაძლებელია შეაჩეროს თითოეულმა მხარემ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად“.

ქვემოთ გთავაზობთ შეთანხმების ტექსტს დანართების გარეშე.

შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ

რუსეთის ფედერაცია და საქართველო, შემდგომში მხარეებად წოდებულნი, ითვალისწინებენ რა ევროპასა და მთელ მსოფლიოში არსებულ ახალ პოლიტიკურ რეალიებს,

აცხადებენ რა, რომ მეგობრული ურთიერთობებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ძირეულ ინტერესებს,

ხელმძღვანელობენ რა მხარეთა ეროვნული სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით,

მოქმედებენ რა კეთილმეზობლობის, თანამშრომლობისა და ერთმანეთის უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის სულისკვეთებით,

მიიჩნევენ რა, რომ რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირებისა და საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის საკითხის მოწესრიგება ხელს შეუწყობს მხარეთა შორის ნდობის განმტკიცებას,

ხელმძღვანელობენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დოკუმენტებით, ასევე რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს 1999 წლის 17 ნოემბრის ერთობლივი განცხადებით, რომელიც წარმოადგენს 1999 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის დასკვნითი აქტის განუყოფელ ნაწილს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმებაში გამოყენებული ცნებები აღნიშნავს შემდეგს:

„რუსეთის სამხედრო ბაზა“ – საქართველოს ტერიტორიის მონაკვეთზე (მონაკვეთებზე) დისლოცირებული ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო ფორმირება ინფრასტრუქტურითა და ზუსტად მონიშნული და მხარეთა შორის შეთანხმებული საზღვრებით;

„რუსეთის სამხედრო ობიექტი“ – საქართველოს ტერიტორიის მონაკვეთზე დისლოცირებული ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სამხედრო ფორმირება ინფრასტრუქტურითა და ზუსტად მონიშნული და მხარეთა შორის შეთანხმებული საზღვრით, რომელიც არ შედის რუსეთის სამხედრო ბაზების შემადგენლობაში და ფუნქციონირებს მათი ინტერესებისათვის;

„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ფუნქციონირება გაყვანის რეჟიმში“ – რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მიერ მათ გაყვანასთან, მათ შორის, ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის მომზადებასთან (სროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მანქანის ტარება) დაკავშირებული ამოცანების შესრულება;

„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანა“ – რუსეთის ფედერაციის მოძრავი ქონება, რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირების, მათი ოჯახების წევრების, ასევე მათი პირადი ქონების საქართველოს ტერიტორიიდან გადაადგილების (გაყვანა-გატანის) პროცესი;

„მოძრავი ქონება“ – რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების საშტატო-სატაბელო ქონება, მათ შორის, ყველა სახის (ნიმუშის) შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და სხვა მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ცხოველქმედებისა და დროებითი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საქართველოს ტერიტორიიდან მათ გაყვანამდე.

„უძრავი ქონება (უძრავი ქონების ობიექტები)“ – გაყვანის რეჟიმში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირებისა და ცხოველქმედების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები, ასევე მათზე განლაგებული შენობები, სტაციონარული ნაგებობები და კომუნიკაციები;

„რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირები“:

1. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადიან რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე;

2. სამოქალაქო პერსონალი – რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე მომუშავე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები;

3. რუსეთის მხარის მიერ რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე მივლინებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები;

„რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირთა ოჯახის წევრები“ – მეუღლეები, შვილები, მშობლები, აგრეთვე რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებთან ერთად მცხოვრები და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები;

„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სარდლობა“ – სარდლობა თავისი მმართველობის ორგანოსთან ერთად, რომელსაც ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე დროებით დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზები და რუსეთის სამხედრო ობიექტები;

„დისლოკაციის ადგილი“ – საქართველოს ტერიტორიის მონაკვეთი მონიშნული და მხარეთა შორის შეთანხმებული საზღვრებით, რომელზედაც დროებით განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზა ან რუსეთის სამხედრო ობიექტი.

მუხლი 2

ამ შეთანხმების რეალიზებისათვის მხარეთა უფლებამოსილი ორგანოებია: რუსეთის მხრიდან – რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს მხრიდან – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

მუხლი 3

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანა დასრულდეს 2008 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, შემდეგი თანამიმდევრობით.

რუსეთის სამხედრო ბაზები ბათუმსა და ახალქალაქში ფუნქციონირებს გაყვანის რეჟიმში.

რუსეთის მხარის მიერ „გონიო“-ს პოლიგონისა და კოჯორში არსებული კავშირგაბმულობის რეტრანსლატორის გადაცემის შემდეგ, ისინი იფუნქციონირებენ №1 და 2 დანართების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილებს. ამასთანავე, საქართველოს მხარე დაუტოვებს რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახების წევრებს აღნიშნული პირების მიერ დაკავებულ საბინაო ფონდს ობიექტის „ზევგდა“ ფარგლებში, დროებით უსასყიდლო სარგებლობაში, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის დასრულებამდე.

რუსეთის მხარე 2006 წლის 1 ივლისამდე გადასცემს საქართველოს მხარეს რუსეთის სამხედრო ობიექტების ძირითად ნაწილს, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ობიექტების მხარეთა შორის შეთანხმებული ჩამონათვალის შესაბამისად, რომელთა გადაცემაც დაგეგმილია საქართველოს მხარისთვის.

საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო ფორმირებები ორგანიზებას უწევენ საქართველოს ტერიტორიაზე ამ მომენტისათვის არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ტექნიკის, მატერიალური საშუალებებისა და სხვა ქონების გაყვანას. ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზიდან რუსეთის მძიმე სამხედრო ტექნიკის, 1990 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით შეზღუდული შეიარაღებისა და ტექნიკის ჩათვლით, გაყვანა განხორციელდება 2006 წლის ბოლომდე. ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის დანარჩენი მძიმე სამხედრო ტექნიკის გაყვანის დასრულება, აგრეთვე საქართველოს მხარისათვის რუსეთის სამხედრო ობიექტების გადაცემა განხორციელდება 2007 წლის 1 ოქტომბრამდე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამინდის გათვალისწინებით, არა უგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზის, აგრეთვე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის მმართველობის საბოლოო გაყვანა განხორციელდება 2008 წლის განმავლობაში.

მხარეებს შორის შეთანხმებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის გეგმა-გრაფიკისა და მატერიალური საშუალებებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალის შესაბამისად, საქართველოს მხარე შესაძლებლობას მისცემს რუსეთის მხარეს, მიაწოდოს გაყვანის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილები და მატერიალური საშუალებები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მხარე შესაძლებლობას მისცემს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ საჰაერო ხომალდებს, გამოიყენონ საქართველოს საჰაერო სივრცე და განახორციელონ სარკინიგზო და საავტომობილო

ტრანსპორტით შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა მატერიალური საშუალებების გადაზიდვები.

მუხლი 4

საქართველოს მხარე ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ეტაპობრივად გაყვანისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, ასევე რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ნორმალური ცხოველქმედებისა და გაყვანის რეჟიმში დროებითი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საქართველოს ტერიტორიიდან მათი გაყვანის დასრულებამდე.

მხარეები შეთანხმებენ რუსეთის ფედერაციის იმ სამხედრო მოსამსახურეების, კერძოდ, მძღოლების, მექანიკოსებისა და სხვა ტექნიკური სპეციალისტების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადებსა და რაოდენობას, რომელთა დროებითი მივლინება საქართველოში იგეგმება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის ხელშეწყობის მიზნით, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა არსებულ რაოდენობასთან დამატებით, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2005 წლის 30 მაისის ერთობლივი განცხადების ხელმოწერის თარიღისთვის.

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირების ოჯახის წევრები, რომლებიც შემოდიან საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობაში მხედველობაში არ მიიღებიან.

მუხლი 5

საქართველოს მხარე ხელს შეუწყობს ბათუმსა და ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზების ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გაყვანის ორგანიზებას ლეგიტიმური საკონტროლო-გამშვები პუნქტების გამოყენებით, ბათუმის ნავსადგურის, ბათუმის აეროპორტისა და სასაზღვრო-სამიგრაციო საკონტროლო განყოფილების „ნინოწმინდა“ ჩათვლით, გაყვანის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გასაყვანი ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის ტრანსპორტირების ორგანიზებას.

მუხლი 6

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირები და მათი ოჯახის წევრები საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას ვალდებული არიან, იქონიონ საქართველოს შესაბამისი ვიზები და საქართველოს მხარის შესაბამის უწყებათა აღნიშვნა, რომელიც ადასტურებს ამ შეთანხმების მე-5 მუხლით განსაზღვრული გამშვები პუნქტების გავლით საქართველოში მათი შემოსვლის ადგილსა და თარიღს.

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათ ოჯახის წევრებზე ვიზების გაცემა ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტო სამსახურების მიერ შემდეგი წესით:

საქართველოში როტაციის მიზნით მომავალი რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე გაიცემა მრავალჯერადი ვიზები ერთი წლის

ვადით, იმ სამხედრო მოსამსახურეთა გარდა, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს გაწვევით და რომლებზედაც გაიცემა საქართველოს შემოსასვლელი ვიზები.

საქართველოში ხანმოკლე მივლინებით მომავალ რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირთათვის საქართველოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების საფუძველზე (3 თვემდე ვადით) გაიცემა ერთჯერადი ვიზები იმ ვადით, რომლებიც აუცილებელია რუსეთის სამხედრო ბაზების და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანასთან დაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად.

რუსეთის მხარის მიერ ვიზების გაცემაზე მოთხოვნა იგზავნება დიპლომატიური არხებით. მოთხოვნა ერთჯერადი ვიზის გაცემაზე მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ვადით იგზავნება საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილ შემოსვლამდე არანაკლებ 15 დღით ადრე. მრავალჯერად და შემოსასვლელ ვიზებზე მოთხოვნა იგზავნება 60 დღით ადრე საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილ შემოსვლამდე.

მოთხოვნაში უნდა მითითებული იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი, პასპორტის ნომერი და სერია, სამხედრო მოსამსახურის წოდება, საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის ადგილი და ვადა, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის მიზნები, ხოლო სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს გაწვევით, ასევე მარშრუტი და დისლოკაციის ადგილამდე გადაადგილების დრო. სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს კონტრაქტით, ინფორმაციას დისლოკაციის ადგილამდე გადაადგილების მარშრუტისა და დროის შესახებ წარადგენს რუსეთის მხარე შემოსვლის თარიღამდე არა უგვიანეს 15 დღისა. საქართველოს ტერიტორიიდან წინასწარ გასულ სამხედრო მოსამსახურეთა სიები, მხარეებს შორის შეთანხმებული დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს მათ გასვლას, წარედგინება მათ გასვლის დღიდან 5 დღის ვადაში.

საქართველოს მხარე გადაწყვეტილებას ერთჯერადი ვიზების გაცემის შესახებ იღებს მიმართვის მომენტიდან 10 დღის განმავლობაში, ხოლო გადაწყვეტილებას მრავალჯერადი და საქართველოში შემოსვლის ვიზების გაცემის შესახებ როტაციის მიზნით საქართველოსკენ მომავალ რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირთათვის და მათი ოჯახების წევრებისათვის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც დაასრულეს საქართველოს ტერიტორიაზე სამსახური, მათი გამგზავრების მომენტიდან 20 დღის განმავლობაში.

საქართველოს ტერიტორიაზე როტაციის მიზნით შესაძლებელია რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი მხოლოდ იმ რაოდენობის პირების შემოსვლა, რა რაოდენობის რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებიც იქნებიან წინასწარ გაყვანილნი საქართველოს ტერიტორიიდან. ამასთანავე, ერთი თვის განმავლობაში სამხედრო სამსახურში კონტრაქტით მყოფი რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი არა უმეტეს 30 პირისათვის დასაშვებია ვიზების გაცემა ამავე რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს ტერიტორიიდან წინასწარი გაყვანის გარეშე. რუსეთის მხარე ვიზების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში აწვდის დოკუმენტებს, რომლებითაც დასტურდება აღნიშნული რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს ტერიტორიიდან გასვლა.

მხარეთა უფლებამოსილი ორგანოები, დაგეგმილ გადაადგილებამდე არა უგვიანეს 10 დღისა, ათანხმებენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შემოსვლის (გასვლის) დროსა და მარშრუტს.

მუხლი 7

რუსეთის მხარე არ გამოიყენებს რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებს იმ მიზნებისათვის, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ და არ დაუშვებს მათ ჩარევას საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ პროცესში.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დროებითი დისლოკაციის განმავლობაში რუსეთის მხარე არ დაუშვებს სროლის გამართვას არც ერთი სახის იარაღიდან, გარდა მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღიდან საქართველოს მხარის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

რუსეთის მხარის მოძრავი ქონების გადაადგილება ხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი წესით, რუსეთის მხარის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შემუშავებული გრაფიკების შესაბამისად შეთანხმებული მარშრუტებითა და შეთანხმებული დროით.

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტს შეუძლია გადაკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი საქართველოს მხარის უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით, სახელმწიფო და საბაჟო საზღვრის დადგენილ გამშვებ პუნქტებზე, საქართველოს მხარის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისათვის გადასაზიდ ტვირთზე დოკუმენტებისა და დეკლარაციების წარდგენით.

რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული საკითხები განეკუთვნება მათი სარდლობის გამგებლობას, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხოებას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, გარემოს დაცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე არ დაუშვებს რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკაციის ადგილების გამოყენებას კომერციული მიზნებისთვის.

მუხლი 8

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირები და მათი ოჯახის წევრები პატივს სცემენ საქართველოს სუვერენიტეტს და იცავენ საქართველოს კანონმდებლობას, არ ერევიან მის საშინაო საქმეებში, არ მონაწილეობენ შიდა კონფლიქტებში საქართველოს ტერიტორიაზე.

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

1) ისინი ჩაიდენენ დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ასევე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების წინააღმდეგ ან რუსეთის ფედერაციის კუთვნილი ქონების მიმართ;

2) ჩაიდენენ დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკაციის ადგილებში იმ პირობით, რომ მათი შედეგები არ გავრცელდება დისლოკაციის ამ ადგილების ფარგლებს გარეთ.

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, მასზე ვრცელდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია.

მუხლი 9

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მოძრავი ქონება წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის საკუთრებას.

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სხვა სამხედრო ობიექტების მოძრავი ქონება გატანილ იქნება საქართველოს ტერიტორიიდან ან, მხარეების შეთანხმების საფუძველზე, უტილიზებულ იქნება ადგილზევე.

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გასატანი (გასაყვანი) მოძრავი ქონება, ასევე რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირებისა და მათი ოჯახის წევრების ქონება თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან.

საქართველოს მხარე უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიიდან გასაყვანი რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ქონების გატანის მიზნით რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების შემოსვლის გამარტივებულ პროცედურას თანახმად რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის წყლებსა და ნავსადგურებში სამხედრო ხომალდების ნაოსნობისა და ყოფნის წესის შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის 1993 წლის 9 ოქტომბრის შეთანხმებისა.

მუხლი 10

მხარეები განახორციელებენ ურთიერთქმედებას რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანასთან დაკავშირებული სატრანსპორტო დანახარჯების დაფინანსების დამატებითი გარე წყაროების მოძიების მიზნით.

მუხლი 11

რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას:

არ შეცვალოს რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოცირების ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე;

არ განახორციელოს რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალის ჩანაცვლება და შევსება.

მუხლი 12

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების უძრავი ქონება წარმოადგენს საქართველოს საკუთრებას და რუსეთის მხარეს გადაეცემა დროებით უსასყიდლო სარგებლობაში საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანამდე. ამ შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად.

რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს გადასაცემი უძრავი ქონების ობიექტების დაცულობა (მთლიანობა).

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მიერ გამოთავისუფლებული უძრავი ქონების ობიექტები გადაეცემა საქართველოს მხარეს გადაცემის მომენტიდან არსებული ფაქტობრივი მდგომარებით, მხარეთა უფლებამოსილ ორგანოებს შორის შეთანხმებული გრაფიკების შესაბამისად.

უძრავი ქონების გადასაცემად მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას.

რუსეთის მხარე საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად დისლოკაციის ადგილებში არ განახორციელებს რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოებს ახალი უძრავი ქონების ობიექტების შექმნის მიზნით.

მუხლი 13

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს რუსეთის სამხედრო ბაზებზე ან რუსეთის სამხედრო ობიექტებზე და დათხოვნილ იქნენ სამხედრო სამსახურიდან საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების ან რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის პერიოდში, აგრეთვე მათთან მუდმივად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს, რომლებმაც გამოთქვეს საქართველოში მუდმივად ცხოვრების სურვილი, საქართველოს მხარე აძლევს გარანტიას, რომ შეუნარჩუნდებათ უფლებები მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართზე. პირებს, რომელთაც უნარჩუნდებათ უფლება მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართზე, ასევე უნარჩუნდებათ საქართველოში ცხოვრების უფლება.

მუხლი 14

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სრულ გაყვანამდე მათი მატერიალური, სამედიცინო, ვეტერინარულ-სანიტარიული, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, საბინაო-საექსპლუატაციო და საფინანსო უზრუნველყოფა ხორციელდება რუსეთის მხარის მიერ.

საქართველოს მხარე ხელს უწყობს რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების უზრუნველყოფას ელექტროენერგიით, წყლითა და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებისათვის დადგენილი ნორმებისა და ფასების შესაბამისად.

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მატერიალური, სამედიცინო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის საკითხებთან და რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სხვა სახის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მეთაურები ახორციელებენ ურთიერთქმედებას საქართველოს მხარის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან და უფლება აქვთ, დადონ ხელშეკრულებები საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

მუხლი 15

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები (მომარაგების ნივთები, სარემონტო ფონდი, სამხედრო-ტექნიკური ქონება და სხვა) შეიძლება მოწოდებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ან შექმნილ იქნეს ადგილზე. რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალური საშუალებების მარაგის შევსება ხორციელდება ბაჟის, გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის გარეშე საქართველოს მხარის კომპეტენტურ ორგანოებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 16

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მიერ რადიოსიხშირეების გამოყენების წესი განისაზღვრება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სარდლობასა და საქართველოს მხარის კომპეტენტურ ორგანოებს შორის შეთანხმებით.

მუხლი 17

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციის მიზნით მხარეები ქმნიან ერთობლივ ოპერატიულ-ტექნიკურ ჯგუფს.

წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესრულების კონტროლისა და ამ შეთანხმების რეალიზების პროცესში წარმოქმნილ სადავო საკითხების გადაწყვეტის მიზნით იქმნება რუსეთ-საქართველოს შერეული კომისია. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში შედის წევრების თანაბარი რაოდენობა თითოეული მხრიდან.

რუსეთ-საქართველოს შერეული კომისიის ადგილსამყოფელია – ქ. თბილისი.

თუ რუსეთ-საქართველოს შერეული კომისია ვერ აღწევს შეთანხმებას რაიმე საკითხის გადაწყვეტისას ან წარმოიქმნება უთანხმოება მხარეებს შორის, რომელიც ეხება ამ შეთანხმების განმარტებას ან გამოყენებას, მაშინ ის წყდება მოლაპარაკებების გზით ან დიპლომატიური არხებით.

მუხლი 18

მხარეები უნაზღაურებენ ერთმანეთს, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ამ შეთანხმების შესრულებისას განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიყენებულ მატერიალურ ზარალს.

ზარალის ანაზღაურების ოდენობასა და მექანიზმს ადგენს რუსეთ-საქართველოს შერეული კომისია ერთი მხარის მიერ მეორე მხარისადმი დიპლომატიური არხებით მიმართვის თარიღიდან ერთი თვის განმავლობაში. თუ ამ ვადის განმავლობაში შეთანხმება არ იქნება მიღწეული, ზარალი ანაზღაურდება სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით.

მუხლი 19

რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას არ იქონიოს, არ შეინახოს საქართველოს ტერიტორიაზე და არ გაატაროს მისი ტერიტორიის გავლით მასობრივი განადგურების იარაღი, ასევე არ აწარმოოს გამოკვლევები ასეთი იარაღის შემუშავებისა და გამოყენების სფეროში მის ტერიტორიაზე.

რუსეთის სამხედრო ბაზისა და რუსეთის სამხედრო ობიექტის შემადგენლობაში შემავალი შეიარაღებული პირების ყოფნა და გადაადგილება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკაციის ადგილის ფარგლებს გარეთ დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირები ახორციელებენ გადასატანი ფულადი, მატერიალური საშუალებების, ტვირთების საფელდიეგერო-საფოსტო კავშირის ხაზით თანხლებას ან სხვა საგანგებოდ დათქმულ შემთხვევებში საქართველოს მხარის უფლებამოსილ ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით.

რუსეთის სამხედრო ფირმირებები არ ახორციელებენ სამხედრო პატრულირებას საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკაციის ადგილების ფარგლებს გარეთ.

რუსეთის მხარის სამხედრო ავტონისპექცია თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს მხარის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული წესითა და შემთხვევებში.

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სარდლობა პასუხისმგებელია რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკირების ადგილებსა და საწობებში არსებული შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და სხვა საშიში მასალების უსაფრთხო დაცვასა და შენახვაზე.

მუხლი 20

მხარეები უმოკლეს ვადაში დაასრულებენ შემუშავებას და ხელმოსაწერად მოამზადებენ შეთანხმებას საქართველო-რუსეთის ანტიტერორისტული ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირების შესახებ, რომლის შესაბამისად ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და ინფრასტრუქტურის შეთანხმებული ნაწილი გამოყენებული იქნება აღნიშნული ცენტრის ინტერესებისათვის.

მუხლი 21

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, ეს შეთანხმება ექვემდებარება რეგისტრაციას გაეროს სამდივნოში.

მუხლი 22

წინამდებარე შეთანხმება დროებით გამოიყენება ხელმოწერის თარიღიდან და ძალაში შედის მხარეთა მიერ აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ შეტყობინებათა გაცვლის შემდეგ.

წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2008 წლის 31 დეკემბრამდე, თუ არც ერთი მხარე დიპლომატიური არხებით არ აცნობებს მეორე მხარეს თავის განზრახვას, შეწყვიტოს მისი მოქმედება მეორე მხარის მიერ წინამდებარე შეთანხმების მნიშვნელოვანი დარღვევის გამო. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმების მოქმედება წყდება შეტყობინების მიღების თარიღიდან 30 დღის შემდეგ.

წინამდებარე შეთანხმების მოქმედება შესაძლებელია შეაჩეროს თითოეულმა მხარემ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. ამ შემთხვევაში ხდება მეორე მხარის ინფორმირება დიპლომატიური არხებით წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეჩერების ან მისი აღდგენის შესახებ.

* * *

2006 წლის 31 მარტის საქართველო-რუსეთის სოჭის შეთანხმება დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია. 1799 წლის ნოემბრიდან 1918 წლის იანვრამდე რუსეთის ჯარები მუდმივად იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერ თბილისში, დუშეთსა და თელავში, შემდეგ საქართველოს სხვა ქალაქებში (ქუთაისში, სოხუმში, ახალციხეში, ახალქალაქში, ბათუმში...). 1918 წლის იანვარში რუსეთის ჯარმა დატოვა საქართველო, მაგრამ მალევე, 1921 წლის თებერვალ-მარტში, კვლავ განლაგდა ყველა მნიშვნელოვან ქალაქსა თუ სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებში.

დღეს საქართველოში რუსეთის ჯარების ყოფნა დასასრულს უახლოვდება. ვიმედოვნებთ, რუსეთის ჯარები მეორედ, და ამჯერად სამუდამოდ, დატოვებენ საქართველოს.

შინაარსი

თავი I. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა
(ვახტანგ

გურული)

. 5

თავი II. კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის „ფიცის წიგნი“ რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძისადმი (1587 წ.) და თევდორე ივანეს ძის „წყალობის სიგელი“

ალექსანდრე	II-ს	(1589	წ.)	(მერაბ	ვანნაძე)
.....					
13					
თავი III. ქართლის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი					
(1721-1723	წწ.)	(მერაბ	ვანნაძე)		
.....					
16					
თავი IV. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ. 24 ივლისი)					
(ვახტანგ					გურული)
.....					
19					
თავი V. ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“					
(1800 წ. 24 ივნისი)	რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს	(მერაბ	ვანნაძე)		
.....					
25					
თავი VI. რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს					
გაუქმების შესახებ	(1801 წ. 18 იანვარი)	(მერაბ	ვანნაძე)		
.....					
27					
თავი VII. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს					
გაუქმების თაობაზე	(1801 წ. 12 სექტემბერი)	(ვახტანგ	გურული)		
.....					
29					
თავი VIII. სამეგრელოს სამთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში					
(1803-1894	წწ.)	(ვახტანგ	გურული)		
.....					
32					
თავი IX. ელაზნაურის ტრაქტატი (1804 წ. 25 აპრილი)					
(ვახტანგ	გურული)				
.....					
34					
თავი X. ელაზნაურის ტრაქტატის განახლების ცდა					
(ვახტანგ	გურული)				
.....					
37					
თავი XI. აფხაზეთის სამთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში					
(1808-1810	წწ.)	(მერაბ	ვანნაძე)		
.....					
39					
თავი XII. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის					
აღდგენა	(1917 წ. 12 მარტი)	(მერაბ	ვანნაძე)		
.....					
41					

თავი XIII. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა (1918 წ. 22 აპრილი)
(მერაბ ვანნაძე)

43

თავი XIV. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა
(1918 წ. 26 მაისი) (ვახტანგ გურული)

46

თავი XV. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება (1920 წ. 7 მაისი) (ვახტანგ გურული)

51

თავი XVI. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება (1921 წ. 21 მაისი) (ვახტანგ გურული)

59

თავი XVII. ყარსის ხელშეკრულება (1921 წ. 13 ოქტომბერი) (ვახტანგ გურული)

61

თავი XVIII. ხელშეკრულება საბჭოთა რესპუბლიკების მიერ საბჭოთა რუსეთის
თავის წარმომადგენლად აღიარების შესახებ (1922 წ. 22 თებერვალი) (მერაბ ვანნაძე)

67

თავი XIX. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა
(1922 წ. 13 დეკემბერი) (მერაბ ვანნაძე)

69

თავი XX. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა
(1922 წ. 30 დეკემბერი) (მერაბ ვანნაძე)

74

თავი XXI. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი
(1991 წ. 9 აპრილი) (ვახტანგ გურული)

81

თავი XXII. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმები
(1991 წ. 23 მარტი) (ვახტანგ გურული)

87

თავი XXIII. აფხაზეთის თაობაზე მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი

(1992	წ.	3	სექტემბერი)	(მერაბ	ვანნაძე)
.....					
90					
თავი XXIV. შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი					
კონტროლის	მექანიზმის	შესახებ	(1993 წ.	28 ივლისი)	(მერაბ ვანნაძე)
.....					
93					
თავი XXV. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მეგობრობის, კეთილმეზობლობისა					
და	თანამშრომლობის	შესახებ	(1994 წ.	3 თებერვალი)	(ვახტანგ გურული)
.....					
96					
თავი XXVII. მოსკოვის ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და გადაადგილებულ					
პირთა	ნებაყოფლობით	დაბრუნების	შესახებ	(1994 წ. 4 აპრილი)	და განცხადება
ქართულ-აფხაზეთური	კონფლიქტის	პოლიტიკური	დარეგულირების	დონისძიებათა	შესახებ
(1994	წ.	4	აპრილი)	(მერაბ	ვანნაძე)
.....					
106					
თავი XXVIII. რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ერთობლივი განცხადება					
(1999	წ.	17	ნოემბერი)	(ვახტანგ	გურული)
.....					
113					
თავი XXIX. საქართველო-რუსეთის ერთობლივი განცხადება საქართველოს					
ტერიტორიიდან	რუსეთის	სამხედრო	ბაზების	გაყვანის	თაობაზე
(2005	წ.	30	მაისი)	(ვახტანგ	გურული)
.....					
114					
თავი XXX. შეთანხმება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს შორის					
საქართველოს	ტერიტორიაზე	განლაგებული	რუსეთის	ჯარებისა	და სამხედრო
ბაზების	დროებითი	ფუნქციონირების	ვალების,	წესისა	და მათი
(2006	წ.	31	მარტი)	(ვახტანგ	გურული)
.....					
116					